140
1990

ISSN 0132 – 6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

2
1990

# ავწონ-დავწონოთ ყველაფერი

**დღეს ჩვენი თანამოსაუბრეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი როინ მეტრეველი.**

**— ბატონო როინ, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნა-განახლების პროცესმა გარკვეული ეტაპი განვლო, პირველი მიჯნები გადალახა საქართველოში აღორძინებულმა ეროვნულმა მოძრაობამ და აი, ჩვენ აღმოვჩნდით მრავალი ისეთი პრობლემის წინაშე, რომელთა მოუგვარებლობა უკან გვწევს წინ სავალ გზაზე და, პირდაპირ რომ ვთქვათ, მძიმე მდგომარეობას ქმნის...**

— დიახ, ნამდვილად მძიმე მდგომარეობა შეგვექმნა — პოლიტიკურადაც, სოციალურადაც, ეკონომიკურადაც და ეკოლოგიურადაც მძიმე. სამწუხაროდ, ეს პროცესი არ მუხრუჭდება, იგი კვლავ და კვლავ მიმდინარეობს და მდგომარეობის სტაბილიზება ჯერჯერობით არ ხერხდება. ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოქმედებდეს ხალხზე, თითოეულ ჩვენგანზე.

და მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ მე ოპტიმისტი გახლავართ და იმედი მაქვს, ქაოსური მდგომარეობა მოწესრიგდება და სასიკეთო ძვრებიც, ალბათ, რეალური გახდება. ჩვენი რესპუბლიკა საერთო პროცესების უშუალო მონაწილეა და, ბუნებრივია, ქვეყანაში წარმოქმნილი ყველა ტენდენცია — დადებითიც და უარყოფითიც — ჩვენთანაც იჩენს თავს.

დიახ, დაიძაბა, გამწვავდა ჩვენი სინამდვილე, რასაც ხელს უწყობს მძიმე ეთნოკრიზისები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. არ შეიძლება არ ვახსენოთ 9 აპრილის ამბებით წარმოშობილი სიტუაცია საქართველოში. მეტსაც ვიტყოდი, ეს მძიმე სიტუაცია წარმოშვა არა მარტო ამ ფაქტმა, არამედ მასთან დაკავშირებულმა სხვადასხვა საკითხებმაც, კერძოდ, თვით ამ ფაქტის გამოკვლევის მიმდინარეობამ. იმ ტენდენციურმა დამოკიდებულებამ, რამაც აშკარად იჩინა თავი სამხედრო პრესის პუბლიკაციებსა თუ სამხედრო უწყებათა წარმომადგენლების გამოსვლაში.

სამწუხაროდ, კვლავაც მხოლოდ ლაპარაკად დარჩა ლაპარაკი ერთაშორისი ურთიერთობებისადმი სათუთად მოპყრობაზე.

**— რას უნდა გვკარნახობდეს შექმნილ ვითარებაში ჩვენი ხალხის ისტორიული გამოცდილება და რეალობის სალი შეფასება?**

— ალბათ ასეთ ვითარებაში ქართველობას დიდი სიბრძნე გვმართებს — საკითხების აწონ-დაწონა, ღრმა ანალიზი; ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმამდე დიდი დაფიქრებაა საჭირო.

განსაკუთრებით თავდაჭერილობა მართებს ჩვენს ახალგაზრდობას. ჩვენს წიაღში აშკარად გამოღვიძებულ ძალუმ ეროვნულ გრძნობებს სწორი მიმართულება უნდა მიეცეს. დღეს, როცა თვალნათლივ იკვეთება რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის კონტურები, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ფიქრი, დიდი დაკვირვება, საჭიროა მაღალი პასუხისმგებლობა თითოეული გადადგმული ნაბიჯისათვის.

მე მიმაჩნია, რომ უკანასკნელი წელიწადნახევრის-ორი წლის მანძილზე ქართველმა ახალგაზრდობამ სასიკეთოდ გამოიჩინა თავი მრავალი სასარგებლო და ეროვნული მნიშვნელობის საკითხის გადაჭრაში. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ჩვენი ახალგაზრდობის ნათელ, სალ აზრს, შემართებასა და თავგანწირვამდე მისულ აღტყინებას. მაგრამ ისიც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ახალგაზრდობაც და უფროსი თაობების წარმომადგენლებიც ერთიანი მიზნით არიან გაერთიანებულნი, და რაიმე არსებითი ხასიათის წინააღმდეგობას მათ შორის ადგილი არა აქვს. უფროს თაობას, თავის მხრივ, უფრო მეტი სიმტკიცე მართებს სწორედ ამ განსაკუთრებულ პირობებში, მაშინ, როცა მის მაგალითს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის. მე იმის თქმა მინდა, რომ ის დიდი ცხოვრებისეული პროცესი, ათასგვარი შფოთითა და ზოგჯერ ბრძოლითაც რომ არის შეზავებული, გამოხატავს ქართველი საზოგადოებრიობის ერთიანობას და ეს, ჩემი აზრით, ფრიად მისასალმებელია.

**— როგორ გესახებათ, ბატონო როინ, აი ამ, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით გულანთებული ჩვენი ახალგაზრდობის მონაწილეობა დიდ და საყოველთაო სახვალიო სამზადისში?**

— აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია ჩვენი მოძრაობის რეაქცია ყველაფერზე, რაც საქართველოს ეროვნულ საკითხთან არის დაკავშირებული. მე სულაც არა ვარ იმის მომხრე, რომ მოძრაობის მონაწილეთ ე. წ. „ფორმალებად“ და „არაფორმალებად“ ჰყოფდნენ. ის, რაც ახლა ხდება, ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესია და, გვინდა თუ არ

გვინდა. ანგარიში უნდა გავუწიოთ მას. მე სრულიად გამართლებულადაც მიმაჩნია, როცა ახალგაზრდობა ხმას იმაღლებს ამა თუ იმ უარყოფითი გამოვლინების წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთან, ვფიქრობ, რომ ყველაზე მთავარი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება-საქმიანობაში, — მე მხედველობაში მყავს სკოლის მოსწავლეებიც და სტუდენტებიც — ცოდნის დაუფლებაა — ცოდნის დაუფლება ისეთ დონეზე, როგორიც ჩვენს საქმეს ესაჭიროება, როგორც ესაჭიროება საქართველოს ხვალინდელ დღეს. როცა ჩვენს დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ახლავე შევიგნოთ და ვიცოდეთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ საქმის მცოდნე, განათლებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დასჭირდება. და იცით, მე ცოტა ძნელად მესახება, რომ დღეისათვის არსებულ ვითარებაში მოხერხდეს ეს. მხედველობაში მაქვს თუნდაც ის გარემოება, რომ წლეულს ჩვენს სასწავლებლებში ერთი თვით გვიან დაიწყო სწავლა. გაუმართლებლად მიმაჩნია სტუდენტობისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა გაფიცვებში მაშინ, როცა სწავლის პროცესი ფაქტობრივად ჩაშლილია. ვფიქრობ, რომ ამისგან აუცილებლად უნდა გავთავისუფლდეთ, თუკი მართლა გვინდა, კარგი სპეციალისტები გვყავდეს.

დღის წესრიგში გარდაუვალად დადგა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ძირეული გარდაქმნის, ის კი არა, საერთოდ გაუქმების საკითხი. ეს ბუნებრივია, ამგვარი სახით მათი არსებობა დღეს და, მეტადრე ხვალ, წარმოუდგენელია. ამასთან ერთად, ამ ორგანიზაციების საქმიანობას რომ აფასებენ, იმასაც ამტკიცებენ, თითქოს არც ერთ მათგანს წარსულში კარგი არაფერი გაეკეთებინოს. **თქვენ, როგორც ყოფილი კომკავშირული მუშაკი, რა აზრის ბრძანდებით ყოველივე ამის შესახებ და როგორ წარმოგიდგენიათ სამომავლოდ ჩვენი ყმაწვილების, ახალგაზრდების გამაერთიანებელი ორგანიზაციები?**

— იყო დრო, როცა კომკავშირმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაახლოებით 25-30 წლის წინათ კომკავშირმა დიდი მუშაობა გასწია შემოქმედებით, სამეცნიერო ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდა დეპუტატებთან. იყო სხვა პერიოდებიც, როცა კომკავშირიც და პიონერიაც მართლაც კარგ საქმეს აკეთებდნენ. მაგრამ აი, 50-იანი წლების დამლევს და 60-იანი წლების დამდეგს ახალგაზრდობამ ერთგვარად გული აიყარა საქმეზე, ეს განსაკუთრებით შემოქმედებით ახალგაზრდობას, ახალგაზრდა მეცნიერებს დაეტყოთ. თუმცა ამას შემდგომში ერთგვარი შემობრუნება მოჰყვა — გახშირდა ახალგაზრდების შემოქმედებითი და სამეცნიერო მივლინებები, დაწესდა კომკავშირული პრემიები...

იცით, მე ცოტა არ იყოს, გული მწყდება და მეჩოთირება კიდეც, ასე ხელაღებით რომ ჩაიქნიეს ხელი კომკავშირზე, თუმცა ამის ახსნაც შემიძლია. ჩემი აზრით, კომკავშირი რომ მძიმე დღეში აღმოჩნდა, ამის მიზეზი იქიდან მომდინარეობს, რომ 70-იან წლებში, როცა პარტიის ავტორიტეტი ერთგვარად შეირყა, შეირყა კომკავშირის ავტორიტეტიც. კომკავშირში მომრავლდნენ კარიერის მაძიებლები და ეს საქმესაც უმალ დაეტყო. ცხოვრების რეალობის გაშიშვლებამ აშკარად დაგვანახვა პარტიის შეცდომები; კომკავშირიც, როგორც ღვიძლი შვილი, იმეორებდა მის შეცდომებს და ამას კი შედეგად მისი ავტორიტეტის სრული გაუფასურება მოჰყვა.

არ ვიცი, რა ერქმევა და რა კონკრეტული სახე ექნება ჩვენი ახალგაზრდობის მომავალ ორგანიზაციას, იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ჭაბუკებს და ქალიშვილებს, ჩვენს მოზარდებს სჭირდებათ თავიანთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც რეალურად დაეუფლება ახალგაზრდულ მოძრაობას და სწორ მიმართულებას მისცემს მას. და ეს უნდა იყოს არა ფორმალიზმზე დამყარებული, დრომოჭმული, არამედ რეალობაზე დაფუძნებული, ახალი ორგანიზაცია, რომელიც პირდაპირ, თვალებში ჩახედავს სიმანდვილეს და, აქედან გამომდინარე, ააგებს თავის საქმიანობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება ახალგაზრდულ თუ ბავშვთა ორგანიზაციას ავტორიტეტი.



როინ მეტრეველი

ესაუბრა მ. კარბარეთელი

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

№ 2 თებერვალი 1990

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ამ შეხვედრაზე სტუმრებმაც და მასპინძლებმაც კიდევ ერთხელ აგრძნობინეს ერთმანეთს, რომ ყველანი დედასაქართველოს შვილები არიან

ფოტო ზურაბ ტურიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# »სიტყვა ძვირ ვაჭროთ ყველამ«

კახეთის აღმოსავლეთში მოსახლე იძულებით რჯულნაცვალი ქართველებისათვის შერქმეული სახელის მიხედვით (იანგილ — ინგილ თურქულად ახალს, ახლად მორჯულებულს. ახლად მოქცეულს ნიშნავს) ეწოდა საქართველოს მოსხლეტილ ამ მიწა-წყალს საინგილო.

საინგილო მუდამ იყო და არის ქართველთა საფიქრალიც, სადარდებელიც და საზრუნავიც. ბოლო დროს კი ეს კუთხე ისეთი სატკივარიც შეიქნა ჩვენთვის, წამითაც რომ არ გვავიწყებს თავს. კი, თითქოს ვზრუნავდით, მაგრამ, ეტყობა, საქმეს კვლავ და კვლავ სიტყვა სჭარბობდა, იმიტომ რომ აქაური ქართველობის მატერიალურ შეჭირვებას გულგატეხილობაც ემატებოდა და ჩვენს მოძმეთ უნუგეშობა აბეჩავებდა. ერთობ გვიან კი მოგვივიდა, მაგრამ მაინც მივხვდით ამას და ხელი გამოვიღეთ. ახლა სიტყვას საქმეც მოსდევს, ხოლო საქმეს — იმედი, გამოცოცხლება და აღორძინება. მთავარი კი ის არის, ინგილო-ქართველებმა იგრძნეს, რომ დედასაქართველოს იქაურებიც თავის შვილებად ეგულვის.

საგრძნობლად გახშირდა ქართველი სტუდენტების, მოსწავლეების, სხვადასხვა შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა ჩასვლა აზერბაიჯანის ქართულ რაიონებში — ბელაქანში, ზაქათალაში,



ფუძეჩაყრილ მეგობრობას მოშლა არ უწერია

კახში. ჩადიან და თან, საჩუქრების გარდა, გულის სითბო და თანადგომის სხივიც ჩააქვთ. აქეთაც უფრო ხშირად იწყეს ჩამოსვლა ინგილოებმა — სტუმრად, საქმეებზე, მეგობრების მოსანახულებლად. ყველაზე სასიამოვნო ამ ურთიერთობაში უთუოდ ის არის, რომ იქაური და აქაური ქართველი ახალგაზრდობა, მოზარდი თაობა დაადგა ერთმანეთისკენ სავალ გზას. იმათ შორის კი, ვინც ამ გზაზე შედგა ფეხი, რუსთავის მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლეებიც არიან.

მეგობრობას დასაბამი გასულ გაზაფხულზე მიეცა, მას შემდეგ, რაც სკოლის მეშვიდეკლასელებმა თავიანთი ზეპირი ჟურნალის ერთ-ერთი გვერდი საინგილოს მიუძღვნეს, მათ გადაწყვიტეს, ჩასულიყვნენ საინგილოში, კერძოდ კახში, და ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ იქაურ თანატოლებთან.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ეთერ ხარბედიას იდეას ერთხმად აუბეს მხარი მოსწავლეებმაც და № 4 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პედაგოგ-ორგანიზატორმა თამაზ კვარაცხელიამ. საქმეში რუსთაველის საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციაც ჩაერთო და რუსთაველი მოსწავლეები კახის საშუალო სკოლას ეწვივნენ. მასპინძლებს, იქნებ, იმდენად საჩუქრად ჩატანილი ქართული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა არ გახარებიათ, რამდენადაც მოძმეთა ხილვა. ხელად დაახლოვდნენ ბავშვები, იოლად გამონახეს საერთო ინტერესები. მასწავლებლებმაც გულთბილად ისაუბრეს, სიხარული და საფიქრალი გაუზიარეს ერთმანეთს. მერე სტუმარ-მასპინძლები სკოლის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ, იმღერეს, ლექსები თქვეს. კახიდან წამოსულებმა ქოთოქლოელ ქართველებსაც შეუარეს, ისინიც გაახარეს, იმათაც არგუნეს ქართული წიგნები და სხვა საჩუქრები, იმათაც უწილადეს გულის სითბო.

მეორედ გასულ შემოდგომაზე შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად მასპინძლები რუსთაველები იყვნენ და დიდადაც ასიამოვნეს სტუმრები: ქალაქში გაასეირნეს, მეტალურგიული ქარხანა დაათვალიერებინეს, მეფოლადეებს შეახვედრეს, იალღუჯის მთაზე აიყვანეს, ქართულის, ისტორიის, რუსულის, ფიზიკის გაკვეთილებზე დაასწრეს. ყველაზე მეტი სიხარული კი სტუმრებსაც და მასპინძლებსაც სიმღერის გაკვეთილმა მოუტანა. გარკვეული დროიდან რუსთავის მე-18 სკოლაში სიმღერის გაკვეთილები ძირითადად ქართული ხალხური სიმღერების შესწავლას ეთმობა და ახლაც მთელი მოწადინებით უმღერეს მეშვიდეკლასელებმა თავიანთ მეგობრებს ომახიანი „ლაშქრული“ თუ ხალისიანი „ცანგალა და გოგონა“. ტოლი არც სტუმრებმა დაუდეს, თურმე ისინიც სწავლობენ თავიანთ სკოლაში ქართულ ხალხურ სიმღერებს და ახლა იმათ შემოსძახეს წკრიალა ხმით.

მერე კი სკოლის სააქტო დარბაზში შეკრებილმა სტუმარ-მასპინძლებმა კიდევ ერთხელ აგრძნობინეს ერთმანეთს, რომ ყველანი საქართველოს შვილები არიან. ბევრი იყო იმ საღამოს ლექსიც და სიმღერაც, ცრემლიც და ღიმილიც. სიხარულიც და სიყვარულიც. და, რაც მთავარია, სიმღერაშიც და ლექსშიც, თითოეულ სიტყვაშიც იგრძნობოდა იმედი, რომ დაწყებული ურთიერთობა განმტკიცდება და ინგილოებს სამშობლოს მოწყვეტილობის ტკივილს დაუამებს.

**მ. ზაალიშვილი**



რუსთაველებმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად თავიანთი გულების სითბოც გაატანეს



დახედავენ გოგონები განშორების წინ გადაღებულ სურათს და ღიმილით გაიხსენებენ იმ სიხარულიან დღეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელგუჯა
მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მე და თორნიკე ველოსიპედზე ვისხედით და თავდაღმართში მივქროდით. ის საბარგულზე მეჯდა, ზოგჯერ ყანჩასავით გრძელ ფეხებს ძირს მოათრევდა და ამით სიჩქარეს ანელებდა.

ზაფხულის ცხელი ქარი გველამუნებოდა მზით ალანძულ სახეებზე და შიშველ მკლავებზე, ქარს ალმურთან ერთად მწიფე გარგარისა და აყვავებული მზესუმზირების სურნელიც მოჰქონდა ბაღებიდან.

მდინარისპირა რიყიანზე დავივაკეთ და თორნიკემაც მაღლა ასწია ფეხები, აღარ მამუხრუჭებდა, ახლა უკვე ჭალიანში მიყრილ ნახირს ათვალიერებდა და სხვა აღარაფრისათვის ეცალა.

— აქ, ბიჭო, მთელი აკვედუკი აუგიათ, — ახლა მდინარის კალაპოტზე გადებული ვეება მილებისაკენ დაიწყო ცქერა.

მივუხვდი: უნდოდა ჩემთან თავისი განსწავლულობა გამოეჩინა, ეგონა, რაკი სოფლის სკოლაში ვსწავლობდი, ჩემთვის უცხო იქნებოდა ეს სიტყვა.

— აკვედუკი კი არა, ის არ გინდა, უბრალოდ ხევზე გადადებული ორი დიდი მილია და შიგ სარწყავი წყალი გაედინება. აკვედუკი ხიდზე გაყვანილ წყალსადენს ჰქვია.

— ახლა ეს მითხარი, ამ ადგილს რატომ ჰქვია საყარი? — სიტყვა გადამისხვაფერა.

— იმიტომ, რომ შუადღისას აქ მორეკავენ ხოლმე დანაყრებულ ნახირს, საქონელი წყალს დალევს, იქვე მიეყრება ხოლმე და იცოხნის. შენ რა, სულ გადაგავიწყდა ყველაფერი?

— ბედი ჩემი — წელს საქართველოში გადმოიყვანეს მამა და მეც ქართულ სკოლაში ვსწავლობდი, თორემ შარშან რომ გენახე, მაშინ რაღას იტყოდი, — თორნიკე ველოსიპედიდან ჩამოხტა, რაკი შემატყო, რომ სვლა შევანელე და გაჩერებას ვაპირებდი.

სანამ მე ველოსიპედს ადგილს მივუჩენდი, თორნიკე ნელა მიდიოდა ბიჭებისაკენ და თან ნახირს ათვალიერებდა, ალბათ იმ ურა კვიცს ეძებდა, რომლის დასახატავადაც წამოვიდა. მეთაურის საველე ჩანთა მხარიღლივ ჰქონდა გადაკიდებული, მიდიოდა და თან შიგ ხელებს აფათურებდა, ეტყობოდა, ფანქარსა და ბლოკნოტს ეძებდა.

მამამისი ზევადიან სამსახურში იმყოფებოდა, ტანკისტების ზემდეგი იყო და ოჯახით სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ჯერ გერმანიაში, მერე რუსეთში, ახლა კი საქართველოში გადმოიყვანეს.

ურა კვიცი ტირიფის ქვეშ იდგა, აღმოსავლეთის ხორშაკიანი ქარი ძუაფაფარს უწეწავდა, თავაწეული და ტანშემართული რძეში გავლებულს ჰგავდა.

მე და თორნიკე მას უკვე ჯაფირის რაშს ვეძახდით. ბევრი ძებნის შემდეგ ის ჩვენ წუხელ ვიპოვეთ, როცა ნახირი სოფელში შემოდიოდა. ჯერ გაუხედნავი იყო, არც ლაგამი ენახა და არც უნაგირი. ჩაქუფრებულ თვალებში და ცხელი სისხლით მთრთოლვარე იოგებში ქროლვის ჟინი ედგა, ნამდვილი ზღაპრული რაში იყო. ჯაფირი თუ შეჯდებოდა — მხოლოდ ასეთ მერანზე.

თორნიკე ჯაფირის დახატვას აპირებდა, მისთვის ეძებდა ცხენს.

მდინარის ჩახრამული კალაპოტის ერთი ნაპირიდან მეორემდე გადადებული მილები შავად დალიშხულები მოჩანდნენ ამ თაკარა მზეში, რაც იმას ნიშნავდა, რომ წყლით იყვნენ სავსე.

მეორე ნაპირზე მილებიდან გამოვარდნილი კამკამა წყალი ღრმა სატრიალოს ქმნიდა და ბიჭები აქ იყვნენ შეგროვილი. ზოგი ჭყუმპალაობდა, ზოგი მზეს ეფიცხებოდა ბანაობის შემდეგ.

მე მალე მიცნეს და ჩემკენ აღარ გამოუხედავთ, თორნიკეს აკვირდებოდნენ. მე მალულად ვათვალიერებდი თითოეულს, ძალიან არ მინდოდა, რომ ტოლე დამენახა, ვიცოდი, აგვიხირდებოდა და ჩაგვამწარებდა აქ მოსვლას. ის იყო, შვებით ამოვისუნთქე და თავი დავიარხეინე, აქ არ არის-მეთქი, რომ სილაში ნაგორავებმა შავსათვალიანმა თმააჯაგრულმა ბიჭმა წამოყო თავი. —გუნება წამიხდა.

— თორნიკე, დამიცადე! — გავძახე მეგობარს, ახლოს მივედი და ხმადაბლა ვუთხარი: — თუ ძმა ხარ, მაგ ტიპს ნუ აჰყვები, სილაში რომ ბურვაკივით გორაობს, შენი საქმე აკეთე.

ტოლე წამოიზლაზნა და ზანტი ნაბიჯით წამოვიდა სატრიალოსთან შექუჩებული ბიჭებისაკენ, გადაბმული წარბები შეიტეხა და დიდრონი შავი თვალები დაწკურა.

— ლეგა შემომაკვდება, — გამოსცრა და ალესილი კბილებით ბალახის ღერი გაკვნიტა, ჩემს წინ იდგა და მკერდაბორგებული საბერველივით ქშინავდა.

— ჩემთან რა გინდა? — მივუგე შემრიგებლურად.

— ბიჭო, შენ რა უნდა მომატყუო, სახეზე გაწერია, რაც უთხარი მაგ შენს ქალაქელ მეგობარს.

კამათი ზედმეტად ჩავთვალე, სულ ერთი იყო, ვერაფერს შევასმენდი, მასთან მხოლოდ ძალა სჭრიდა, მეტი არაფერი. განზე გავდექი.

ჩვენზე ორი წლით უფროსი იყო. ერთი სული ჰქონდა, მეცხრე კლასი როგორმე დაემთავრებინა და სკოლიდან გასულიყო. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაამთავრა. ორჯერ დატოვეს და ამასობაში ჩვენც წამოვეწიეთ. სექტემბრიდან ერთად უნდა გვესწავლა. მამამისს ორ სხვა მეზობელთან ერთად იჯარით ჰქონდა აღებული ფერმა. ზაფხულობით შვილებს ამწყემსინებდნენ ფერმის ძროხებსა და მოზვერ-დეკეულებს. ტოლე წითელ ცხენზე ამხედრებული მიჰყვებოდა ნახირს, თავის ორ ამხანაგს, ლუას და თაზიას გარემარბებად თვლიდა, ერთს მარცხნივ აგზავნიდა, მეორეს — მარჯვნივ, შუადღისას საყარზე მორეკავდნენ საქონელს, ტოლე აქ თავის გემოზე ბანაობდა, სილაზე ნებივრობდა და პირდაპირ ჯიქნიდან ჩამოწველილი უმი რძით დაჟიებულ თეთრ პურს მიირთმევდა. ახლაც რძის სუნი უდიოდა.

თორნიკე დიდ სიპზე ჩამომჯდარიყო და თეთრ ულაყს ხატავდა. გავიხადე, ტრუსის ამარა დავრჩი და სატრიალოს ციცაბო ნაპირას შევდექი. ვიდრე წყალში გადავეშვებოდი, რამდენიმე ვარჯიში შევასრულე. ტოლე ჯერ მე მიბღვეროდა, მაგრამ რაკი ყურადღება არ მივაქციე, მომეშვა, ახლა თორნიკესკენ დაიწყო ცქერა.

— ეი, ქალაქელო, მოდი აქ! — გასძახა რიხით.

სილაზე მიყრილმა, მზეს მიფიცხებულმა ბიჭებმა თავები წამოყვეს, მიხვდნენ, რომ სეირი იყო მოსალოდნელი. მეც დამავიწყდა, რომ ბანაობას ვაპირებდი.

თორნიკემ ყურიც არ შეიბერტყა ტოლეს ძახილზე, გამალებით ხატავდა, არც გაემტყუნებოდა: თეთრი ურა კვიცი, ეტყობოდა, ბუზებმა შეაწუხეს, ტლინკავდა, ფრუტუნებდა, ერთხელ ყალყზეც შედგა და დაიჭიხვინა. აბა, ამისთანა მოძრაობებს თვალს როგორ მოწყვეტდა მხატვარი!

ტოლე ნელა წავიდა მისკენ და მეც გვერდით ავედევნე, ერთი შემომიბღვირა, მაგრამ არაფერი დასცდენია, გაავებული კი ჩანდა.

მიახლოებული ნაბიჯების ჩქამზე თორნიკემ თავი ასწია და ჩვენკენ მოიხედა. აინუნში არ ჩაუგდია არც ტოლეს გადმოქაჩული თვალები და არც მისი გაავებული ქშენა, ხატვა განაგრძო, მე შემეშინდა მის მაგიერ, რადგან ვიცოდი, რა ავზნიანი იყო სატრიალოს ატამანი.

ტოლე თავს წაადგა, ჯერ დააპირა წიხლი ამოეკრა მეთაურის ჩანთისათვის, იქვე რომ იდო, მაგრამ უნებურად ნახატს შეასწრო თვალი და ნახულმა დაატყვევა, სუნთქვაშეკრული დაჰყურებდა და თითქოს თვალებს არ უჯერებდა — ჩვეულებრივი ქაღალდი თითქოს გაირღვა და იქიდან უბელო თეთრი რაში ამოდიოდა, მიწას ტორავდა და რისხვით ჰიხვინებდა.

— ე, ქალაქელო, ჩემი წითელი ცხენი დაგეხატა, რაღა თეთრს ხატავ, — ესღა უთხრა.

— წითელი არ ივარგებს, — თავაულებლად მიუგო თორნიკემ. — ჯაფირს თეთრი ულაყი ჰყავდა, თანაც რაში.

— ჯაფირი ვიღაა? — გაიკვირვა ტოლემ.

— აქ ცხოვრობ და ჯაფირი არ გაგიგონია, — თორნიკემ ჩაიქირქილა და ტოლეს მაშინვე ავად წამოენთო თვალები. — ვახუშტი გასაგებად წერს, თრიალეთის მთებში, ამა და ამ ადგილასო არის ჯაფირის საფლავი, სიგრძით ხუთი ადლიო, ადლი კი ოთხი მტკაველი იყო, თანაც ჩვენი მტკავლით კი არა, ჩვენი გოლიათი წინაპრებისა.

ტოლემ წარბები შეიჭმუხნა, სასეიროდ მოხენცილი ბიჭები შეათვალიერა, ერთს სახრე გამოსტაცა, მტკავლით გადაზომა და ახლა რიყიან კორდზე გადათვალა ხუთი ადლი.



ელგუჯა
მერაბიშვილის
მოთხრობამ
„ხატის კაცი"
ჟურნალ
„პიონერის"
კონკურსზე
მეორე
პრემია
დაიმსახურა

— ტყუილია, არსადაც არ იქნებოდა ამისთანა კაცი. — დაასკვნა მტკიცედ.

— ვახუშტი წერს, იყოო, მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა, როსტომ მეფის დროსო, — არ დაუთმო თორნიკემ. — თუ ჩემი არ გჯერა, ლეგას ჰკითხე.

ტოლემ ახლა მე დამიბრიალა თვალები.

— ჯერ ეგ ვახუშტი რას მეუბნება ჭკვიანურსა, ამან რა უნდა მითხრას! მაგისთანა საკენკავი თქვენს წიწილებს დაუყარეთ. წინათ რა იყო, ეგა გრამაფონშია, ეხლა ვინ არის ბიჭი, ის გავარკვიოთ. აქ რომ ზიხარ და ხატავ, ალა-ალა ხომ არა გგონია, აქ მე ვარ უფროსი, მე უნდა შემეკითხო!

თორნიკე წამოდგა და თითქოს ახლა დაინახაო, გაკვირვებით შეხედა ტოლეს.

— უფროსად ვინ დაგაყენა? — ჰკითხა მშვიდად.

— დამეჭიდე და გაიგებ! — ტოლემ მკლავები დაკუნთა.

— ამით ვერაფერს დაამტკიცებ, მე არასოდეს მიჭიდავია, შეიძლება, აგე, ის პატარა ბიჭიც კი მომერიოს, მთელი ხმელეთი შენთვის დამითმია, რა გვაქვს გასაყოფი?

— ხმელეთი უბრძოლველად დამითმე, ესე იგი ჩემს ძალას აღიარებ, წყალსაც მითმობ თუ შემეჯიბრები?

— რაში უნდა შეგეჯიბრო?

— ემაგ მილებს ხომ ხედავ, თავში ფაცერი აქვთ აფარებული, წყალმა შიგ არაფერი შეიყოლოსო, იმას მოვაცლით, ერთის შავ ხახასთან მე დავდგები, მეორესთან შენ, მსაჯი სამამდე დაითვლის და ჩვენც შიგ ვდურთავთ თავებს.... სანამ აქეთ ნაპირზე არ გამოხვალ, ვერც თავს ამოჰყოფ წყლიდან და ვერც ჩაისუნთქავ...

— ვერც მკლავს მოუსვამ, რომ მალე გამოხვიდე, — შეფიქრიანებულმა თორნიკემ თვალი ერთი ნაპირიდან მეორემდე გააყოლ-გამოაყოლა მილებს.

თვალებწამონთებული ბიჭები რიგრიგობით შეჰყურებდნენ მეტოქეებს, ყველას იზიდავდა საფრთხესთან თამაში, მაგრამ მხოლოდ რჩეულები თუ ბედავდნენ. მე თორნიკეს გვერდით დავდექი და მკაფიოდ მესმოდა ჩემი გულის ბაგაბუგი.

— თანახმა ვარ, დავიწყოთ შეჯიბრი! — მტკიცედ თქვა მხატვარმა, ბლოკნოტი და ფანქარი საველე ჩანთაში ჩადო და მე გამომიწოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ჩვენ მივიდოდით, წინ გაქცეულმა ბიჭებმა ფაცერი მოაცალეს მილებს და განზე გადგნენ. ტოლე და თორნიკე ამოსაკვრელის ამარა დარჩნენ. ორივე მილების წინ დადგა, წყალი სწრაფად მიედინებოდა და მილების დაბჩენილი ხახებისაკენ ეწეოდა ბიჭებს.

ძლივს გავხსენი კრიჭა და სამამდე დავთვალე, ორივე დგაფუნით ჩავარდა წყალში და მილებში გაუჩინარდა.

ყველანი მეორე ნაპირისაკენ გავიქეცით. ადრე აქ ხშირად გვენახა წყალნაყლაპი, დაბნედილი ბიჭები, არხისპირა ფერდობზე თავდაღმა დაგვიწვენია და მოგვისულიერებია, და ახლაც საამისოდ ვიჭერდით თადარიგს.

ტოლეს ერთგული მეგობარი წრიპა სატრიალოზე იხვივით ტივტივებდა, მალიმალ ჩაყურყუმალავდებოდა და წყლის ხმაურზე ხვდებოდა, თუ რამდენზე მოახლოვდნენ.

— ორივენი თანაბრად მოდიან, — თქვა თავის ამოყოფისთანავე, მაგრამ მერე შეასწორა: — ტოლე ცოტა წინ არი.

ლოდინში ზოზინით გადიოდა დრო. გულაჩქროლებული ველოდებოდით ბიჭების გამოჩენას, კრინტს არავინ სძრავდა. წრიპამ კიდევ ერთხელ ჩაყვინთა და, ვიდრე ის თავს ამოყოფდა მილთან, ჯერ თორნიკეს წაბლისფერი თმა გაიწეწა სიმინდის ულვაშივით, მერე ტოლეს გრუზა თმა გაიჩეჩა ყომრალი მატყლივით, ორივემ თითქმის ერთდროულად ამოჰყო თავი. ლოქოებივით ყლაპავდნენ ჰაერს.

თორნიკე კმაყოფილი იღიმებოდა. ტოლეს სახე კი კვლავ მუქარას გამოხატავდა.

— წრიპა, კამეჩები მორეკე! — გამოსძახა ნაპირზე





გამოსულ ამფსონს. — ახლა მეორე ტური იწყება, ძმაკაც, — გადაულაპარაკა თორნიკეს.

ორივე ნაპირზე გამოვიდა, ისხდნენ და თანდათან იოკებდნენ ავარდნილ სუნთქვას. თორნიკეს ეტყობოდა, აზრზეც არ იყო, თუ რა განსაცდელს უმზადებდა მას სატრიალოს ატამანი.

წრიპამ ჯერ ლომა კამეჩი შეაგდო არხის წყალში, დინების გარდიგარდმო დააყენა, კუდზე მოჰკიდა ხელი, თან ნელა უგრეხავდა და თან ჩასძახოდა:

— ხიიშ, ლომა... ხიიშ... ხიიშ!

კამეჩი ჩაწვა და ზვირთებად ააგორა წყალი. წრიპამ ახლა ყორანა კამეჩი შეაგდო და მასაც ასევე დაუწყო შელოცვა თუ ვედრება და ისიც ჩააწვინა.

სატრიალოსთან წყალი შეგუბდა, მისმა დონემ მილების ზევითა ნაპირებს უწია.

— აბა, წავედით! — შესძახა თორნიკეს ტოლემ და მილების თავისაკენ გაიზლაზნა.

თორნიკეც წამოდგა. მე გულზე შემომეყარა.

— წყალი უკვე დგას, რამ უნდა გამოიყვანოს აქეთ ნაპირზე, არსადაც არ წამოვა! — გავძახე და თორნიკეს ხელი მოვკიდე.

— ლეგა, წელან გადამირჩი, რომ არ დაგასახიჩრე, ახლა კი ველარ გადამირჩები... თუ მაგისთვის დგას წყალი, ჩემთვის აღარა დგას? თუ მე ფეხებზე გკიდივარ?! — მიყვირა ტოლემ და ჩემკენ გამოემართა.

ცხვირკეხიანი, ჯიჯლი, ტანდაკუნთული და თმააჯაგრული დევის შვილს ჰგავდა. ადგილიდან არ დავძრულვარ, ხელები დავმუშტე და ველოდი. შედგა, ავად ჩაიღიმა.

— ჯობია ძალები დაზოგო, ძმაკაცს რომ დაგიმარცხებ, მერე დადგება შენი ჯერი, — გაბრუნდა და ზლაზვნით წავიდა მილების თავისაკენ.

სწორედ ამ დროს უკანიდან ვიღაცა მომიახლოვდა და გაკეცილი ქაღალდი ჩამიდო მუჭში, არ მოიხედო, ცაგო ვარო, ჩამჩურჩულა და გამეცალა.

სანამ ტოლე უკან მოიხედავდა, მოვასწარი წაკითხვა და თორნიკეს მალულ გადავეცი, მანაც სხვებისაგან შეუმჩნევლად გადაავლო თვალი ნაუცბათევად ნაწერს და უკანვე დამიბრუნა.

„ორივე მილის თავში, წყლის ფსკერზე კაპრონის თოკგამობმული თითო პალოა ჩარჭობილი, თოკის ბოლოები მილებშია გამოშვებული და სატრიალომდე უწევს, იქ წრიპა დგება, იოლად პოულობს თოკის ბოლოს და თავისკენ ეწევა. შენ და თორნიკეც ეგრე უნდა მოიქცეთ“.

გუნებაში ვიმეორებდი ამ სიტყვებს და ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩვენუბნელ ცაგოს კი ვენდობოდი, მაგრამ ვაითუ სხვებმა — ტოლეს ერთგულმა მონებმა გააცურეს გოგო და რაღაც მონაჩმახი თავიანთი ატამანის საიდუმლოდ გაასაღეს. ახლა ალბათ დგანან და გულში დაგვცინიან. ნახევრად შევბრუნდი და მალულ შევათვალიერე სეირის მომლოდინეთა სახეები, ყველა იქით იყურებოდა, სადაც თორნიკე და ტოლე იდგნენ.

ატამანმა, ვითომდა წესიერებას ვიცავო, კენჭი ამოუღო მეტოქეს, ვისაც კენჭი ერგებოდა, იმას უნდა აერჩია, თუ რომელ მილთან დამდგარიყო. მე უკვე მეშინოდა თორნიკეს მაგიერ, შეცივნულივით ვძაგძაგებდი.

ანაზდად წრიპა სატრიალოსთან მივიდა, არც აცია, არც აცხელა, წყალში შეტოპა და იმ მილის ბოლოსთან დადგა, რომელიც ტოლეს ერგო წილად.

— შენ მანდ რა გინდა, გამოდი ახლავე! — ვუყვირე და ქვას დავწვდი.

სახეზე ხელი აიფარა და ყვირილი გააბა.



— დაანებე თავი, ეგ ქვებს მიკაკუნებს ხოლმე მანდედან და მაგითი ვზომავ, თუ რამდენი დამრჩა გამოსაცური, მაგის მიხედვით ვხარჯავ ჰაერის მარაგს... ეგ ჩემი სეკუნდანტია, — მუშტს მიღერებდა და ისე მეძახდა ტოლე.

— მაშინ თორნიკესაც ხომ ეკუთვნის სეკუნდანტი?

— ჩადი მერე წყალში, ვინ გიშლის? — გამომძახა.

— შენ გაუთვალე, უფრო მკაფიოდ გაიგონებენ, — ვუთხარი ცაგოს და სატრიალოში გადავეშვი, დავყვინთე, ვითომ ქვას ვეძებდი.

მილთან მივცურდი, ხელები მოვაფათურე და, როგორი იყო ჩემი სიხარული, როცა სლიკინა თოკის ბოლო დავიჭირე.

— ერთი, ორი და — სამიიი! — გაიწკრიალა ცაგოს ხმამ.

მეტოქეებმა მკლავები წინ გამოტყორცნეს და მილებში გაუჩინარდნენ, ხელში არც ერთს არაფერი ეჭირა და ამან, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა. ყოველი შემთხვევისათვის თოკს მაინც მოვწიე, რაღაცა მძიმედ რომ მოედო, იმედი მომეცა და, რაც შემეძლო, ვეწეოდი თოკს.

ბიჭები ისე გნიასებდნენ, ნამდვილად მილების შიგნით შეაღწევდა მათი ხმები, ყველანი ტოლეს ამხნევებდნენ, მხოლოდ ცაგო იყო თორნიკეს ქომაგი.

წრიპას ვაჯობე, უწინ ჩემი გრძელმკლავება მეგობარი გამოსლიკინდა მილიდან, ახლაღა მივხვდი მის ეშმაკობას — თოკი ლაჯებშუა გამოეტარებინა და თითქოს იჯდა გარდიგარდმოდ მოდებულ ხის ჯოხზე.

პალო თოკიანად მაშინვე მივჩქმალე და თორნიკეს მივუბრუნდი, ის კი ლომა კამეჩზე აფოფხდა, მის ზურგზე გაწვა და ასე ისვენებდა.

იმავ წუთს ტოლემაც გამოცურა მილიდან, ეგონა, პირველი ვარო, წყლიდან დელფინივით ამოიწია და თორნიკეს შეასწრო თვალი. საშინლად დაიღმუვლა, ნაპირისაკენ გაექანა და ტორპედოსავით ააშხეფა წყალი. გავიდა, ცხელ რიყეზე სველი კვალი გაიყოლა და იქ მდგარ ბიჭებს თითო ალიყული გააწნა, მერე ჰიტლაყებიც მიაყოლა, თან ყიამყრალად იგინებოდა.

ალბათ ეჭვი მიიტანა, ჩემი საიდუმლო ამათ გასცესო.

ცაგო მოვძებნე თვალით. სატრიალოს ციცაბო ნაპირზე იდგა და მქირდავი ღიმილით ადევნებდა თვალს ტოლეს უმსგავსო საქციელს. ცისფერი კედები ეცვა, იმავე ფერის შარვალი და გულამოღებული უსახელოო მაისური. ხორშაკიანი ქარი ელამუნებოდა მის ფერფლისფერ კულულებს და ალბათ იმადაც ჰქონდა მოჭუტული ცისფერივე თვალები.

— არც კი გრცხვენია, გოგო გეგულება აქ და მაინც იგინები! — არცთუ ხმამაღლა, მაგრამ მკაცრად გასძახა ტოლეს, — მაგათ რას ერჩი, საიდუმლო მე გაგიმჟღავნე, — დოინჯი შემოიყარა, — ტუხია ძიას ბაღიდან გიყურებდით, შენ და წრიპა როცა მაგ ხაფანგს აგებდით.

— შენაა?! — იღრიალა ტოლემ და მისკენ წამოვიდა.

— მელიტონ, ჭკუით იყავი, ახლოს არ მომეკარო, თორემ ფქვილიან ტომარასავით გაიბერტყები, — გოგოს გასაცინებლად უთრთოდა თხელი ტუჩები, მაგრამ თავს იკავებდა. იმავ წამს სულ სხვა მხრიდან მოისმა ბუხუნი.

— ჰაი, ჯერ მანდ მოვიდე და მერე გიჩვენებთ, როგორც უნდა არხში კამეჩების ჩაყრა და წყლის დაწყვეტაი, — ტუხია მობუხუნებდა და თან ტალახიან რეზინის ჩექმებს მოაბრახუნებდა, ორმოცდაუკანასკნელი ზომა ეცვა.

ახლაღა შევნიშნე, მილებს თავს გადაუდიოდა არხის წყალი და ხევში გადაქუხდა. ბიჭები მიცვივდნენ და მაშინვე წამოშალეს კამეჩები, შეგუბებული მორევი ვეება ტალღად გაექანა ცარიელ არხში.

ლომა კამეჩის ზურგზე გარჩენილი თორნიკე ცხელი რიყის ალმურში იყო გახვეული და უდაბნოში მიმავალ ბედუინს ჰგავდა.

— აქ რაღა ხდება? — ნაცემი ბიჭებისაკენ გაიხედა ტუხიამ და მუქარით მოშვილდა ცალი წარბი.

— ხდება კი არა, უკვე მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, აი ეგ მტაცემწვალებელი ჩამოაგდეს ტახტიდან, — ტოლეზე მიუთითა ცაგომ და გადაიკისკისა.

სანამ ტუხია ჭიდაობის დროს გატეხილ, გაჭყლეტილი



ხინკალივით დაკიდებულ ყურს მოიფხანდა და რამეში გაერკვეოდა, ცაგო სხაპასხუპით მოუყვა, რაც მოხდა.

ტუხია ისე აროხროხდა, გეგონებოდათ, საღორე დაინგრა და ღორები ქვეშ მოიყოლაო, ათასნაირ ხმებს უშვებდა ქონმოწოლილი ყანყრატოდან.

— ვერ მოგივიდა კარგი საქმე, ტოლეირან ჩემო, მაგრამ რას იზამ, უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ მბრძანებელი აღარა ხარ, — ცაგომ ენა გამოუყო დაბღვერილ ატამანს.

— მბრძანებელი კი არა, უსინდისო ყოფილა, — დაიროხროხა ტუხიამ, — სულ იოლად შეიძლებოდა დამხრჩვალიყო ეგ უცხო ბიჭი! — კამეჩივით დიდრონი თვალები დააბრიალა, თორნიკეს დაუწყო ძებნა.

მხატვარი კამეჩიდან ჩამომხტარიყო, თავისი ბლოკნოტი აელო და ხატვას განაგრძობდა. ტუხია დევის ნაბიჯებით მიუახლოვდა.

— ბიჭოს, შენ აღარა ხუმრობ, აი... ვისი ცხენია? — ნახატს დააკვირდა.

— ცხენი კი არა, ცეცხლისმფრქვეველი რაშია, — შეუსწორა ცაგომ. — ზღაპრიდან მოჭრის და ჯერ მხედარი არ ჰყავს.

— ზღაპრიდან რატომ?.. მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოჭენაობს, ჯაფირის ცხენია, — თორნიკეს მაგიერ მე ვუპასუხე.

— თვითონ სადღაა ჯაფირაი, ალბათ მეორე გვერდზე გიხატია და უკან მოსდევს თავის რაშსა ქამანდითა, — დაიბუყბუყა ტუხიამ, — ბარემ გვაჩვენე ისიცა. ამბავი კი გამიგონია, მაგრამ თვითონ კაცი არ მინახავს არსადა. არც სურათში და არც ნახატში... რო შემახვდა, მივხვდებოდი, მართლა იმის მოგლეჯილია თუ არა ის ლოდი, ხატის ბუსნოს ზემოდან რო გდია მდინარეში. ეს ჩვენი ალიწეწია იმისთანა ამბებსა ჰყვება, რომა იმის გამგონესა თმები ყალყზე დაგიდგება, მე თვითონა უმძიმესი წონის მოჭიდავე კაცი ვარ. მაგრამ ვერ გავბედავდი მაგდენსა.

— ტუხია ძია, — გამოსძახა წრიპამ, — არხში წყალი დაცოტავდა და ახლა ლაფი მოდის.

ტუხია მძიმედ მიბრუნდა და სატრიალოსკენ წავიდა. ბიჭები უფრო ახლოს მივიდნენ თორნიკესთან და თვალს ადევნებდნენ, თუ როგორ გამოჰყავდა მხატვრის ფანქარს ქარში აწეწილი ფაფარი.

— სასკოლო მუზეუმში ჯაფირზე ლეგენდა უკვე შევადგინეთ, ეს სურათიც რომ გვქონოდა... — თორნიკეს გააგონა ცაგომ.

— ჯერ თვითონ ჯაფირი არ მიპოვია, იმასაც რომ ვიპოვი და რაშზე ავამხედრებ, მუზეუმისათვის აუცილებლად დაგიხატავთ, — თავაუღებლივ მიუგო თორნიკემ.

ტოლეს ნაცემი ბიჭები აღტაცებით უყურებდნენ მხატვარს, ტოლე კი არ ჩანდა მათ შორის, წითელი ცხენი დაეჭირა, ყელზე მობმული საბელი დაეავშარებინა და აქეთ-იქით დააგელვებდა. ნახირი წამოშალა და ახლა თავის თანაშემწეებს, ლუასა და თაზიას ემახდა, რაღას უდგეხართ, თქვე დოყლაპიებო, საქონელს მოხედეთო.

— ეს სულ თქვენი მაიმუნობაა... წყლის მაგიერა ლაფი მოდის არხში, — ტუხიას როხროხმა სატრიალოსაკენ მიგვახედა.

წინ წავდექით და გაკვირვებულები შევჩერდით ნაპირზე: არხში მართლაც შავად ალაფული წყალი მოედინებოდა.

— კამეჩები რომ ჩააწვინეთ, ალბათ სადმე ფლატე ჩამოამზღვლია დაგუბებულმა წყალმა, — ტუხიამ საყვედურით შემოგვხედა. — წყალიც იმიტომ დაცოტავდა. ლეგა, შენს გაზრდას, გაიქეცი, მილებთან ნახე, ფაცერი ხომ არ ამოჩართა მოტანილმა ჩეჩქმა, — დიდრონი თვალები შემომანათა და დიდრონი თითებით ულვაში ჩამოივარცხნა.

მაშინვე ადგილს მოვწყდი, მილებთან მივირბინე, მაგრამ ფაცერს ჩეჩქის მაგიერ მხოლოდ რამდენიმე ნაფოტი მოსდებოდა.

— ჩეჩქი კი არა, ნაფოტები მოაქვს შავ წყალს, — გავსძახე.

ტუხია ნელა წამოვიდა ჩემკენ, რეზინის ვეება ჩექმებს მოაბრაგუნებდა და თავისთვის რაღაცას ღმუოდა, ძლივს მიხვდებოდი, რომ სიმღერა იყო:

> წყალსა ნაფოტი მოჰქონდა ალვის ხის ჩამონათალი,
> დადექ, ნაფოტო, მიამბე, მოყვრისა შემონათვალი.

ნაფოტი გამომართვა, დასუნა, ხელში შეაბრუნა და არხს გააყოლა თვალი დაეჭვებულმა.

— წყალი კლებულობს, ნაფოტი მატულობს, ალაფულია-მეთქი ვჩიოდი, ახლა კი ისიც სადაცაა დაწყდება, — წრიპას ხელით ანიშნა, აქ მოდიო, და მე და ცაგოს მოგვიბრუნდა.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ა ნ ზ ო რ   ა ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი

### რწმენა

კაცს რა გწამდეს,
ან ვინ გწამდეს,
ვის დაუკრავ თავს მიწამდე?
სიმართლის გზას უნდა სდიო,
გინდ სიცოცხლე გაგიმწარდეს!
ორგულობა ეშმასია,
ერთგულების უნდა გწამდეს.
იუდასგან გაყიდული
მოძმის ხვედრი გულსა გწვავდეს.
ერთიც — თავისუფლებაა —
აი, რაიც უნდა გწამდეს,
გინდ ამისთვის მოძალადე
შეგკრავდეს და გაგბაწრავდეს.
უმთავრესი — სამშობლოა!
საქართველო უნდა გწამდეს,
ეგ მარჯვენა მის ღირსებას,
მის უფლებას დაიცავდეს.
კიდევ, შენი მშობელი და
წინაპარი უნდა გწამდეს.
ზნესრულობა იგიც გახლავს,
აგამაღლებს რაიც ცამდე,..
მე კი შენი ჭკუითა და
შვილთმრავლობით მინდა მწამდე.
რაც შევიძელ, აქამომდე
გზა-სავალი გაგიწალდე.
თუმც იმდენი შამბნარია
ჯერეთ კიდევ
კიდითკიდე
სათიბი და გასაწალდი,
იქნებ ვერც კი დაითვლიდე.
მაინც ხვალ-ზეგ
მზის ამოსვლა
სულ სხვაგვარი უნდა გწამდეს...
უნდა გწამდეს!
რომ მთა-ბარი
ხვალ ხელახლა აგიმწვანდეს.

### იმედის გზით

ქართლოსის ძემ ძნელზე ძნელი
თავის ხვედრი გზით იარა,
რაც ჩვენ, მერმე, შთამომავალთ
გაკვეთილად გვიზიარა.
თითქმის ორმოც საუკუნეს
მოსდევს ისტორიის შარას
და რაც შეუქმნია, მრავალს
დროის მტვერ-ბურუსი ჰფარავს.
შრომის ოფლით შენაღმული —
მუმლმისეულ მუხას ჰგავდა.
თუმც არ ჩანდა მისი შემწე,
თვის მომავლის მაინც სწამდა.
უკან ათასობით წლების
გაუვალი ტევრებია.
ვინ მოთვალოს, მისგან ქმნილი
რაც მტერს უცამტვერებია.
მაინც ბევრი გადაგვირჩა,
მოაღწია, აგერ, დღემდე,
რითაც, სხვამხრივ გულგატეხილს,
გული ვით არ გაგვიმრთელდეს.
სხვა რომ არ ვთქვათ,
ენა ჩვენი,
ან ანბანი რად ღირს თუნდაც.
ჩანს — განგებას უკვდავება
ჩვენი მარადისი უნდა.
სხვა რომ არ ვთქვათ,
მარტო ერთი,
ვეფხისტყაოსანიც კმარა,
მილიონი საუკუნის
გაანათებს რაიც წკვარამს.
ჩვენ ჩვენი გვაქვს საკუთარი
ისტორია, გზა და ხვედრი,
პეტრიწი და მოდრეკილი,
მარტვილი და ალავერდი,
ხანძთელი და ცურტაველი,
თმოგვი, გელათი თუ ჯვარი,
გორგასალი, მირიანი,
„დავით მეფე — საოცარი",
ფარნავაზი, ოპიზარი,
ცოტნე, დემეტრე თუ საბა...
დღეს რა ხდება,
ბევრ მიამიტს
ყურში ჩაუტენეს ბამბა.
თამარ მეფე,
წმინდა ნინო
თუ ქეთევან წამებული...
დღეს მათ სახელს შეურაცხყოფს
ჩვენს ჩრდილს შემოფარებული.
ვარძია, თუ
ბაგრატი, თუ
ვეფხისა და მოყმის ლექსი,
ლილეო თუ ოდოია —
ათას წლებში უდგას ფესვი.
ან კი როგორ იტყვი ყველას,
შეუქმნია რაიც ქართველს,
უთვალავი სისხლიანი
და უკუნი ღამის გამთევს,
სუსტის ქომაგსა და შემწეს,
მიმტევებელს ბევრის ცოდვის.
თითქმის ორმოც საუკუნეს
თვის ეკლიან გზებით მოდის.
რაც მას ჯავრი უთმენია,
ანდა ახლა რასაც ითმენს...
მაინც გაზაფხულებისკენ
მისდევს ისტორიის ზვირთებს.
მაინც წამოიმართება,
მადლს შესწირავს
უკვდავ გამჩენს,
ვინც წამებულს,
მართლის მსახურს
და სპეტაკ სულს გადაარჩენს.

### შავლეგო

ეს ლექსი ტექსტია კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის ნაწარმოებისა — „უკანასკნელი სიმღერა".

შავი აპრილი დამდგარა,
ვაი აპრილის დადგომას.
მე თქვენი ჯვარცმაც ვიხილე
და ჭეშმარიტი აღდგომაც.
უმანკო სისხლით განბანეს
ეგ დაჩეხილი სხეული
და მოსთქვამს ცრემლი დედისა,
ძაძაში გამოხვეული.
დაქანცული და ნატანჯი
სული იმ ცრემლმა დაგილტოთ.
თუმცა
ის ცრემლიც აჩეხეს,
სისხლისფრად გოდებს ამიტომ.
ოი, შვილებო მამულის,
ოი, ნასეტყვო ხეხილო,
აპრილის თეთრო ცისკარო,
შუაზე გადაჩეხილო.
ახლა შენ უნდა უმშობლო,
შენ უაბჯრო და უფარო
მამულის შვილებს —
ჯვარცმულებს,
თავად ჯვარცმულო უფალო.
. . . . . . . . . . . . . .
აპრილის ღამის ხელითა
სისხლის ლოგინი დაეგოთ...
აქ მათი უკანასკნელი
სიმღერა დაგვრჩა —
„შავლეგო".

# სკოლა ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის მე-16 საშუალო სკოლაზე მოგახსენებთ...

ჩვეულებრივია ეს სკოლა იმით, რომ მთლად ტყუპისცალივით არა, მაგრამ მაინც — ჰგავს სხვა სკოლებს: მაღალი ნათელი შენობა, ათასამდე მოსწავლე, საქმის მცოდნე პედაგოგიური კოლექტივი, ნაყოფიერი შრომითი საქმიანობა, ჩინებული სპორტული მიღწევები...

არაჩვეულებრივია იმით, რომ იგი ბათუმის ერთადერთი სპეციალიზებული სკოლაა, სადაც გაძლიერებით ისწავლება ინგლისური ენა და, რაც მთავარია, ისწავლება უმაღლეს დონეზე, სამაგალითოდ.

საკმარისია, სულ ერთი დღე დაჰყო ამ სკოლაში და მიხვდები, რომ დირექტორს — ვლადიმერ ბერიძესა და მის მოადგილეს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში — შოთა ჯიჯიეშვილს ენთუზიაზმით აღსავსე და ერუდირებული პედაგოგიური კოლექტივი უმაგრებს მხარს.

როცა სკოლის საქმიანობას, გულდასმით შედგენილ სასწავლო პროგრამას ეცნობი და ინგლისური ენის სპეციალისტ მასწავლებლებს გაესაუბრები, რწმუნდები, რომ უცხო ენის დაუფლება აქ თვითმიზანი არ არის, სკოლა როდი ცდილობს, გაზარდოს მაინცდამაინც უცხოურ ენათა ინსტიტუტის ან უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მომავალი სტუდენტები; პირიქით, სწავლა-აღზრდის პროცესი იქითკენაა მიმართული, რომ უმჯობესია მოზარდმა აირჩიოს სხვა პროფესია — ინჟინრობა, ექიმობა, მეზღვაურობა — უცხო ენა მას ისედაც ეცოდინება და გამოადგება როგორც პრაქტიკულ, ასევე — თუ მოისურვებს — სამეცნიერო მუშაობაში, რადგან, ცნობილია, ინგლისურენოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა უმდიდრესია მსოფლიოში.

თუმცა კურსდამთავრებულთა ნაწილი სწორედ უცხო ენის სპეციალისტი გახდა, მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა და თავის ყოფილ მასწავლებლებს ამოუდგა მხარში. მათ შორის არიან თამარ ტუღუში, თამარ მელაძე, რუსუდან სურგულაძე, ლია მაღრაძე, მედეა ფირცხალაიშვილი, მადონა გორგილაძე...

უცხო ენის საფუძვლიანი შესწავლისათვის აუცილებელია რაც შეიძლება ხშირი და მჭიდრო ურთიერთობა იმასთან, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. ბათუმის მე-16 საშუალო სკოლაში ამ მიზნით ყველა საშუალებას იყენებენ და, უპირველეს ყოვლისა — შეხვედრებს ბათუმის ნავსადგურში შემოსული უცხოური ხომალდების მეზღვაურებთან, ტურისტებთან.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნავსადგურში შემოვიდა ბრიტანეთის გემი „იუგანდა", რომელმაც დიდი ტურისტული ჯგუფი — 450 ინგლისელი მოსწავლე ჩამოიყვანა ლეგენდარული კოლხეთის გასაცნობად. როცა მეთექვსმეტესკოლელებმა სტუმრებს შეხვედრა გაუმართეს, უცხოელმა მოზარდებმა გულწრფელად გაიკვირვეს — ჩვენ გერმანულსა და ფრანგულს ვსწავლობთ, მაგრამ ეს ენები გაცილებით უფრო უარესად ვიცით, ვიდრე თქვენ — ინგლისურიო.

1988 წლის გაზაფხულზე ამერიკული გემით ჩამოვიდნენ საზოგადოების — „ჩვენ ვეძებთ გზებს მშვიდობისაკენ" — წევრები: პედაგოგები, იურისტები, ინჟინრები. სკოლამ ლიტერატურულ-მხატვრული საღამო გამართა. ქართველი მოზარდები ინგლისურად ესაუბრებოდნენ სტუმრებს, მათთან ერთად მღეროდნენ, კითხულობდნენ ლექსებს, ცეკვავდნენ. სტუმრები აღტაცებულები დაემშვიდობნენ თავიანთ ნორჩ მასპინძლებს და აღუთქვეს, ამერიკაში რომ ჩავალთ, თქვენს თანატოლებს აუცილებლად ვუამბობთ თქვენს შესახებო.

შარშან, 3 აპრილს ყველა კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით სკოლაში დაიდგა ინსცენირება — „ტელეხიდი ბათუმი — ვაშინგტონი" (მისი სცენარი მოამზადეს და დადგმას ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები ე. ნატროშვილი, მ. კაზანჯიანი, ა. დიმანტი, ლ. მაჩაბელი და სხვები). „ტელეხიდს" წარმართავდა მაშინდელი მეექვსეკლასელი სალომე დარჩია. ეს იყო სანახაობა, რომელსაც დიდხანს ვერ დაივიწყებენ ვერც მონაწილენი და ვერც მაყურებლები. „ბათუმსა" და „ვაშინგტონს" შორის გაიმართა გაცხოველებული საუბარი, ტელეხიდის მონაწილეები ერთმანეთს უცვლიდნენ ცნობებს ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურის დარგში, და ეს საუბრები მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე.

უცხო ენის სწავლა მე-16 საშუალო სკოლაში მე-2 კლასიდან იწყება და მთელი ათი წლის განმავლობაში ქართველი მოზარდები დღითიდღე და თანდათანობით საფუძვლიანად ეუფლებიან შექსპირისა და ბაირონის, დიკენსისა და სვიფტის, მარკ ტვენისა და ჯეკ ლონდონის ენას. და მიუხედავად იმისა, თუ რა გზას დაადგებიან, რა სპეციალობას აირჩევენ, გათავისებული უცხო ენის — ინგლისურის ცოდნა ყველგან და ყოველთვის გამოადგებათ თეონა ქორდანიასა და ლაშა შეწირულს, თეონა ნადარეიშვილსა და სალომე დარჩიას, მაია სალუქვაძეს, დავით კასრაძეს, თემურ კვაჭაძეს...

და ხშირად, როცა ბავშვობისას მიღებული ცოდნის ლამპარი ახალ-ახალ გზა-ბილიკებს გაუნათებს, ყოველთვის მადლიერებით გაახსენდებათ მათ მშობლიური მე-16 საშუალო სკოლა, სკოლა ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი.

**ნუგზარ აფხაზავა**



# გამარჯვებული დამარცხებული

მანანა გელაშვილი

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

ხმის გამაძლიერებლიდან ჯერ გუგუნი გაისმა, მერე ხრინწნარევი შრიალი და ბოლოს — ყველასთვის ნაცნობი მარშის აკორდებიც. თავდაპირველად რაღაც მდორედ წამოვიდა მუსიკა, უცნაურად გაიწელა, თუმცა მალევე გასწორდა და ბიჭები აჩოჩქოლდნენ. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა განკარგულება გასცა — „ნაბიჯით იარ!“ — და თვითონვე გაუძლვა გუნდებს მოედანზე. მინდვრის გასწვრივ მოეწყვნენ. წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა მიკროფონში ჩაჰბერა, თითის ჩაკაკუნებითაც მოსინჯა და რა დარწმუნდა, მუშაობსო, ჩაახველა, მონაწილე გუნდებს მიესალმა, ტურნირის გახსნა მიულოცა და წარმატება უსურვა. მას სპორტკომიტეტის წარმომადგენელი შეენაცვლა და გუნდებისა და მათი კაპიტნების წარდგენას შეუდგა: „მართვე“ — კაპიტანი თეიმურაზ გრიგალაშვილი, „დინამო“ — კაპიტანი კახაბერ ლომინაძე, „მერცხალი“ — კაპიტანი ნოდარ მარწყვაძე, „განთიადი“ — კაპიტანი ჯაბა ერგემლიძე...

— ჯაბა ერგემლიძე? — გაუკვირდა იორამს. — ჰო, ჯაბაა, ე! — გაუხარდა. რაც ერგემლიძეებმა ბინა მიიღეს და ქალაქის ახალ რაიონში გადავიდნენ, აღარ ენახა.

შეჯიბრების გახსნის ცერემონიალი რომ დამთავრდა, იორამმა დრო იხელთა და ჯაბასთან მივიდა. თითქოს იმასაც გაუხარდა, მაგრამ რაღაცნაირად შეცბა, მიმოიხედა.

— შენ, რა, „მერცხალში“ თამაშობ? თანაც მეკარე ხარ? მაშ, შენზე ამბობენ, „მერცხალს“ მაგარი მეკარე ჰყავსო? — მკერდში ხელი ჰკრა ჯაბამ იორამს.

— რა ვიცი, აბა, — გაიცინა იორამმა და უხერხულობისაგან ტყავის ხელთათმანების წვალება დაიწყო. — შენ... შენ „განთიადში“ ხარ? ესე იგი ჩვენს ჯგუფში თამაშობ?

— ჰო, რა ვიცი, იცი... ისა... — მოულოდნელად დაიბნა ჯაბა და ლაპარაკი სხვა რამეზე გადაიტანა, — ბიჭები როგორ არიან, რა არის ახალი ეზოში?

— ისეთი არაფერი, ოღონდ...

— ჯაბა! — მოესმათ გასახდელის მხრიდან მკაცრი ხმა.

— მამაჩემია... წავედი, — გაიქცა ჯაბა.

— ბიჭო,. ვილაცებთან ლაპარაკის დროა? წუთი-წუთზე თამაში გეწყება... მაინც ვინ იყო, ვის გამოები? — ეცა მამა.

— იორამი იყო, კარგარეთელი, ვერ იცანი ჩვენი ძველი მეზობელი?

— იორამი?! — არ ესიამოვნა მამას. — მერე რაო, რას გელაპარაკებოდა?

— არაფერს.

— ამდენ ხანს არაფერზე ლაპარაკობდით?! — გაბრაზდა ბატონი ვახტანგი.

— უბრალოდ, ძველი ეზოს ბიჭები გავიხსენეთ და...

— კარგი, კარგი. წადი, ახლა მაგის დრო არ არის, მერე ვილაპარაკოთ.

იორამის გუნდი იმ დღეს არ თამაშობდა, მაგრამ მაინც ყველა „მერცხალი“ ტრიბუნაზე იჯდა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს „განთიადისა“ და „მართვეს“ შეხვედრას.

— ე, ბიჭო, იორამ, — მხარი წაჰკრა ვაჟამ. — იცნობ „განთიადის“ კაპიტანს? იცი, რა მაგარი დარტყმა აქვს? ბადეს ხევს, ბიჭო! თანაც ნახე, ტანითაც რამხელაა!

— ადრე ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ, მერე გადავიდნენ.

— რომელწლიანია?

იორამს გულმა რეჩხი უყო — მართლაც და, რომელწლიანია ჯაბა? სწრაფად გამოთვალა. — მე რომ მესამეში ვიყავი, ჯაბა მეხუთეში იყო... ახლა მე მეექვსეში ვარ და ესე იგი... რა გამოდის?! ჯაბა...

— ბიჭო, შენ გეკითხები, რომელწლიანია ეგ ცხრა ნომერი?

— მე რა ვიცი... მოიცა, რა, მაყურებინე თამაში! — არ უპასუხა იორამმა ამხანაგს.

„განთიადი“ ძლიერი გუნდი ჩანდა. ბიჭები ფიზიკურადაც კარგად იყვნენ მომზადებულნი და ტექნიკურადაც. აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 4:0. გატანილი გოლებიდან ორი ჯაბას ანგარიშზე მოდიოდა. მართლაც ძლიერი დარტყმა ჰქონდა. იორამმა თვალი გაადევნა ჯაბას და გასახდელთან მამამისსაც მოჰკრა თვალი, ცერა თითის აწევით ანიშნებდა შვილს, კარგად ითამაშეო. იორამი მოიღუშა.

იმ დღეს მეტი მატჩი არ უნდა გამართულიყო და მაყურებელიც ნელნელა აიშალა. იორამი და კიდევ ორნი, ნიკო და გაგა, მეტროსაკენ წავიდნენ. ის იყო, ქუჩა გადაჰკრეს, რომ მათ სიახლოვეს ხმაურით და-

ამუხრუჭა შვინდისფერმა მანქანამ. მანქანიდან ჯაბა გადმოხტა.

— იორამ, მოდი, მანქანით მიგიყვანთ.

— არა, არ მინდა, — იუარა იორამმა, — მე და ბიჭები მეტროთი წავალთ.

— ბიჭებიც წავიყვანოთ, კაცო! — ჯაბას მამაც გადმოსულიყო მანქანიდან. — გამარჯობა შენი, იორამ, რამხელა გაზრდილხარ, კი ვერ გიცანი, ბიძიკო! — ბიჭებს ხელი მოხვია და მანქანისაკენ წაიყვანა. — იორამ, შენ წინ დაჯექი, დანარჩენები — უკან!

როცა ყველანი ჩასხდნენ, ჯაბას მამა ნიკასა და გაგას მიუბრუნდა:

— აბა, ვაჟკაცებო, ვინ სად ცხოვრობთ?

— მე — მელიქიშვილზე.

— მე — წერეთელზე.

— ძალიან კარგი! ე. ი. ჯერ დიდუბეში გავიდეთ, მერე ვაკეში, ბოლოს კი იორამი მივიყვანოთ. თანახმა ხართ?

— დიახ! — ერთხმად უპასუხა სამივემ.

— როგორ არიან, იორამ, დედა, მამა? სახლში რომ მიხვალ, არჩილს უთხარი, ასე უნდა-თქო, ბიჭო, ძველი მეზობლების დავიწყება?.. ვახტანგმა შემოგითვალა, ჩემი დაწურული ღვინო მაქვს და გამოიარე, ჩავუსხდეთ ერთი, ვიჭუკჭუკოთ-თქო.

— დიახ, ვეტყვი... — შეჰპირდა გაოცებული იორამი. რაღაც არ ახსოვდა, რომ მამას ვახტანგ ძიასთან როდისმე „ეჭუკჭუკოს“, ის კი არა, ხეირიანად არც კი ესალმებოდა, დედაც ერიდებოდა ჯაბას დედასთან ურთიერთობას. ერთი ის იყო, რომ შვილებს ჯაბასთან და ლეილასთან ამხანაგობას არ უშლიდნენ.

ჯერ ნიკა მიიყვანეს, მერე გაგა და იორამმა იფიქრა, ახლა საბურთალოსკენ გავუხვევთო, მაგრამ ჯაბას მამამ მოულოდნელად ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა.

— მოდით, ახლა ცოტა გავიაროთ, შენ რას იტყვი, იორამ? ავუყვეთ ასე, ზევით — ოქროყანა, კოჯორი, წყნეთი — და ჩამოვიდეთ უკან.

— რა ვიცი... — შეიშმუშნა იორამი, ძალიანაც უყვარდა მანქანით სეირნობა, ახლა კი რატომღაც გული არ უწევდა, მაგრამ ვახტანგ ძიამ უარი აღარ დააცალა.

— წავიდეთ, წავიდეთ, ცოტა ჰაერზე გავიაროთ, გავიდეთ ამ ჩახუთული ქალაქიდან! მალე დავბრუნდებით, ნუ გეშინია!

ადრიანი გაზაფხული იყო და გზისპირა კორდებზე ბღუჯა-ბღუჯად ჰყვაოდა პირველი ყვავილები. დროდადრო ბუჩქებიდან მეტიჩარა კაჭკაჭი აფრინდებოდა. ოქროყანას გასცდნენ. კოჯორში იმ პიონერთა ბანაკსაც ჩაუქროლეს, სადაც ამ ზაფხულს იორამი და მისი და-ძმა ისვენებდნენ. იცნო ფიცრებგამოგლეჯილი ღობე და გამოხუნებული ბოლოჩამოგლეჯილი წარწერა — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ — და გაეღიმა. წყნეთიდან რომ დაეშვნენ, ვახტანგ ძიამ გზის პირას გამართულ მომცრო გადასახედ ბაქანთან გააჩერა მანქანა. ქვევით თეთრ-ვარდისფრად გადაპენტილი სოფელი მოჩანდა.

— ყური დამიგდე, იორამ, ახლა ერთ რამეს გეტყვი, და... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, კი უნდა გამიგო...

იორამი რაღაც უსიამოვნოს მოლოდინში შეაჩერდა ჯაბას მამას. „ნეტავ რატომ არ უყვარდათ დედას და მამას ეს კაცი?!“ — გაუელვა თავში.

— შენ კი იცი, რომ ჯაბა შენზე ორი წლით უფროსია და ასაკით ამ ტურნირში არ უნდა მონაწილეობდეს...

— ვიცი... — ჩაილაპარაკა იორამმა.

— მაგრამ... ჯაბას გუნდმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს... ჯაბა საქართველოს ნაკრებში უნდა მოხვდეს, ასეა საჭირო მისი მომავლისა-



თვის... იცოდე, ამის შესახებ ჯაბას გუნდელებმაც კი არ იციან... არა, მწვრთნელმა, რა თქმა უნდა, იცის... — ვახტანგმა სიგარეტს მოუკიდა. — თავდასხმაში უჭირდა გუნდს და... საბუთები წესრიგშია, წყალი არ გაუვა... რაც უნდა ჩხრიკონ, ვერაფერს აღმოაჩენენ, სკოლაშიც სუფთად არის ყველაფერი გაკეთებული და აქაც კაციშვილი ვერაფერს გაიგებს, თუ, რა თქმა უნდა, შენ არ გასთქვამ შენს მეგობარს... და არა მგონია ახლა, შენ ჯაბასთვის ცუდი გინდოდეს!

„ალბათ ამიტომ არ უყვარდათ დედას და მამას ჯაბას მამა, ამიტომ...“ — გაიფიქრა იორამმა და თავის აუწევლად ჩაილაპარაკა:

— წავიდეთ რა, ძია ვახტანგ, ჩვენებს შეეშინდებათ...

როგორ არ უნდოდა ახლა ამ მანქანაში ჩაჯდომა, სულაც ფეხით დაადგებოდა გზას და როცა იქნებოდა, ჩააღწევდა თბილისამდე, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ჯაბას მამა არ მოეშვებოდა და მანქანისაკენ გაემართა.

— კი, გენაცვალე, ათ წუთში სახლში მიგიყვან, სულ ფრენა-ფრენით ჩავალთ! ესე იგი, შევთანხმდით, არა? დაჰკა ხელი!

ვერაფერი მოუხერხა იორამმა მარჯვენა ხელს, ვერ დაიმორჩილა.

— ჰა, დაჰკა ვაჟკაცურად! — შეუძახა ჯაბას მამამ და თვითონვე ააწევინა ხელი. — ერთი ეს მითხარი, ჯაბას ეს სპორტული ფორმა თუ მოგწონს?

იორამმა ჯაბას გადახედა. სწორედ ისეთი სპორტული კოსტიუმი ეცვა, თვითონ რომ საოცნებოდ ჰქონდა — მუქი ლურჯი, სამი თეთრი ზოლით და გულზე პატარა მწვანე ნიანგის გამოსახულებით.

— შენ რა ზომას ატარებ? ასეთი ფერის გინდა თუ ბაცი გირჩევნია? მითხარი, ბაზაში ძმაკაცი მყავს და ხვალვე გამომატანინებს...

—არა... არ მინდა!

— რატომ, ბიჭო, იცი, როგორ მოგიხდება?! არა გრცხვენია, რისი გერიდება, მე და მამაშენი ძმებივითა ვართ, ვითომც ჩემი ბიჭისთვის მიჩუქნია!

— არა, ვერ ჩავიცვამ სინთეტიკაზე ალერგია მაქვს, ტანზე მაყრის... — თვითონაც გაუკვირდა იორამს, როგორ მოვახერხე ასეთი ტყუილიო.

— ოო, თუ მასეა.. რას იზამ, ბიძიკო, აბა მაშინ ერთი წყვილი ფირმა ბოტასები ჩემზე იყოს, მაჩვენე ერთი შენი ფეხი...

— არ მინდა, ძია ვახტანგ, არც ბოტასები მინდა, მაქვს...

— მოიცა, თუ კაცი ხარ...

კიდევ კარგი, სახლიც გამოჩნდა, თორემ ცოტაც და სასოწარკვეთილ იორამს ცრემლები წასკდებოდა.

— ჰო, კიდევ იცი, რა? — მიაძახა ჯაბას მამამ მანქანიდან გადასულს — თუ ვინმემ გკითხოს, სულაც ნუ იტყვი, რომ ჯაბას იცნობ, ასე აჯობებს! აბა, შენ იცი!..

— დედა, ჩვენ რატომ არ ვმეზობლობდით ერგემლიძეებთან? — ჰკითხა შინ შესულმა იორამმა დედას.

— ვინ ერგემლიძეებთან? რამ გაგახსენა, ბიჭო? მოდი, დაჯექი, ჭამე, რატომ შეგაგვიანდა? გქონდა თამაში?

— არა... ჰა, დე, რატომ არ ვმეზობლობდით?

— აბა, როგორ გითხრა... მე და მამათქვენს სხვანაირად გვესმის ცხოვრება, ჯაბას დედ-მამას კი — სხვანაირად...

— როგორ სხვანაირად?

— რა არის, იცი, იორამ, არ ვიცი, როგორ აგიხსნა... ეტყობა, ჩვენ სხვა ღირსებებით ვაფასებთ ადამიანებს, ისინი კი — სხვებით... მაინც არ მეუბნები, რამ გაგახსენა ერგემლიძეები, რამდენი ხანია, აქედან გადავიდნენ...

— არა, ისე, უბრალოდ. ჯაბა გამახსენდა და...

●

„განთიადი“ და „მერცხალი“ თანაბრად მიიკვლევდნენ ფინალისაკენ გზას. მოიგებდა ჯაბას გუნდი და იორამის გუნდიც ამარცხებდა მეტოქეს. ყოველდღე ხვდებოდა იორამი ჯაბასაც და მამამისსაც, მათ დანახვაზე ერთბაშად ფორიაქდებოდა და იძაბებოდა. ვითომ კი გადაწყვიტა, სულაც არ მივაქცევ ყურადღებასო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ფინალის დღეც დადგა. გასახდელთან გამოსულმა ჯაბამ და იორამმა ერთი კი გადახედეს ერთმანეთს და მოედნისაკენ გაიქცნენ.

— ვითომ დავიჯერო, „განთიადის“ ცხრა ნომერი ამათი ტოლია? რაღაც დიდსა ჰგავს... — წამოიწყო ვიღაცამ ტრიბუნაზე.

— აჰ, ჩემი ბიჭია, — უმალ პირში ეცა ჯაბას მამა, — ესე დროზე ადრე დავაჟკაცდა, ეს მამაძაღლი! ასაკით კი ყველა ამათი ტოლია! — წარბიც არ შეუხრია, ისე იცრუა. — მეც ეგრე ავიყარე ტანი...

— რა ვიცი, რაღაც საეჭვოა...

— რა არის, ძმა, საეჭვო? აგერ არ არის საბუთები?! ვითომ არ იცოდე, როგორ არათანაბრად იზრდებიან ბიჭები!

მოკამათემ ხელი ჩაიქნია და აღარაფერი თქვა.

ამასობაში გუნდებმა მოთელვა დაამთავრეს...

იორამი ჩვეულებრივზე მეტად ღელავდა. არასოდეს არ სდომნია გამარჯვება ისე, როგორც ახლა.

— უჰ, ნეტავ ერთი ეს თამაში მოგვაგებინა!.. მაშინ რაღას იზამს ჯაბას მამა?!

ზაქრო მასწავლებელმა უკანასკნელი დარიგება მისცა თავის ბიჭებს, მთავარი ტაქტიკური ამოცანა შეახსენა, გაამხნევა და თამაშიც დაიწყო.

„განთიადელები“ მოკლე გადაცემებით დაიძრნენ წინ, დაუბრკოლებლად გასცდნენ მოწინააღმდეგის ნახევარმცველებს, მაგრამ ერთი უზუსტო გადაცემა და — ახლა „მერცხალი“ გადავიდა შეტევაზე.

ჯაბა მეკარის მოედანზე მიმოდიოდა და შეძახილებით ამხნევებდა თანაგუნდელებს. მარჯვენა მცველ ზაზა მარჯანიშვილს ძლიერი დარტყმა ჰქონდა და სწორედ მან მოსინჯა პირველმა კარი, მაგრამ „განთიადის“ მეკარემ იოლად აიღო ეს ბურთი.

— ტემპი! ტემპი! — ხმის ჩახლეჩამდე უყვიროდა თავისიანებს „განთიადის“ მწვრთნელი.

იორამი კარის ხან ერთ კუთხეს აწყდებოდა, ხან მეორეს. აი, გადა-

ცემა ჯაბამ მიიღო და ჯიქურ დაიძრა კარისაკენ. იორამს გულმა ბრაგა-ბრუგი დაუწყო. ჯაბამ ოდნავ მარცხნივ გადაინაცვლა და შორიდან ძლიერად დაარტყა.

იორამი ზამბარასავით შეიკუმშა, დაიძაგრა და ისკუპა, თითქოს გაფრინდაო, ჰაერშივე დაიჭირა ბურთი, გულში ჩაიკრა და მიწაზე დაეშვა.

— წინ! წინ! — დარბოდა მოედნის კიდეებზე ზაქრო მასწავლებელი.

— წინ! — გასძახოდა ამხანაგებს იორამიც.

ბურთს „მერცხლები" ფლობდნენ. დემნა ტლაშაძემ ცენტრისაკენ გაჭრილ ოთარ კვალიაშვილს გადააწოდა, მაგრამ მოწინააღმდეგის შვიდმა ნომერმა ჩაჭრა ეს გადაცემა, ჯაბას მიაწოდა ბურთი და თვითონაც მიჰყვა. წინ წასულ „მერცხლებს" დაუგვიანდათ უკან დახევა, ამით ისარგებლეს „განთიადელებმა", შვიდმა ნომერმა წამით შეაყოვნა ჯაბასგან მოწოდებული ბურთი, მარჯვედ მოატყუა მცველი და ბურთი უკანვე გადასცა ჯაბას, ზედ მარჯვენა ფეხზე დაუსვა, ისიც პირისპირ გავიდა იორამთან და...



პირქვე დამხობილი იორამი სიმწრით მიწას მუშტს ურტყამდა. ძლივს წამოდგა. თვალებზე ცრემლი მოადგა. მარჯვენა ხელშემართული ჯაბა მოედნის შუაგულისკენ გარბოდა. შემოეხვივნენ თანაგუნდელები, ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ. „მამამისს მარჯვენა ცერი ექნება შემართული", — გაიფიქრა იორამმა.

მსაჯმა დაუსტვინა და ნირწამხდარმა „მერცხლებმა" ცენტრიდან განაახლეს თამაში. მერე, ეტყობა, გაგულისდნენ, ერთბაშად უმატეს ტემპს და ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ სანდრომ, გუჯამ და კახამ ელვისებური სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და კახამ საპასუხო გოლი გაიტანა.

— აუუფ! — აღმოხდა იორამს. როგორ უნდოდა კახას გადახვეოდა, მაგრამ აბა, კარს ხომ არ დატოვებდა და სიხარული იმითღა გამოხატა, რომ მწვანეზე რამდენჯერმე მალაყს გადავიდა. თამაში აშკარად გამოცოცხლდა. ორივე კარის სიახლოვეს ახლა უფრო ხშირად იქმნებოდა საფრთხე, მაგრამ ორივე მეკარე მარჯვობდა და ტაიმი ისე დამთავრდა, ბურთი აღარც ერთ გუნდს არ გაუტანია.

შესვენეს, სული მოითქვეს ბიჭებმა, შენიშვნები და დარიგებები მოისმინეს, გული მოიცეს და ისევ გამოვიდნენ მოედანზე.

ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ ჯაბამ მეკარის მოედნის სიახლოვეს მიიღო მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებული ბურთი, სხარტი ფანდით მოატყუა მოწინააღმდეგე, პირისპირ გავიდა იორამთან და კარის ზედა მარცხენა კუთხისაკენ გაგზავნა ბურთი. კი, დროზე გამოიცნო იორამმა ჯაბას ჩანაფიქრიც, ბურთის მიმართულებაც, ახტა კიდეც, მაგრამ ვერ შესწვდა და „განთიადი" წინ გავიდა — 2:1. შევარდნილ ბურთს ჯაბაც თან შეჰყვა კარში. კიდევ ერთხელ დაარტყა უკან გამოგორებულ ბურთს და გახარებული გამობრუნდა. ამასობაში იორამიც წამოდგა და ბიჭები წამით შეაჩერდნენ ერთმანეთს. იორამი ტიროდა. ჯაბა გაშრა. მაშინღა გამოერკვა, თანაგუნდელმა მხარი რომ გაჰკრა, რას გაშტერებულხარო. გაიქცა. მირბოდა და თვალწინ სულ იორამის სახე ედგა.

მეორე გატანილმა გოლმა დააბნია „მერცხლები". შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, ვეღარც ბურთის ზუსტად გადაცემას ახერხებდნენ და დაცვაშიც სცოდავდნენ. იორამს დიდი ჯაფა დაადგა, ბურთს ბურთზე იგერიებდა. ერთ-ერთი შეტევის დროს „განთიადელი" ათი ნომერი საჯარიმო მოედანზე წააქციეს და მსაჯმა, რა თქმა უნდა, თერთმეტმეტრიანი დანიშნა. როგორც ყოველთვის, ჯაბა გაემზადა დასარტყმელად. ბურთი დადო, გაასწორა, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიწია და კარს გახედა. იორამი გაუნძრევლად იდგა. „ისევ ტირის... ჰო, ისევ ტირის..." — ჯაბას თითქოს გული ჩასწყდაო, თანაგუნდელებისაკენ წავიდა.

— ვანო, იქნებ შენ დაარტყა, — უთხრა რვა ნომერს. იმან მხრები აიჩეჩა. როგორც შენ იტყვიო. მაგრამ ამ დროს მწვრთნელის შეძახილი დაეწიათ:

— ჯაბა, თავს წაგაცლი, იცოდე! მიდი ახლავე ბურთთან!

ჯაბა ბურთისაკენ წალასლასდა. მსაჯმა ნიშანი მისცა. დაარტყა ჯაბამ და ბურთი კარგა დიდი მანძილით ასცდა იორამის კარს.

— რა ჰქენი, ბიჭო! — გაუბედავად უსაყვედურა ვანომ.

„ჰო, მართლაც რა ვქენი... რაღა ახლა ავაცდინე... შემთხვევით მომივიდა თუ... ნეტავ ისევ ტირის იორამი?... სხეული მთლიანად მოუდუნდა. ვეღარც აზროვნებდა, ანგარიშმიუცემლად დაბორიალებდა მინდორზე.

— ჰა, რა მოგდის, კაპიტანო! — რამდენჯერმე შეუძახეს ბიჭებმა, მაგ-

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

მოთხრობილი გივი გეგეჭკორის მიერ

### საქართველოში ჩამოსვლა. ივანე კერესელიძის ოჯახში. ქუთაისი და დები ნიკოლაძეები

ყველას ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორ ხვდებიან ეკატერინე და როსტომ წერეთლები მონატრებულ შვილს სხვიტორში, ან რუსეთიდან გამობრუნებული აკაკი როგორი გულისძგერით უახლოვდება მშობლიურ სახლს, რომ დედ-მამას გადაეხვიოს, ანა და მატა გულში ჩაიკრას.

აკაკი ყველას მოინახულებს, გადავა სავანეში ძიძასა და ძიძიშვილებთან, ხშირად იქნება საჩხერეშიც, ხშირად ახედავს მოდინახეს...

მაგრამ სხვიტორში გული დიდხანს არ დაუდგება, ქუთაისში წავა. იქ ნაცნობ-მეგობრებს მოივლის და მერე თბილისისაკენ გამოსწევს.

თუმცა აკაკი მეტისმეტად დაღლილი იქნება და გამოსაშუშებლად ერთი დღის დასვენება არ ეყოფა, მაგრამ მეორე დღესვე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის — ივანე კერესელიძის სანახავად ადრე წავა.

აკაკი და ივანე ერთმანეთს პირადად არ იცნობენ, მაგრამ მიწერ-მოწერით კი დიდი ხნის მეგობრები არიან. ივანე ალექსანდრეს (ახლანდელ ნინოშვილის) ქუჩაზე ცხოვრობს და სტამბაც იქვე აქვს. აკაკის კარს ახალგაზრდა ტანმორჩილი ქალი გაუღებს, მის ვინაობას რომ გაიგებს, ნათესაურად შესცინებს და ქმარს გასძახებს:

— ივანე! ივანე! ყმაწვილო, გამოდი, ნახე, ვინ გვესტუმრა!

გამოვა შავგვრემანი, კარგი თვალტანადი ვაჟკაცი, ივანე კერესელიძე, მოსულს აათვალიერ-ჩაათვალიერებს და აკაკი თავის სახელს რომ ეტყვის, სიცილით გადაეხვევა. ივანეს ნაღვლიანი სახე აქვს და რომ იცინის, კაცს ეგონება, მაშინაც ტირისო, მაგრამ ეს ნაღვლიანობა უხდება და სასიამოვნო შესახედავია.

ივანე აკაკის შინ შეიწვევს. ოთახში მოხუცებული ქალი დახვდებათ, ივანე იმ ქალს მიუბრუნდება და ეტყვის:

— დედი, ეს ის არის, რომ დაწერა: „გულს პერანგი დაჰფართხალებსო“ (ივანე აქ აკაკის ლექსის „ლოდინის“ სტრიქონს ახსენებს), ხომ გახსოვს? აკი ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!.. აი, აგისრულდა კიდეც ნატვრა.

— უი, მართლა, შვილო?! — წამოიძახებს მოხუცი ქალი და აკაკის გადაეხვევა. მერე სტუმარს დასვამენ, გარს შემოუსხდებიან, სამივენი ისე შეჰხარიან, თითქოს დიდიხნის დაკარგული შვილი დაენახოთ, და საუბარს გაუბამენ.

ივანეს აინტერესებს, პეტერბურგის ქართველი სტუდენტები მის ჟურნალზე რას ფიქრობენ, ივანეს მოხუც დედას უნდა, იმერეთის ამბები რომ შეიტყოს, ივანეს ცოლს კი აკაკის ლექსებზე საუბარი სურს. აკაკიმ არ იცის, რომელ ერთს გასცეს პასუხი და ცოტა ხანში წასვლას დააპირებს, მაგრამ ივანე აკაკის უცნაურად შეხედავს, გაიცინებს, ბროლივით კბილებს გამოაჩენს, თავს გადააქნევს და ეტყვის:

— რაო, ყმაწვილო, ეკალმა ხომ არ გიჩხვლიტა? სად მიდიხარ, რომ მიდიხარ? ვაიმე, ვაიმე! შენც სკვინჩაობა გცოდნია? ვინ პოეტი და ვინ ეგა? განა შენც სხვებს უნდა აჰყვე? სკვინჩაობა! აი, ამოვარდეს მაგისი მომგონი!.. მაგრამ ეგება არ იცი, თუ რას ვეძახი სკვინჩაობას? „ვიზიტს!“ ერთი სკვინჩა ჩიტი არის, მოუსვენარი, ჯერ ერთ ხეზე შეხტება და დაიძახებს, მერე მეორეზე გადაფრინდება, მერე მესამეზე და, ამგვარად, სულ ჩამოივლის მთელ ტყეს. ახლანდელი ვიზიტობაც სწორედ ამისთანაა! ბიჭო, თუ არაფერი საქმე გაქვს, რად მოდიხარ? და თუ სათქმელი რამა გაქვს, მოიცადე და მითხარი! გიჟივით რად გარბიხარ? არა, მე ქართველი კაცი ვარ და ძალიან მეჯავრება ჩიტირეკიაობა!.. შენ ახლა სად უნდა წახვიდე? სასტუმროში? აბა, კიდეც ეგ სასტუმრო დაგვიყენებს ჩვენ თვალებს! იქ ხომ წყალსაც ვერ იშოვნი უყიდლად? ერთი სადილი ერთი თვის ხარჯად დაგიჯდება, მერე რას გაჭმევენ, იმასაც ხომ ვერ გაიგებ?! შეიძლება მოხრაკული თაგვი მოგიტანონ და შენ კი მწყერი გეგონოს. სჯობია, ჩვენთან დარჩე სადილად. კაი მწვადი, კაი ჩიხირთმა, ყველი, მწვანილი, ზედ კაი ღვინო, კაი პური და კაი გული...

აკაკი სანამ დაეთანხმება, ივანე იმერლის ბიჭს დაუძახებს.

— ამას არ იცნობ, ბიჭო, ვინ არის? — შეეკითხება ივანე. ეგ თქვენი აკაკი არის.

ბიჭი შეხედავს, გაილრიჭება და სწრაფად უპასუხებს:

— არ ვიცოდი, ბატონო, ახლა კი ვიცი!..

მერე კი ივანე კერესელიძის მეგობრების დასაპატიჟებლად შურდულივით გავარდება.

ივანე აკაკის იმერელი ბიჭის ამბავს მოუყვება. წელიწადიც არ არის, რაც ჩამომიყვანეს, ანბანი ისწავლა და დღეს პირველი მესტამბეაო. მერე ქალებს ეტყვის, სამზარეულოს მიხედეთო. მარტო დარჩენილები საუბარს მწერლობაზე ჩამოაგდებენ და ივანე ეტყვის: შენი ლექსი „შამილის სიზმარი“ ძალიან მომწონს, მაგრამ ჯერ ვერ ვბეჭდავო...

ამ ლაპარაკში რომ არიან, შუახნის კაცი შემოვა, ზრდილობიანად მიესალმება და ერთმანეთს რომ გამოეცნაურებიან, აკაკის ეტყვის, თქვენი გაცნობა მიამაო, და გვერდზე მიჯდება. თურმე ის კაცი ლავრენტი არდაზიანია, „სოლომონ ისაკიჭ მეჯღანუაშვილის“ ავტორი. ეგ ჩუმი კაცია, დიდხანს ხმას არ ამოიღებსო, ეტყ-

---

რამ ვერაფერი მოუხერხა საკუთარ თავს.

— ვერა... ვერ ვითამაშებ... არ შემიძლია... !

მინდვრის ნაპირთან მივიდა და მწვრთნელს ხელით ანიშნა, გამომცვალეთო. იმან პასუხად თვალების ბრიალით დაუყვირა, მე შენ გიჩვენებ, გაინძერი და ითამაშე, თორემო!..

— ვერა... ვერ ვითამაშებ... არ ვითამაშებ, არა!..

მოედნის ცენტრისაკენ რომ მიბორიალობდა, ბურთი მიაწოდეს, გაჩერებით კი გააჩერა ბურთი, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა, დააყოვნა. „მერცხლის“ ერთ-ერთი მოთამაშე წამოეპარა და ბურთი აართვა, ამასთან მსუბუქად გაჰკრა მხარი. ჯაბა მინდორზე დაეცა, მარჯვენა კოჭზე ხელი იტაცა და კოტრიალს მოჰყვა. მსაჯმა თამაში შეაჩერა. მისცვივდნენ ბიჭები კაპიტანს, რა მოგივიდაო, ეკითხებოდნენ, ზოგი კოჭს უსინჯავდა, ზოგი წამოყენებას ლამობდა.

„მერცხლის“ ის მოთამაშეც შეწუხდა, უკვირდა, თითქოს ისე არ შევჯახებულვარ, რამე რომ სტკენოდა, თანაც ფეხიო, მაგრამ ჯაბა ისევ ძირს გორაობდა. გადმოცვივდნენ მოედანზე მწვრთნელი, ექიმები, ჯაბას მამა. ექიმმა ფეხი გაუსინჯა. — გარედან არაფერი ეტყობაო, — ჩაილაპარაკა, — კოჭს დაზელა დაუპირა, მაგრამ ჯაბას ისეთი გმინვა აღმოხდა, რომ შეეშვა. მამამ და მწვრთნელმა წამოაყენეს, მხრებში შეუდგნენ, აბა, ფეხის დადგმა სცა-

ვის აკაკის ლავრენტი არდაზიანზე ივანე კერესელიძე, აი, შენი „შამილის სიზმარი“ მაგასაც მოეწონაო.

მალე ივანე კერესელიძეს კიდევ ორი სტუმარი მოუვა. ერთი, მუნდირიანი, დიმიტრი ბერიევია და მეორე, ქართულკაბიანი, ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ორბელიანი.

ივანე ალექსანდრე ორბელიანს დამხვდურზე ·რომ ეტყვის, აკაკი წერეთელიაო, წამოდგება, გადაეხვევა, ბერიევი კი აკაკის მხოლოდ ხელს გაუწვდის.

ახალგაზრდა აკაკი მოიხიბლება მათი ქცევით, მათ გულახდილი საუბრით საქართველოს წარსულზე, მომავალზე და სხვა ეროვნულ საქმეებზე. თუმცა ისინი ახლგაზრდები აღარ არიან, მაგრამ აკაკის მათი ჭაბუკური აღტაცება მოაჯადოებს.

კედელზე ჰკიდია თარი, ჩონგური, დაირა, დიპლიპიტო, სალამური, ჭიანური და სხვა საკრავები. მასპინძელი თარს ჩამოიღებს და შემოსძახებს.

სუფრა დიდხანს გასტანს. ყველანი გამხიარულდებიან, აკაკის სიყვარულით ექცევიან და თან, როგორც ახალგაზრდას, არიგებენ. ორბელიანი ეუბნება, შენი ქვეყნისათვის თავი უნდა დასდოო; კერესელიძე ურჩევს, ბევრი წერეო; არდაზიანი არიგებს, სხვებს არ აჰყვე, შენს სიტყვაზე მტკიცედ იდექიო...

სტუმრები კერესელიძის ოჯახში გვიანობამდე დარჩებიან და მასპინძელს გვიან გამოეთხოვებიან...

აი, ასე აგვიწერს ივანე კერესელიძის გაცნობას აკაკი.

ამის მერე აკაკი ივანე კერესელიძეს უფრო დაუახლოვდება და მის გულკეთილობასა და მამულიშვილობაში კიდევ უფრო დარწმუნდება.

იმავე წლის სექტემბერში აკაკი ციებით ხდება ავად. 14 სექტემბერს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძეს სწერს: ახლა ყველა დარწმუნებულია, რომ გადავრჩი, თავს მხოლოდ ექიმი გადააქნევს ხოლმე. ნეტავი განახა, რასა ვგავარ, თავგაპარსული, წვერმოპარსული, ძვალზე ყვითელკანგადაკრული. მოჩვენება გეგონები. წერაზე ლაპარაკი ზედმეტია. წერა კი არა, წაკითხულის აზრი არ გამეგება. ექიმი ამბობს, ორი კვირა თავის ტკივილი რომ ვერ შევუჩერეთ, იმან იმოქმედაო...

აკაკი თანდათან გამომჯობინდება. ქუთაისში იგი უფრო ხშირად ნიკო ნიკოლაძის ოჯახშია. თეთრ ხიდთან ახლოს, რიონის მაღალ ნაპირზე ნიკო ნიკოლაძის მამის, იაკობის ძველი, ნახევრად დანგრეული ხის სახლი დგას. სახლის მშვენიერი აივანი მდინარეს გადაჰყურებს, ძირს კი კედლებზე აზვირთებული თეთრად აქაფებული რიონი მისჩქეფს.

რუსეთიდან ახლად დაბრუნებული მეგობრები სულ ერთად არიან. აკაკი ნიკო ნიკოლაძეს ნევის ნაპირებიდან გამოძევებულ ბუნტარს უწოდებს, თავის თავს კი — დინჯად სწავლადამთავრებულ კანდიდატს.

ნიკოლაძეებთან პირველ სტუმრობას აკაკი ასე იგონებს:

სასტუმროს კარი იღება და შიგ შემოანათებს ახლად გაშლილი ვარდი — პატარა, ხაბარდაკაბიანი, შავწარბებშეკრული ქალბატონი, რომელიც ვარსკვლავებივით გაბრწყინებულ თვალებს ახლად მოსულს უხმო შეკითხვით შეაშუქებს: აბა ერთი დაგვანახე, შორეულ პეტერბურგში შენმა გასეირნებამ რა ნაყოფი გამოიღოო?

ეს შავწარბებშეკრული ქალბატონი ნიკო ნიკოლაძის და არის, ანიჩკა, აკაკიმ ქუთაისში ცამეტი წლისა რომ დატოვა, ახლა კი თექვსმეტი წლისაა.

აკაკი ნიკოლაძეების სახლში გიორგი ჭალადიდელის ლექსს ამბობს ხოლმე და ისე შედის: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული, ზედ კორტოხზე წამოდგმული...“

აკაკის ანიჩკასთან ანიჩკას დეიდაშვილი, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე მაშო ხელთუფლიშვილი ხვდება. მაშოსთან ნიკო ნიკოლაძე მეგობრობს, ანიჩკასთან — აკაკი. აკაკისა და ანიჩკას მეგობრობა ნახევარ საუკუნეს გასტანს და აკაკის სიკვდილამდე გაგრძელდება.

ქუთაისში ჩასული აკაკი ამ ოჯახში სულ მუდამ ივლის. დები ანიჩკა და კატო კერძო პანსიონს გახსნიან. აკაკის ყოველი მისვლა ამ პანსიონში, რომელსაც აკაკი „საქაჯეთს“ დაუძახებს, აქ აღსაზრდელი ბავშვების დიდი სიხარული იქნება, რადგან აკაკი მუდამ ხასიათს გაუხალისებს მათ და ბავშვივით გაიხარებს. ანიჩკა — ჩუმი, მოკრძალებული და გულჩათხრობილი ქალი, — აკაკის სიყვარულს გულში სამუდამოდ ჩაიმარხავს. კატო კი ძლიერი ხასიათის ქალი იქნება, და აკაკი ანიჩკას თუ ნაზ იას შეადარებს, კატოს ჭინჭარს დაუძახებს. ანიჩკასადმი არის მიძღვნილი ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ჭალადიდელის „ფაცხა“ („მიყვარს ფაცხა მე მეგრული...“) და „მოგონება“ („მახსოვს, პირველად სასწავლებელში...“).

სწორედ ამ ხანებში შეხვდება აკაკი ვინმე მოსიძეს, გიმნაზიაში ქართულის მასწავლებელს. მოსიძე აკაკის ეტყვის: მოდი, ვსინჯოთ და ამ მიყრუებულ ქალაქში თეატრი გავხსნათო. სცენაზე ქალები რომ არ გამოვლენო? — შეეკითხება აკაკი, რადგან ამ დროს ქალის სცენაზე გამოსვლა საძრახისად ითვლებოდა. ვაჟები ქალებად მოვრთოთ და ვათამაშოთო, — უპასუხებს მოსიძე.

აკაკი მოსიძეს თანხმობას ეტყვის და ამასობაში ისიც გაირკვევა, რომ ვაჟების ქალებად თამაში საჭირო არ არის. ქუთაისელი მანდილოსნები — ნინო აბაშიძე და კეკელა აგიაშვილი დათანხმდებიან, რომ სცენაზე გამოვიდნენ.

დასადგმელად აირჩევენ ზურაბ ანტონოვის პიესას „მზის დაბნელება საქართველოში“. ჩაატარებენ რეპეტიციებს. წარმოდგენის წინ დასი ერთ ოჯახში ივახშმებს. მზარეულს შეეშლება და ფლავს ნიგვზის ზეთის მაგიერ სასაქმებელ ზეთს უზამს. ყველას კუჭი აეშლება და წარმოდგენას რამდენიმე დღით გადასდებენ.

ბოლოს მაინც წარმოადგენენ, იმ ზამთარს ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გაიმეორებენ და ამ წარმოდგენებს ზოგიერთი თუ მტრულად შეხვდება, უმეტესობა მოიწონებს.

---

დეო. სცადა, მაგრამ სიმწრისაგან ისეთი შესძახა, უხმოდ გამოიყვანეს მოედნიდან, ერთი კი მიიხედა უკან, ბიჭებში იორამი გამოარჩია, თვალი ჩაუკრა და გაუღიმა.

აშკარად დასუსტდა „განთიადი“ კაპიტნის მწყობრიდან გამოსვლით, მაგრამ ვეღარც „მერცხალმა“ იყოჩაღა, ანგარიში აღარ შეცვლილა და გამარჯვებაც ჯაბას გუნდს დარჩა.

— მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა... — მანქანაში ჩაჯდომაში მიეხმარა ჯაბას მამა. — რაღა ახლა დაგემართა... არა უშავს, ახლავე ტრავმატოლოგიურში გაგაქანებ... რომ იცოდე, დღევანდელმა გამარჯვებამ გადაწყვიტა შენი ბედი, ახლა საკავშირო პირველობაზე გახვალთ და მერე...

— მე ფეხბურთს აღარასოდეს ვითამაშებ! — არ დაამთავრებინა ჯაბამ.

— რატომ, ბიჭო? შენ კი რა გითხარი?! პენალტი შენ კი არა, პელესაც გაუფუჭებია... ამან გაგიტეხა გული?!

— პენალტი არაფერ შუაშია.

— აბა?! გგონია, ფეხი აღარ მოგირჩება? შე კაცო, ესე პატარა ტრავმაზე ფეხბურთის თამაშს რომ თავს ანებებდნენ, აღარავინ დარჩებოდა.

— ფეხი? მე ფეხი სულაც არ მტკენია...

— რაო?!

— მოვიგონე.

— აა?! შენ მე გამაგიჟებ! მოიცა, მოიცა, შენ მგონი...

— მამა, მე ფეხბურთს აღარასოდეს ვითამაშებ!



# ჯადოსნური საღებავები

ე. პერმიაკი ზღაპარი მხატვარი ირა რაზმაძე

ას წელიწადში ერთხელ, ახალი წლის ღამეს, ყველაზე კეთილ მოხუცს — თოვლის ბაბუას შვიდი ფერის საღებავი მოაქვს. რის დახატვა არ შეიძლება ამ საღებავებით! თანაც... რასაც დახატავ, თურმე, მაშინვე ცოცხლდება...

თუ გინდა, ნახირი დახატე და მაშინვე სამწყემსავად გასწი. გემს თუ დახატავ, ჩაჯექი შიგ და ზღვაში შეცურე, ანდა ვარსკვლავმფრენით ვარსკვლავებისაკენ გაფრინდი. ვთქვათ, სულ უბრალო რამის დახატვა მოგესურვება, მაგალითად, სკამისა, ვინ გიშლის, დახატე და დაჯექი.

თოვლის ბაბუას საღებავები თურმე ყველაზე კეთილი ბავშვებისათვის მოაქვს საჩუქრად. არც გასაკვირია! ასეთი საღებავები ბოროტ ბიჭს ან გოგოს რომ ჩაუვარდეს ხელში, ვინ იცის, რა უბედურებას დაატრიალებს. ადგებიან და ადამიანს მეორე ცხვირს მიუხატავენ და უცებ იგი ორცხვირა გახდება, ძაღლს რქებს დაუხატავენ, ქათამს — ულვაშებს, კატას — კუზს და უცებ ძაღლს რქები ამოუვა, ქათამს — ულვაშები, კატას კი — კუზი. თოვლის ბაბუა დიდხანს ფიქრობდა, ვისთვის ეჩუქებინა ჯადოსნური საღებავები, ბოლოს ერთ ძალიან კეთილ ბიჭს მისცა. ბიჭს გაუხარდა, მაშინვე ხატვას შეუდგა და ბებიას თბილი თავსაფარი დაუხატა, დედას — კაბა, მამას კი — სანადირო თოფი; მერე უსინათლო მოხუცს დაუხატა თვალები, თავის ამხანაგებს კი — უზარმაზარი სკოლა. მაგრამ რად გინდა, ვინ გამოიყენა ეს ნახატები!

ბებიას თავსაფარი იატაკის საწმენდ ჩვარს უფრო ჰგავდა, დედის კაბა კი ისეთი ჭრელი და ტომარასავით განიერი იყო, რომ დედამ არც კი მიიზომა, თურმე თოფიც არაფრით განსხვავდებოდა ხელკეტისაგან! უსინათლო მოხუცს თვალების მაგივრად ორი ცისფერი ლაქა ჰქონდა, აბა, მოხუცი ამ თვალებით რას დაინახავდა?! სკოლაც, ასე გულმოდგინედ რომ ხატავდა ბიჭი, ისეთი უშნო იყო, რომ ახლოს არ გაეკარებოდნენ ბავშვები.

ქუჩაზე ხეებიც გაჩნდა. მაგრამ ისინი ცოცხებს უფრო ჰგავდნენ, ცხენებს მავთულის ფეხები ჰქონდათ, მანქანებს — დაბრეცილი ბორბლები, სახლებს — ჩამონგრეული კედლები და გვერდზე მოქცეული სახურავები, ქურქებსა და პალტოებს კი სხვადასხვა სიგრძის სახელოები. გაჩნდა ისეთი საგნები, რომელთა გამოყენება არაფრით არ შეიძლებოდა.

ხალხი აღშფოთდა. ბიჭს ეუბნებოდნენ: — ასეთმა კეთილმა ბიჭმა ასეთი ბოროტება როგორ ჩაიდინეო, და ბიჭიც ატირდა. მას ხომ უნდოდა, ადამიანები ბედნიერები ყოფილიყვნენ, რა მისი ბრალი იყო, რომ კარგი ხატვა არ იცოდა. რომ სულ ტყუილად დახარჯა ჯადოსნური საღებავები. ბიჭი ხმამაღლა ტიროდა და მისი ხმა გაიგონა ყველაზე კეთილმა მოხუცმა — თოვლის ბაბუამ. იგი უკან დაბრუნდა და საღებავებით სავსე ყუთი ბიჭს წინ დაუდო.

— ეს, ჩემო კარგო ბიჭიკო, უბრალო საღებავებია, მაგრამ შეიძლება ჯადოსნურად იქცეს. თუ ძალიან მოინდომებ. — უთხრა და გაუჩინარდა.

ბიჭი ჩაფიქრდა. როგორ უნდა მოვიქცე, რომ ეს უბრალო საღებავები ჯადოსნური გახდეს და ხალხს ბედნიერება მოუტანოსო. აიღო ფუნჯი და დაიწყო ხატვა, თავი არ აულია. მთელი დღე, მთელი ღამე ხატავდა. ხატავდა მეორე, მესამე და მეოთხე დღესაც. ხატავდა და ხატავდა, სანამ საღებავები სულ არ გაუთავდა. ახლა ახალი საღებავები სთხოვა თოვლის ბაბუას.

გავიდა ერთი წელი... ორი წელი... გავიდა მრავალი წელი... ბიჭი დიდი გაიზარდა, საღებავები კი წინანდებურად უყვარდა. თვალი გამჭრიახი გაუხდა, ხელი — მარჯვე. ჩამონგრეულკედლებიანი, დაბრეცილი სახლების ნაცვლად ახლა იგი ლამაზ, მაღალ, ნათელ შენობებს ხატავდა, ტომარასავით განიერი კაბის ნაცვლად — კოხტა კაბებს.

ბიჭი ნამდვილი მხატვარი გახდა. ყველაფერს ხატავდა, ისეთ რამეებსაც კი, რაც არავის არასდროს ენახა: მისი დახატული თვითმფრინავები ვეება ისრებს ჰგავდა, გემები — თვითმფრინავებს, ხატავდა საჰაერო ხიდებს და მინის სასახლეებსაც.

ხალხი გაოცებული უყურებდა მის ნახატს, მაგრამ არავინ აღშფოთებულა, პირიქით, ყველას უხაროდა, ყველა აღფრთოვანებული იყო.

— რა სურათებია, რა საღებავებია! — ამბობდნენ ისინი, თუმცა საღებავები ჩვეულებრივი იყო.

მართლაც, ისეთი კარგი სურათები იყო, ხალხს უნდოდა გაცოცხლებულიყო. აი, მართლაც დადგა ბედნიერი დღე და ბიჭის დახატული სურათები გაცოცხლდა. გაცოცხლდნენ მინის სასახლეები, საჰაერო ხიდები და მფრინავი ხომალდები.

ასე ხდება ხოლმე ქვეყანაზე. ასეთი ამბავი ემართება არა მარტო საღებავებს, არამედ ჩვეულებრივ ნაჯახს, ნემსსაც, ანდა უბრალო თიხასაც, რასაც კი მიეკარება ჯადოსნური ხელი შრომისმოყვარე, მტკიცე ადამიანისა.

თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ



1937
საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ბიბლიოთეკა

# საუბრები რელიგიაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დრო სწრაფად იცვლება (რა თქმა უნდა, ისტორიული საზომებით). განსაკუთრებით ბევრი რამ შეიცვალა ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში. ვინ იფიქრებდა, თუნდაც, რომ ჩვენს მოზარდ თაობაში უცებ ესოდენ დიდი ინტერესი გაჩნდებოდა რელიგიისადმი, მისი საწყისების, საფუძვლების, არსისადმი...**

**ჟურნალ „პიონერის“ რედაქციამ გაითვალისწინა ეს გარემოება და გადაწყვიტა, დაიწყოს ბეჭდვა წერილების სერიისა „საუბრები რელიგიაზე“. წერილებში მოგითხრობთ სხვადასხვა ხალხისა და, მათ შორის, ქართველთა ტომების უძველეს რწმენებზე (ტოტემიზმი, ანიმიზმი...), რელიგიის წარმოშობაზე, მსოფლიოს უდიდეს რელიგიებზე (ბუდიზმი, სიონიზმი, ისლამი....) და, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობაზე — მის წარმოშობაზე, განვითარებაზე, მიმდინარეობებზე, მის არსსა და მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რა თქმა უნდა, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიას.**

**ახლა გთავაზობთ დოცენტ რუსუდან წიქვაძის პირველ წერილს — „რა არის რელიგია და როგორი იყო ადრინდელი რწმენა-წარმოდგენები“.**

ძვირფასო ბავშვებო, თქვენ უეჭველად შენიშნავდით, რომ უკანასკნელ პერიოდში ჩვენს საზოგადოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი რელიგიისადმი. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ახალგაზრდობაში, რომელმაც ღირებულებათა გადაფასებისა და რწმენის ძიების პროცესში პირი იბრუნა ეკლესიისაკენ. ეს მოვლენა რომ სრულად გავიგოთ, მოდით, ჯერ გავარკვიოთ, რა არის რელიგია.

რელიგია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან religio, რაც დაკავშირებას, შეერთებას, ღვთისმოსაობას, კულტს ნიშნავს. ეს არის რწმენა ზებუნებრივი, განსაკუთრებული ძალების, ღმერთის ან ღმერთების, ანგელოზების, სულების არსებობის შესახებ, როდესაც მიწიერი არამიწიერის სახეს ღებულობს და მორწმუნე ადამიანის მიერ განიცდება როგორც რეალური, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული, რელიგიური პერსონაჟები სინამდვილიდან გატანილი ფანტასტიკური სახეებია, რომელთა რეალურად მიღება მხოლოდ რწმენით შეიძლება. ამიტომაც რელიგია არის რწმენა და არ არის ცოდნა. რელიგიის აუცილებელი ნიშანია ადამიანსა და ზებუნებრივ არსებას — ღმერთს შორის კავშირის დამყარების შესაძლებლობა.

თავდაპირველად რელიგიის წარმოშობა ბუნების ძალთა წინაშე ადამიანის უძლურებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ის, რასაც ადამიანი ხედავდა, მაგრამ რისი გამომწვევი მიზეზების დანახვა, რისი ახსნაც არ შეეძლო (მაგ. მზის ამოსვლა-ჩასვლა, წვიმა, სიზმარი და სხვა მრავალი), იწვევდა მასში უხილავი, ზებუნებრივი ძალის არსებობის რწმენას. ამას ემატებოდა ფსიქოლოგიური მომენტიც — შიშის გრძნობა. რელიგიური წარმოდგენებისა და ცოდნის პირველი ელემენტები ალბათ იმ დროიდან ჩაისახა, როდესაც ადამიანმა პირველად დასვა კითხვები — რატომ? საიდან? როგორ? ის, რასაც ვერ უპასუხა, მან ზებუნებრივის სახით წარმოიდგინა, ხოლო რასაც პასუხი გასცა, თანდათანობით გაამდიდრა და თავისი ცხოვრების განვითარებისათვის გამოიყენა.

წარმოდგენებს, გრძნობებს, ემოციებს, განცდებს მხოლოდ ცნობიერებაში გავლის შემდეგ შეეძლოთ არსებულის დაშვება ფანტასტიკური სახით, რაც შემდგომში უფრო იხვეწებოდა. და ადამიანებიც ღმერთებს წარმოიდგენდნენ „ხატად და მსგავსად თავისა“. როგორებიც იყვნენ ადამიანები, ისეთივენი იყვნენ მათი ღმერთებიც. ამრიგად, რელიგიის ფესვები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: სოციალური, რაც მის საზოგადოებრივ ხასიათზე მიგვანიშნებს; ფსიქოლოგიური, რომელიც გარკვეულ ემოციებსა და გრძნობებს გულისხმობს; და გნოსეოლოგიური, რაც ცნობიერების, აზროვნების მომენტს უსვამს ხაზს.

რელიგიამ, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმამ, განვითარების რთული გზა განვლო; მისი წარმოშობა 40-50 ათასი წლის წინათ უნდა მომხდარიყო ზედა პალეოლითის (ქვის ხანა) პერიოდში. პირველი რელიგიური წარმოდგენები ისევე პრიმიტიული იყვნენ, როგორც მაშინდელი ადამიანები. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად რელიგიებიც იცვლიდნენ სახეს, რთულდებოდნენ და უფრო სრულყოფილი ხდებოდნენ; საზოგადოებრივი ყოფიერება გავლენას ახდენდა რელიგიაზე და თავისი სოციალური ბუნებით ისიც მჭიდროდ უკავშირდებოდა არსებულ ისტორიულ პირობებს. უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც ადამიანებმა მიცვალებულების დამარხვა და მათთვის საფლავში საყოფაცხოვრებო თუ საომარი ნივთების, სამკაულების ჩატანება დაიწყეს, იმ დროს უკვე იარსებებდა წარმოდგენა საიქიოსა და საიქიოს შესახებ. საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების გართულებას.

კაცობრიობა იცნობს რელიგიის პირველყოფილ ფორმებს, ესენია:

**ანიმიზმი** — სულთა თაყვანისცემა, როდესაც სულს დამოუკიდებელი არსებობა მიეწერება და ცოცხალ ძალად მოიაზრება. მორწმუნის შეხედულებით, ადამიანის ცხოვრება დიდად იყო დამოკიდებული სულებზე. არსებობდა კეთილი და ბოროტი სულები. ბოროტ სულს უკავშირდებოდა წარუმატებელი ნადირობა, ავადმყოფობა, სიკვდილი, ომი, ამიტომაც ადამიანები მნიშვნელოვანი საქმის წინ რიტუალებს აწყობდნენ. სულებს მსხვერპლს სწირავდნენ, რათა ისინი თავიანთ სასარგებლოდ განეწყოთ.

**ფეტიშიზმი** იყო უსულო საგნებისადმი ზებუნებრივი თვისებების მიწერა, რათა მათ დაეცვათ ადამიანები უბედურებისაგან. ფეტიშად იყენებდნენ ქვას, ხეს, რკინის ნაჭერს, ცხოველის კბილს, კუდს, ძვალს. საქართველოში დღემდე შემორჩენილია სახლზე ნალის მიჭედების, ღობის სარზე ცხენის თავის ქალის ჩამოცმის, ძროხისათვის გახვრეტილი ქვების, ველური ბლის პატარა ტოტის, კბილის შებმის ტრადიცია. ადამიანები დღემდე იყენებენ ე. წ. ავგაროზებს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ოჯახურ რელიქვიასაც კი წარმოადგენდეს. ყველა ამ საგანს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს — მათ უნდა დაიცვან ადამიანები, სახლი, ოჯახი, პირუტყვი ბოროტი ძალისაგან, ავი თვალისაგან, რასაც თვალისცემას ან გათვალვასაც ეძახიან.

**ტოტემიზმი** იყო ცხოველების, ფრინველების, მცენარეების თაყვანისცემა. სიტყვა „ტოტემი“ ავსტრალიელთა ერთ-ერთი ტომის სალაპარაკო ენიდან არის აღებული და ნიშნავს „მის გვარს“. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა წარმოდგენით ყველა ტომი, გვარი თავის არსებობას ამა თუ იმ ცხოველის ან ფრინველის სახეობიდან იწყებდა და მის ნათესავად ითვლებოდა. ამიტომ იკრძალებოდა მასზე ნადირობა, მისი მოკვლა და მისი ხორცის ჭამა. საქართველოში წმინდა ცხოველებად ითვლებოდნენ ხარი და მგელი, წმინდა მცენარეებად — ცაცხვი და მუხა. ინდოეთში დღემდეა შემორჩენილი ძროხისა და მაიმუნის კულტი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ტოტემიზმის დროს უნდა მომხდარიყო გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა, რაც უეჭველად ხელს შეუწყობდა ნათესავებს შორის სისხლის აღრევის მოსპობასაც.



**მაგიაც** ადრინდელი რელიგიის ფორმაა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით იჩენდა თავს. მსოფლიო რელიგიებმა, განსაკუთრებით კი ქრისტიანობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს მაგიას, ჯადოსნობას. ვინც მკითხაობაში, შელოცვებში, ჯადოს კეთებაში, წამლების დამზადებაში და ბუნების საიდუმლოებათა ხელყოფაში იქნებოდა შემჩნეული, სიკვდილით ისჯებოდა. ამის მაგალითი მრავლად შემოგვინახეს რელიგიებმა.

ტომის ბელადების ავტორიტეტმა სათავე დაუდო მათ კულტს. ოჯახის წარმოქმნამ წინაპრის კულტის თაყვანისცემა შემოიტანა, ხოლო კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამ თან მოიტანა ახალი რელიგიური ფორმები. პრიმიტიული რელიგიური ფორმები ადგილს უთმობენ ბუნების მოვლენათა და ადამიანების სამეურნეო თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამსახველ ღვთაებებს. გაჩნდა **პოლითეიზმი** ანუ მრავალღმერთიანობა, რომლის დროსაც ღმერთების ფუნქციები მკაცრად იყო განსაზღვრული. მაგ., ცალ-ცალკე არსებობდნენ მზის, მთვარის, ამინდის, ჭექა-ქუხილის, წვიმის, მიწათმოქმედების, ზღვის, ნადირობის, მეღვინეობის, მჭედლობის, ომის, სიყვარულისა და სილამაზის, მკურნალობისა და სხვა ღმერთები, რომლებსაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების მსგავს წესებს მიაწერდნენ. ღმერთები ადამიანებისაგან მხოლოდ განსაკუთრებული ფიზიკური ძალითა და უკვდავებით გამოირჩეოდნენ. პოლითეიზმის კლასიკუ-

რი ნიმუშია ძველი საბერძნეთის ღვთაებათა პანთეონი, სადაც ზოგიერთი ღვთაება განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. მათი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი მათგან იჩემებდნენ თავიანთი გვარის წარმომავლობას. მაგ., ალექსანდრე მაკედონელი აცხადებდა, რომ ის დედამისს ღმერთი აპოლონისაგან შეეძინა, ხოლო იულიუს კეისარი თავისი გვარის წარმომავლობას ქალღმერთ ვენერას უკავშირებდა. ასეთი ადამიანები თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებას ღვთით ბოძებულად და კანონიერად თვლიდნენ.

პოლითეიზმი მონათმფლობელური საზოგადოების პირმშო იყო და თავის ღვთაებათა იერარქიით თავისებურად ასახავდა მმართველობასა და პოლიტიკურ სისტემას. მაგ. ბერძნულ პანთეონს სათავეში ედგა ზევსი, რომელსაც ექვემდებარებოდა ღმერთებისა და ქალღმერთების მთელი არმია. მათ, ადამიანთა მსგავსად, ჰყავდათ ოჯახები, მისდევდნენ მეურნეობას, დროსტარებას და არც ერთმანეთის ღალატი ეუცხოებოდათ. ძველ ბერძნულ ღვთაებათა პანთეონი მხატვრული სახეებით შესანიშნავად არის წარმოდგენილი ბერძნულ მითოლოგიაში. ძვირფასო ბავშვებო! ბერძნული მითები ქართულ ენაზე ცალკე წიგნად არის გამოცემული და მათი წაკითხვა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. იმედი მაქვს, რომ თქვენს აზრს ამ წიგნის შესახებ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზედაც გამოთქვამთ.

რაც შეეხება ქართველთა რელიგიურ შეხედულებებს, უნდა ითქვას შემდეგი: ქართული წარმართობისათვის დამახასიათებელი იყო გარდაცვლილთა და წინაპართა კულტი, სულების თაყვანისცემა, ანგელოზებისა და ეშმაკების, კუდიანების რწმენა. ცნობილი იყო მაგიის სხვადასხვა სახეებიც. მაგ., სამეურნეო, სამკურნალო, საბრძოლო მაგია. ყველა ისინი ქართველთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ასახავდნენ. მრავალღმერთიანობის დროს საქართველოში ცნობილი იყვნენ ღვთაებები: **მორიგე**, რომელსაც მიეწერებოდა ამქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგება; **კვირია** — ხმელეთის გამგებელი და შვილიერების, მოსავლის, სამართლიანობის მფარველი; ამინდის ღმერთი — **ვობი**; ელჰექის, წვიმის, ქუხილის ბატონ-პატრონი **ელია**; დიდი პოპულარობით სარგებლობდა ნადირობის ქალღმერთი **დალი**. გარეულ ცხოველებსაც კი თავიანთი მფარველები ჰყავდათ, რომლებსაც სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ (ანატორი, ოჩოპინტრე, ბოჩი). ცნობილი იყო მოსავლის ღმერთი **არალე** და სხვ.

ქართველი ტომების გაერთიანების პროცესში იმ ტომთა ღვთაებები დაწინაურდნენ, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში. ასეთი იყო ქართლში არმაზის ღვთაების კულტი. იგი ომის ღმერთად ითვლებოდა და, ამასთანავე, მთვარის ღვთაებაც უნდა ყოფილიყო. არმაზი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, ხოლო მზეს თაყვანს სცემდნენ ქალის სახით. ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ასეთი ლექსი შემოგვინახა:



„მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი
ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი".

ადამიანები ყველა ქვეყანაში სწირავდნენ მსხვერპლს თავიანთ ღმერთებს. მსხვერპლი შეიძლებოდა ყოფილიყო სისხლიანიც და უსისხლოც. სისხლიანი შესაწირი (საკლავი — ფრინველი, ცხოველი, არცთუ იშვიათად — ადამიანიცკი) ღმერთისათვის უფრო სასურველად ითვლებოდა. ამას მოწმობს ისეთი უძველესი წიგნიც, როგორიც არის ბიბლია, სადაც ორი ძმის — აბელისა და კაენის მაგალითზე გადმოცემულია საშინელი დანაშაული, როდესაც ერთი ძმა ჰკლავს მეორეს იმის გამო, რომ ღმერთი მას მეტად სწყალობდა სისხლიანი შესაწირისათვის.

როდესაც მონათმფლობელობის კრიზისი დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ძველი ღმერთები აღარ აკმაყოფილებდნენ საზოგადოებრივი კლასების ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოთხოვნილებებს და თავიანთ ძალას კარგავდნენ. მალე ისინი ისტორიის ავანსცენიდან ჩამოდიან და სიძველეთა მუზეუმში იკავებენ ადგილს. მწიფდება იდეა ერთღმერთიანი რელიგიების შესახებ, რომლებიც ერთნაირად მისაღები იქნებოდნენ ერთი სახელმწიფო ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა ხალხისათვის. ასეთი რელიგიებია **ბუდიზმი**, **ქრისტიანობა**, **ისლამი**, რომლებსაც წინ უსწრებდა მონოთეიზმის, როგორც ეროვნული სახელმწიფოებრივი რელიგიის, გამოვლენა. ამის კლასიკური მაგალითია **იუდაიზმი**, რომლისგანაც მნიშვნელოვნად დავალებული დარჩა შემდგომი პერიოდის ყველა მსოფლიო რელიგია. მათ შესახებ მომდევნო წერილებში ვისაუბროთ.

**რუსუდან წიქვაძე,**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი



ზურაბ სარჯველაძე,
პროფესორი

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ფრ. მიულერმა, ი. ტეილორმა, შემდგომში კი ს. გორგაძემ გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქართული დამწერლობა უკავშირდება არამეულს (არამეული ერთ-ერთი სემიტური ანბანია; არამეული ენა ებრაულის უახლოესი მონათესავეა). ეს თვალსაზრისი ახლებურად დაისვა ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებში არმაზის ბილინგვის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

1940 წლის 25 ნოემბერს მცხეთის მახლობლად, არმაზში, აღმოაჩინეს ორენოვანი წარწერა (ბილინგვას სწორედ იმის გამო უწოდებენ, რომ წარწერა ორენოვანია: **ბი** ლათინურად ორს ნიშნავს, **ლინგვა** — ენას). წარწერის ზემო ნაწილი ბერძნულია, ქვემო კი არამეული ასოებით არის შესრულებული.

არმაზის ბილინგვამ იმთავითვე მიიქცია მეცნიერთა ყურადღება. მას გამოკვლევები უძღვნეს ა. შანიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, გ. წერეთელმა და სხვებმა. განსაკუთრებული წვლილი არმაზის ბილინგვის კვლევაში შეიტანა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

გ. წერეთლის აზრით, არმაზში აღმოჩენილი არამეული დამწერლობა სემიტური დამწერლობის თავისებურ სახეს წარმოადგენს. მას შეიძლება არმაზული დამწერლობა ვუწოდოთ. მეცნიერის ვარაუდით, ზოგიერთი არმაზული ნიშანი ნათესაობას ამჟღავნებს ქართულ ნიშნებთან. ამასთან, ზოგი ქართული გრაფემა უფრო დიდ სიძველეს ავლენს, ვიდრე შესაბამისი ნიშანი არმაზული დამწერლობისა. გ. წერეთლის აზრით, როგორც ქართული, ისე არმაზული დამწერლობა მომდინარეობს საერთო წყაროსაგან, შესაძლოა, ფინიკიურისაგან ან არამეულისაგან. სავარაუდოა, რომ ქართული და არმაზული დამწერლობების საერთო წყაროა ძველი არამეული დამწერლობის თავისებური შტო. ამრიგად, ეს გზა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ძველი არამეული დამწერლობის
ერთ-ერთი სახეობა

| ↓ | ↓ |
|---|---|
| არმაზული დამწერლობა | ქართული დამწერლობა |

ქართული დამწერლობის შექმნის კონკრეტულ თარიღს გ. წერეთელი არ ასახელებს, თუმცა აშკარაა, რომ მას ჩვენი ანბანი წინარექრისტიანულ ხანაში შექმნილად მიაჩნია.

გ. წერეთლის თეორიის ერთ-ერთ არსებით ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ მან სემიტურ დამწერლობას შეუდარა ნუსხური ანბანი, რომელიც აშკარად მეორეულია და ასომთავრულიდან მომდინარეობს (თუმცა ამ თვალსაზრისს გ. წერეთელი არ მიიჩნევდა სწორად). ეს დოკუმენტურად მტკიცდება ქართული წერილობითი ძეგლების გამოწვლილვითი შესწავლის შედეგად და მისი უგულებელყოფა ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხის კვლევისას შეუძლებელია.

ჯერ კიდევ 1876 წელს ბერძნული პალეოგრაფიის ცნობილმა მკვლევარმა ვ. გარდტჰაუზენმა მიუთითა, რომ ქართული დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარეობს. ამავე დებულების დამტკიცებას შეეცადა დიმიტრი ბაქრაძე 1881 წელს თბილისში ჩატარებულ არქეოლოგთა V კონგრესზე წაკითხულ მოხსენებაში. შემდგომში ასეთივე აზრი სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ დ. კარიჭაშვილს, კ. კეკელიძეს, პ. ინგოროყვას, ა. შანიძეს, თ. გამყრელიძეს, ვ. ბოედერს და სხვა მეცნიერებს.

დღეისათვის გამოვლენილია ნიშანთა კომპლექსი, რომლის მიხედვითაც ქართული დამწერლობა უკავშირდება ბერძნულს და უპირისპირდება სემიტურს (ფინიკიურს, არამეულს...). ეს ნიშნებია:

1. წერის მიმართულება ქართულს ისეთივე აქვს, როგორიც ბერძნულს: მარცხნიდან მარჯვნივ, სემიტურ დამწერლობებში კი წერის მიმართულება საპირისპიროა. ბერძნებმა შეცვალეს წერის მიმართულება; მარცხნიდან მარჯვნივ წერენ ის ხალხები, რომელთა დამწერლობები უშუალოდ ან შუალობით ბერძნულიდან მომდინარეობს.

2. ქართულ ანბანში, ისე როგორც ბერძნულში, გვაქვს ხმოვანთა გამომხატველი ნიშნები. როგორც ცნობილია, სემიტურ დამწერლობებში მხოლოდ თანხმოვნები აღინიშნება. ბერძნებმა შემოიღეს სპეციალური ნიშნები ხმოვნებისათვის და მათ ანბანზე დაყრდნობით ხმოვნები გამოიხატება იმ დამწერლობებშიც, რომელთაც ბერძნული დაედო საფუძვლად.

3. ქართულ ანბანში ასოთა მიმდევრობა ა-ნიდან ქ-ანამდე (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ზუსტად მისდევს ბერძნულს. ასევე მსგავსია ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები. ქ-ს შემდეგ ქართულ ანბანში მოთავსებულია ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ისეთი ბგერები, რომელთა შესატყვისები ბერძნულს არ გააჩნია: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ და მისთანანი.

4. ქართულმა ბერძნულიდან ისესხა წერასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი: მაგალითად: მელანი (ბერძნული მელან „შავს" ნიშნავს), **კალამი (კალამოს** — „ლერწამი"; როგორც ჩანს, ძველად ლერწმით წერდნენ), ქარტა, ეტრატი და სხვ.

5. ზოგი ქართული ასოს დაწერილობა ბერძნულთან ძალზე ახლოს დგას: ქართული ო (მრგვლოვანი) აშკარად ბერძნულიდან მოდის. ასევე ცხადია ქართული Փ და ბერძნული Φ ნიშნების კავშირი და სხვ. ძველ ქართულში უ ბგერა

ორი ნიშნით გადმოიცემა. ეს წესიც ბერძნულიდან იღებს სათავეს.

6. ქართული დამწერლობა გეომეტრიულ პრინციპზეა აგებული. თავდაპირველად ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა. უკანასკნელ ხანებში ამ დებულებას ასაბუთებდნენ ვ. ბოედერი, ე. მაჭავარიანი, თ. ჩხენკელი. ვ. ბოედერმა ნათელყო, რომ ზოგადი გეომეტრიული პრინციპი, რაც ქართული ანბანის შემოქმედს გამოუყენებია, ბერძნულ გეომეტრიულ მოძღვრებას ემყარება.

ვ. ბოედერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართული ანბანის შემოქმედი იცნობდა აგრეთვე ბერძნულ ფონეტიკურ მოძღვრებას, რომელიც ასახულია დიონისე თრაკიელის გრამატიკულ ტრაქტატში. მეცნიერის აზრით, ამ მოძღვრების მიხედვით არის განლაგებული ქართულისათვის სპეციფიკური ბგერების გამომხატველი ნიშნები ანბანის ბოლო ნაწილში.

საზოგადოდ, გრაფიკული მეთოდით დამწერლობის ისტორიის კვლევა საიმედოდ არ ითვლება. მსგავსი დამწერლობის ნიშნები შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ დამწერლობებში, რომელთა მატარებელ ხალხებს ერთმანეთთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ.

ქართული დამწერლობისათვის წინარესახეობად საგულვებელია სემიტური ან ბერძნული. საკითხის გადასაწყვეტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ანბანის შინაგანი სტრუქტურის ანალიზს. ქართული ენის ფონეტიკური სისტემა გაცილებით მეტ ბგერით ერთეულს ავლენს, ვიდრე ბერძნული ან სემიტური ენები. ამდენად, ქართული დამწერლობისათვის, რომელიც უნდა შეერჩიათ ამოსავლად — ბერძნული თუ სემიტური — ორივე შემთხვევაში აღმოჩნდებოდა ისეთი ბგერითი ერთეულები, რომელთა ეკვივალენტები (შესაბამისი ბგერები) ამოსავალ სისტემას არ მოეპოვებოდა. ბუნებრივია, რომ ასეთი ბგერების შესატყვის ნიშნებს ქართული ანბანის შექმნისას არაძირითად, დამატებით ნაწილში მოათავსებდნენ, ხოლო ძირითად ნაწილს შეადგენდა იმ ბგერითი ერთეულების აღმნიშვნელი გრაფემები, რაც საზიაროა ამოსავალ სისტემასთან.

როგორც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე მიუთითებს, ქართული, ბერძნული და სემიტური დამწერლობების ამ თვალსაზრისით შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული ანბანის შექმნისას მოდელად გამოუყენებიათ ბერძნული დამწერლობა. ამ მოდელის მიხედვით გამოიყო ქართულში ბგერითი ერთეულები და განლაგდა მათი შესატყვისი ასონიშნები. ქართული და ბერძნული დამწერლობების შედარება ნათელყოფს, რომ ქართულში ძირითად ნაწილში (ანიდან ქანამდე) წარმოდგენილია ისეთი ნიშნები, რომელთა ბგერითი ერთეულების ეკვივალენტები მოიპოვება ბერძნულს. ქართულის დამატებით ნაწილში (ღანიდან ბოლომდე) ისეთი გრაფემები შედის, რომელთა შესატყვისი ბგერითი ერთეულები ბერძნულს არ გააჩნია.

თუ ამოსავალ სახედ სემიტურ დამწერლობებს მივიღებდით, მაშინ ქართული ანბანის ძირითადი და დამატებითი ნაწილების ურთიერთშეფარდება სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. არსებითია ისიც, რომ მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებებისა, რაც სემიტური დამწერლობის ბერძნული ენის სისტემისათვის მისადაგების პროცესში მოხდა, მთლიანად აისახა ქართულ დამწერლობაშიც. ესეც, რა თქმა უნდა, მოწმობს იმას, რომ ქართული დამწერლობისათვის ამოსავალი სახეობა სწორედ ბერძნულია და არა სემიტური დამწერლობა.



მოვიხმობთ ორიოდე დამახასიათებელ მაგალითს. ქართულ დამწერლობაში მე-9 ადგილი უკავია თ-ს. ეს არის ფშვინვიერი თანხმოვნის გამომხატველი ნიშანი. ბერძნულში მას შეესატყვისება თეტა, რომელსაც მე-9 ადგილი უკავია და ასახავს ფშვინვიერ თანხმოვანს. ბერძნული და ქართული ფშვინვიერის ადგილას სემიტურში არის ემფატიკური (მკვეთრი) თანხმოვანი ტ. ქართული დამწერლობა რომ უშუალოდ სემიტურიდან მომდინარეობდეს, მე-9 ადგილას გვექნებოდა მკვეთრი ტ-ს გამომხატველი ნიშანი და არა თანი. საქმე ისაა, რომ ბერძნულმა სემიტური მკვეთრი გადმოიღო როგორც ფშვინვიერი, ხოლო სემიტური ფშვინვიერის თ-ს შესატყვისად გამოიყენა არაფშვინვიერი, ყრუ ტ. ესეც აისახა ქართულში. ამრიგად, ქართულში თ რომ მე-9 ადგილზეა, ხოლო ტ 21-ზე, შეპირობებულია ბერძნულის ზეგავლენით.

ქართული ანბანის მე-20 ასოა სანი. სემიტურში შესაბამის ადგილას გვაქვს შ. რატომ გვაქვს ქართულში აქ ს? პასუხი ბერძნული დამწერლობის სისტემაშია საძიებელი. ბერძნულს საერთოდ არ მოეპოვება შ და მან სემიტურ შ-ს შესატყვისად ს გამოიყენა. ეს აისახა ქართულ ანბანშიც. ხოლო ქართულის შ მოექცა დამატებითი ნიშნების ნაწილში. ცხადია, ქართულს რომ ამოსავალ მოდელად გამოეყენებინა სემიტური, მაშინ შ დამატებით ნაწილში არ მოექცეოდა; ასევე, დამატებით ნაწილში არ მოხვდებოდა წ, რომლის ეკვივალენტი სემიტურს კი მოეპოვება, მაგრამ ბერძნულს არ გააჩნია.

ამგვარი ფაქტების მოხმობა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მიზნებისათვის ზემოთ მითითებულიც საკმარისია.

ეს აძლევს თ. გამყრელიძეს საფუძველს, დაასკვნას, რომ ძველ ქართულ დამწერლობას მოდელად გამოუყენებია ძველი (არქაული) ბერძნული დამწერლობა.

ქართული დამწერლობის შექმნის ეპოქის შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. დიმიტრი ბაქრაძე არ ასახელებდა კონკრეტულ თარიღს, ოღონდ თვლიდა, რომ ქართული ანბანი შექმნილია დასავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიების არსებობის პერიოდში. მოსე ჯანაშვილის აზრით, ქართული დამწერლობა ძვ. წ. XIV საუკუნეში მაინც შეიქმნა. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ქართული დამწერლობა ჩამოყალიბდა არა უგვიანეს ძვ. წ. VII ს-ისა. რამაზ პატარიძე ადრე ძვ. წ. V საუკუნეს მიიჩნევდა ქართული ანბანის შექმნის დროდ, უკანასკნელ ხანებში ასახელებს ძვ.წ. 284 წელს. აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე წელს შექმნილად მიაჩნდა ქართული დამწერლობა პავლე ინგოროყვასაც. წინარექრისტიანულ ეპოქაში ეგულებოდა ქართული ანბანის შექმნის დრო გიორგი წერეთელს.

როგორც დავინახეთ, მეცნიერთა ერთ ნაწილს ქართული დამწერლობა საქართველოს გაქრისტიანებამდე შექმნილად მიაჩნია. არსებობს მეორე თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული ანბანის შექმნა ჩვენში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისს ემხრობიან კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თ. გამყრელიძე, ვ. ბოედერი და სხვები.

ქართული ანბანის ის სახეობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ქრისტიანობას უნდა უკავშირდებოდეს. გ. დეეტერსმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ძველი ქართული ქ ქრისტეს აკროფონიული (ბერძნ. აკრო — „საწყისი“, ფონე — „ბგერა“) ნიშანია და მას შემთხვევით არ აქვს ჯვრის სახე. ე. მაჭავარიანის აზრით, ძველი ქართული ჯ ჯუარის აკროფონიული ნიშანია და შედგება ორი ასოს — მრგლოვანი ი-ს (რომელიც იესუ სიტყვის აკროფონიული ნიშანია) და მრგლოვანი ქ-ს (ქრისტე) კომბინაციისაგან. შემთხვევითი არაა, რომ ეს ნიშანი ამოვარდნილია ქართული ანბანის მოხაზულობის სისტემიდან.

ამასთან უნდა ითქვას ისიც, რომ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქართული ანბანის შემოღება საეჭვოა თუნდაც იმის გამო, რომ ჩვენს საისტორიო წყაროებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ქართლის გაქრისტიანების ამბავი, მაგრამ არაფერია ნათქვამი დამწერლობის შემოღების შესახებ. ცხადია, მემატიანე ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ასეთ უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ ფაქტს არ გამოტოვებდა, პირიქით, მას უთუოდ აღნიშნავდა. ამაზე მიუთითა ე. ხინთიბიძემ.

საფიქრებელია, რომ ქართული ანბანი შეიქმნა იმ ქრისტიანული თემებისათვის, რომლებიც ფარულად არსებობდნენ ჩვენში ახალი რელიგიის ოფიციალურად შემოღებამდე. ამ თემებს თავიანთი ლიტურგიული პრაქტიკისათვის (წირვა-ლოცვის ჩატარებისათვის) აუცილებლად სჭირდებოდა წიგნების გარკვეული ოდენობა. ამდენად, სავარაუდოა, რომ ქართული დამწერლობა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეებში უკვე არსებობდა. სხვათა შორის, ქართული ანბანი უკვე არსებობს ქრისტიანობის ოფიციალურად შემოღების ეპოქაში, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ წმინდა ნინოს ამბავი ჩაუწერიათ აბიათარ მღვდელს, მის ასულს სიდონიას და სხვებს (მათი ჩანაწერები შესულია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში).

რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია ცნობა იმის შესახებ, რომ ფარნავაზმა შემოიღო ქართული დამწერლობა, მაგრამ ჯერჯერობით ამ ცნობის სარწმუნოდ მიჩნევა ჭირს. ვფიქრობთ, რომ უნდა იგულისხმებოდეს სამეფო კანცელარიის საჭიროებისათვის (ალბათ მეზობელ ქვეყნებთან საურთიერთოდ) ბერძნული ან არამეული ანბანის შემოღება-გამოყენება. ასეთი პრაქტიკა კი ფართოდ იყო გავრცელებული ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა ჯერჯერობით არ არის გადაჭრილი. ამ ამოცანის გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

## გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ამაო შიში

ერთხელ ცნობილ იტალიელ კომპოზიტორ ჯოაკინო როსინისთან მიწვეული სტუმრები სადილის შემდეგ ღვინის ჭიქებით ხელში ავანზე რომ ჩამოსხდნენ, სამზარეულოში წარმოუდგენელმა ხმაურმა იფეთქა. გაისმა წკარუნი, ჩხარუნი, ზრიალი, გრუხუნი, ტკაცანი, ჭახანი და, ბოლოს, კვნესა და ოხვრა. სტუმრებს გაოცებისაგან ენა დაება. როსინიმ სამზარეულოში შეირბინა და მაშინვე ღიმილით დაბრუნდა:

— ღმერთს მადლი, რომ ეს მხოლოდ მოახლის თინია, სუფრას გამოსდებია და მთელი ჭურჭელი დაბლა გადმოუყრია. მე კი მეგონა, ვიღაცამ ჩემს სახლში „ტანჰეიზერის“ უვერტიურის დაკვრა გაბედა-მეთქი.

ვერ იტანდა როსინი რიჰარდ ვაგნერის მუსიკას.

### ჩინებული დუეტი

1821 წელს რომის კარნავალზე ხალხის ყურადღება მიიპყრო მოხეტიალე მუსიკოსთა ჯგუფმა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომიკური წყვილი — უჩვეულოდ სქელი მამაკაცი და გამხდარი ქალი. ისინი ვირტუოზულად უკრავდნენ გიტარებზე, მათი თანამგზავრები კი მხიარულად მღეროდნენ:

ბრმები ვართ დასაბამიდან,
თან მუდამ ტანჯვა გვდევს,
გთხოვთ მოწყალება გაიღოთ
ამ საზეიმო დღეს.

მაშინ ვერავინ იცნო ჯოაკინო როსინი, ისედაც სრული ტანი ბალიშებით კიდევ უფრო გაესქელებინა, ხოლო ნიკოლო პაგანინის ქალის ტანსაცმელი ჩაეცვა.

მათი მეგობრები კი იმ სიმღერას ასრულებდნენ, რომელიც როსინიმ საგანგებოდ კარნავალისთვის შექმნა.

შოთა ამირანაშვილი

# ყაბაყი

ქართული ცხენოსნური თამაში



გაბრიელ გარჯაძე

შეჯიბრება ყაბახში ტარდება როგორც პირად, ასევე პირად-გუნდურ პირველობაზე.

**მოედნის მოწყობილობა.** მოედნის სიგრძე 150 მეტრია, სიგანე — 20-30 მეტრი. მოედნის შუაში დგას 6 მეტრის სიმაღლის ანძა. ანძის ორივე მხრიდან, 75-75 მეტრის დაშორებით, გავლებულია 20-30 მ სიგრძის ორი ურთიერთპარალელური ხაზი. ერთ-ერთ მათგანს სასტარტო ხაზი ეწოდება, მეორეს — საკონტროლო. ანძის თავზე დგას 30 სანტიმეტრი სიმაღლის ლითონის თასი, ანუ სამიზნე. სათამაშო ინვენტარია ნებისმიერი ზომისა და მასალის მშვილდები და ისრები.

**მონაწილეთა რაოდენობა და აღკაზმულობა.** მონაწილეთა რიცხვი განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით. დებულებაშივე უნდა იყოს აღნიშნული: 1. რა ხასიათისაა შეჯიბრება (პირადი, პირად-გუნდური); 2. სროლების რაოდენობა თითოეული მონაწილისათვის; 3. როგორია მხედრის ტანსაცმელი (ის უნდა იყოს მხედრის შესაფერისი; შეჯიბრებაში მონაწილე გუნდებისათვის სხვადასხვა ფერისა და. სასურველია — ეროვნული); 4. შეჯიბრებაზე დაიშვება ყველა ჯიშის ცხენები; 5. უნაგირები და ცხენის მოკაზმულობა ნებისმიერია; 6. ყველა მხედარს უნდა ჰქონდეს ნომრები მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად.

**გუნდების განლაგების წესი.** უფროსი მსაჯის ნიშანზე გუნდები გუნდისთავის მეთაურობით მწყობრად გამოდიან მოედანზე. მსაჯის მითითებით მხედრები იკავებენ მიჩნეულ ადგილს პირით მაყურებლებისაკენ, რის შემდეგაც მსაჯი გამოიძახებს გუნდისთავებს, ჩაატარებს კენჭისყრას და დადგინდება შეჯიბრებაში გუნდის გამოსვლის წესი.

კენჭისყრის შემდეგ უფროსი მსაჯის განკარგულებით, ყველა მონაწილე ტოვებს მოედანს და იკავებს წინასწარ მონიშნულ ადგილს.

გუნდი, რომელიც პირველი გამოდის შეჯიბრებაზე, დგება სტარტის ხაზზე და განლაგდება ნომრების მიხედვით (პირველი ნომერი დგება მარჯვენა მხარეს).

**შენიშვნა:** დანარჩენ მხედრებს უფლება აქვთ დაქვეითდნენ, მაგრამ არ უნდა დატოვონ მიჩნეული ადგილი; მესტარტის გამოძახებისთანავე მორიგე გუნდი ვალდებულია, მთლიანი შემადგენლობით დაუყოვნებლივ დაიკავოს სასტარტო ხაზი.

**თამაშის დასაწყისი.** უფროსი მსაჯის ნიშანზე ნომერი პირველი მხედარი დაიძრება სტარტიდან და ჭენებით გაემართება ანძისაკენ. ანძასთან მიახლოების ან ანძის გავლისას მხედარი ისარს ესვრის სამიზნეს, ცდილობს, მოახვედროს იგი ანძის თავზე დადგმულ თასს.

ისრის სროლის შემდეგ მხედარი განაგრძობს სვლას. გადაკვეთს საკონტროლო ხაზს (ეს აუცილებელი პირობაა!) და ბრუნდება უკან; თუ მან თასი ვერ ჩამოაგდო (თუ ჩამოაგდო, თასს ხელახლა დგამენ), არ ელოდება მსაჯის განმეორებით ნიშანს, მიემართება ანძისაკენ და განმეორებით ესვრის ისარს სამიზნეს, სჭრის სასტარტო ხაზს (აუცილებელი პირობა) და ამით ამთავრებს თავის გამოსვლას.

პირველი გუნდის ყველა დანარჩენი მხედარი თავის გამოსვლას ზემოთ მოყვანილი წესით იმეორებს (ნომრების მიხედვით). მოწინააღმდეგე გუნდი მესტარტის ნიშანზე იკავებს სასტარტო ხაზს მაშინვე, როგორც კი პირველი გუნდი დატოვებს მოედანს.

ამავე წესით ატარებს გამოსვლას ყველა გუნდი.

გამარჯვებული გუნდის წევრები მწყობრად, ერთიმეორის მიყოლებით არტყამენ საპატიო წრეს ტრიბუნის წინ.

**გამარჯვებულის გამოვლინება.** შეფასებაში შედის: ა) სამიზნე ისრის მოხვედრათა რაოდენობა; ბ) გამოსვლაზე დახარჯული დრო.

სამიზნე (თასი) დაშავებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ისრის მოხვედრის შედეგად ჩამოვარდა.

**შენიშვნები:** 1). თუ თასს ისრის წვერო კი არ შეეხო, არამედ სხვა რომელიმე ნაწილი, ეს მოხვედრად არ ჩაითვლება; 2. ისრები უნდა იყოს მრგვალი, გაპრიალებული.

ქულები ირიცხება შემდეგნაირად: მოხვედრა — 1 ქულა, აცდენა — 0.

გამარჯვებულად ჩაითვლება გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი მოხვედრა აქვს და რომელმაც ყველაზე ნაკლები დრო დახარჯა (გუ-

ნდის ყველა წევრის მიერ დახარჯული დროის ჯამი).

გამარჯვებულია, აგრეთვე, მხედარი, რომელიც ყველაზე მეტჯერ მოახვედრებს ისარს ყველაზე ნაკლებ დროში.

**შენიშვნები:** 1. იმ შემთხვევაში, თუ არც ერთ მონაწილეს მოხვედრა არა აქვს, დროს უპირატესობა არ ეძლევა. 2. თუ ორსა და მეტ მხედარს აქვთ თანაბარი მოხვედრები, მაშინ უპირატესობა ეძლევა იმ მხედარს, რომელმაც ნაკლები დრო დახარჯა; თუ მათ დროც თანაბრად დახარჯეს, მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლინებლად დაინიშნება დამატებითი გასვლა (ერთი ისრის სროლის ნებართვით); 3. თუ დამატებითი გასვლაც თანაბარ შედეგს იძლევა, საპრიზო ადგილები განაწილდება ამ მხედრებს შორის; 4. მშვილდის დაკარგვის შემთხვევაში მხედარი ტოვებს შეჯიბრებას; 5. დაკარგული ისარი არ ანაზღაურდება; 6. მხედარი, რომელმაც არ გადაჭრა საკონტროლო ხაზი, კარგავს შეჯიბრების გაგრძელების უფლებას.

**მსაჯი.** თამაშს სჯის 3 მსაჯი: უფროსი მსაჯი, მსაჯ-მესტარტე და მსაჯ-კონტროლიორი.

მსაჯი ვალდებულია, სამიზნეს ჩამოგდების შემდეგ ხელახლა დადგას თასი ანძის თავზე.

მსაჯს უფლება აქვს, მოითხოვოს უვარგისი ცხენისა და უვარგისი აღკაზმულობის შეცვლა, აგრეთვე შეცვალოს ისრები, თუ მათი მდგომარეობა არ შეეფერება თამაშის წესებს.



მუსიკალური



# „ჰელოუინი“

## (ყოვლადწმიდის წინადღე)

როკ-ჯგუფი „ჰელოუინი“ (ყოვლადწმიდის წინადღე“) 1988 წელს შეიქმნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. თავდაპირველად მის შემადგენლობაში შედიოდნენ: კაი ჰანსენი — ვოკალი, გიტარა; მიხაელ უეიკეტი — გიტარა; მარკუს გროსკოფი — ბას-გიტარა; ინგო შვიხტენბერგი — დასარტყამი საკრავები.

1985 წელს გამოვიდა ჯგუფის მინი-ალბომი, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა მას სამშობლოში. საერთაშორისო აღიარება კი „ჰელოუინმა“ მოგვიანებით მოიპოვა. წარმატებას წინ უძღოდა მუყაითი და დაძაბული სტუდიური და საკონცერტო მუშაობა. ამ თვალსაზრისით ჯგუფისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა 1987 წელი. სწორედ მაშინ მოვიდა ჯგუფში ვოკა… ისტი მიხაელ კისკე. მისი მონაწილეობით ჩაწერა „ჰელოუინმა“ ალბომი „შვიდი გასაღების მცველი“, რომლის წყალობითაც ამ გერმანულ ჯგუფს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მიაქციეს ყურადღება. ალბომმა მაღალი ადგილები დაიკავა ეროვნულ ჰიტპარადებში.

1987 წელს ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო პოლონეთში გამართულ პოპულარულ საერთაშორისო ფესტივალში „მეტალმანია“, იმავე წელს მას უდიდესი წარმატება ხვდა ლონდონის „ოდეონში“ გამართულ სახელმწიფო კონცერტებზე. მომდევნო წელს კი „ჰელოუინი“ ერთხმად აღიარეს ინგლისის მძიმე როკის ფესტივალის ჭეშმარიტ აღმოჩენად.

ჯგუფის მუსიკაში იგრძნობა კლასიკური ნაწარმოებების ზეგავლენა, ზოგიერთი მიმომხილველი მის სტილს „ვაგნერისეულ მეტალს“ უწოდებს.

„ჰელოუინი“ დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს როკ-მუსიკის მოყვარულთა შორის.

# აისი

## საწნახელი

გვიანი შემოდგომა იდგა. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს სუსხიანი ქარი არღვევდა და ნახევრად გაშიშვლებულ ხეებს ზამთრით ემუქრებოდა.

ქარის ზუზუნში დროდადრო ისმოდა მოცეკვავე ხერხის სიმღერა: „შემომხედეთ, რა ძლიერი ვარ, როგორ თვალის დახამხამებაში ვჭრი ამხელა ხეებსო"... მისი ალესილი კბილები ხანდახან ისე გაიელვებდნენ, როგორც სანადიროდ გამოსული ლომის თვალები.

— ბევრი შეშა გვექნება ამ ზამთარს. — ღიმილით ეუბნებოდა კმაყოფილი მოხუცი შვილიშვილებს.

საწნახელი კი წუხდა. საცოდავ მდგომარეობაში იყო. ეტირებოდა და ვერ ტიროდა. მხოლოდ მაშინ გადმოუგორდებოდა ცრემლი, როცა მოაგონდებოდა სიხარულით სავსე ის დღეები, ყოველი წლის ღვინობისთვეში რომ უდგებოდა.

ეჰ... რა კარგი იყო ის დრო, როცა ამაყად იდგა მარნის შუაგულში და ყურძნის წვენის ჩხრიალი სმენას უტკბობდა...

ამ ფიქრებში იყო გართული საწნახელი, როცა ჯერ სიმხურვალე, შემდეგ კი სიცხე იგრძნო. მიხვდა, რომ იწვოდა. ბუხართან შემომსხდარ შვილიშვილებს ბებია ძველ საწნახელზე ელაპარაკებოდა. საწნახელმა იცნო თავისი ცხოვრება. უნდოდა დაეყვირა, „ეს ხომ მე ვარ, მომხედეთო", მაგრამ ღონე აღარ შესწევდა. იმითღა ინუგეშებდა თავს, რომ ჯერ კიდევ ახსოვდათ, მაგრამ ცოტაც და, მისი არსებობა შეწყდებოდა, ფერფლად გადაიქცეოდა საცოდავი, ერთ დროს ამაყი საწნახელი. ბუხარში უკანასკნელი ნაკვერჩხალი იფერფლებოდა.

გარეთ კი ისევ გვიანი შემოდგომის სუსხიანი ქარი არღვევდა სიჩუმეს და ბუნებას ზამთრით ემუქრებოდა.

ნინო ანთაძე,

თბილისი, მე-100 საშუალო სკოლა, VII კლასი.

## ოდესღაც სვანი ვყოფილვარ

ბარში მოსახლე ყორყოლიანების მულახის მთებიდან ვყოფილვართ წამოსულნი

ოდესღაც სვანი ვყოფილვარ,
მულახს გვქონია სავანე,
იმათ ნაფუძარს მამთხვიე,
ღმერთო, იქ დამასამარე!

სვანს არ გასწირავს კაცობა,
სვანი მიწა-წყლის მცველია,
ვერ შეელევა, რისთვისაც
ღმერთს მცველად გაუჩენია.

სვანეთს კოშკები მელიან
და წინაპართა საფლავები,
იქ მელის დიდი წარსული,
ყველასგან დასადაფნავი.

•

ქარმა დაუბერა,
ღრუბლები გარეკა,
ძეწნა შეაშფოთა,
დაპენტა კვირტები...
ტურფა გაზაფხულო,
ჩემთვის მეთექვსმეტედ
მოხვედი, ნეტა რა
სიახლეს მპირდები?

## ნეტავ...

ნეტავ ლევილში
ერთი ღამე გამათევინა
იმ საფლავებთან,
სადაც სძინავთ ქართველ ჭაუკაცთა,
მათ აჩრდილებთან
მასაუბრა განთიადამდე,
რომ ვიგრძნო სული
სახელოვან მამა-პაპათა.

კახა ყორყოლიანი,

თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, X კლასი.

## გოგონა და როიალი

ძველისძველი როიალის თეთრ კლავიშებს ადამიანის თბილი ცრემლი დაეცა. როიალი თითქოს ძილიდან გამოერკვაო, გოგონას, რომელიც ნაღვლიან მელოდიას უკრავდა, ყური მიუგდო.



# კოცონი

# განახლება კოცონის შუქზე

პიონერმუშაკთა რესპუბლიკურ სკოლაში თვიდან თვემდე ერთმანეთს ენაცვლება უფროს პიონერხელმძღვანელთა ნაკადები. მათი საუბრების მთავარი თემაა პიონერული ორგანიზაციის მუშაობის ახლებურად წარმართვის საკითხები, გამოითქმება ათაგსვარი მოსაზრება.

როგორ ვიმუშაოთ გარდაქმნა-განახლების გზების ძიებისას, რას ვაკეთებთ, რა საქმეები წამოვიწყეთ, რა პრობლემები გვაქვს — ამ საკითხებზე გამოთქვეს აზრი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პიონერხელმძღვანელებმა. გაგაცნობთ ზოგიერთ მათგანს:

ლორენა ქოგალია (ჩხოროწყუს რაიონი, გარახის არასრული საშუალო სკოლა): ჩვენი სკოლა პატარაა, მასში სულ 48 მოსწავლე სწავლობს. მოსწავლეებს ბევრი რამ აინტერესებთ, განსაკუთრებით იზიდავთ შრომითი საქმიანობა. ვეხმარებით კოლმეურნეობას. ბავშვებმა სოფლის მარტოხელა მოხუცები აღრიცხეს და ეხმარებიან, ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებენ მათ.

სკოლა პირველი ქართველი მფრინავის, ბესარიონ ქებურიას სახელობისაა. რაიონულ ცენტრში მისი ძეგლიც დგას. ძეგლის ირგვლივ ტერიტორია მოუწესრიგებელი იყო. დავაწესეთ მორიგეობა. სკოლიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდიანი იყო მუსიკა და გააჟრჟოლა მოხუც როიალს. უსმინა, უსმინა გოგონას და ბოლოს გული აუჩუყდა — ატირდა. ტიროდნენ მისი კლავიშები და პედლები, ტიროდა მოხუცი როიალი, მაგრამ ვაი, რომ გოგონა ვერ ხვდებოდა, მის ტკივილს მოზიარე სხვაც თუ ჰყავდა.

ერთად ტიროდნენ როიალი და გოგონა. გოგონა — წუხილით, რომ მის ტკივილს არავინ იზიარებდა, კეთილი, მოხუცი როიალი კი... — ეჰ!

ლელა ჩითლანაძე,
ასპინძის საშუალო სკოლა, XI კლასი

## გაზაფხულის ზანზალაკები

თითქოს ზარები არიან,
ჩვენ რომ გვხიბლავენ ფაქიზი რხევით,
თითქოს სიცარიელეა, ზამთრის თეთრ საფარზე
რომ მივაბიჯებთ.
ზანზალაკები კვლავ გვხიბლავენ
ფაქიზი რხევით,
ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ, რომ თოვლის ქვეშ
ეს — პაწაწინა ენძელები იმალებიან.

## მუსიკა

ღელავს ზღვა ცისფერი...
შრიალებს ვერხვი...
ისმის მუსიკა...
მუსიკა ავსებს მშიერ სხეულს,
ვითარცა წყარო მწყურვალ დოქს დილით.
მუსიკა ათრობს თვით შავ სიკვდილსაც,
როდესაც გულქვა, ძლიერი მადით,
ფარფატებს კაცის თეთრ სასთუმალთან.

ნატო ალავიძე,
თბილისი, 112-ე საშუალო სკოლა. IX კლასი

## ავდარი

დაიქუხა. წვიმის წვეთები თავს მოულოდნელად დაგვესხნენ. ასფალტი უცებ დასველდა, დაიტბორა. ალაპლაპდნენ გალუმპული ქუჩები.

მღვრიედ ჩამოდაბლებული ცა ხის წვერებს დააწვა და სიმძიმისაგან დაზნიქა. ამოვარდა ძლიერი ქარი. ხეები ერთმანეთს მოჭიდავეებივით ეკვეთნენ. ესეც არ იკმარა ბუნებამ, ახლა სეტყვა ჩამოჰყვა წვიმას — გარგლისტოლა კაკლებით დაიჭორფლა ჩვენი ეზო და ქუჩები.

კარგა ხანს იგიჯა ამინდმა. მერე უეცრად დაწყნარდა მიდამო, თითქოს მთელი თავისი ბრაზი და განრისხება ამოირეცხა გულიდანო... ჩადგა ქარიც. ამოისუნთქეს ხეებმაც, მხოლოდ აქა-იქ ფოთლებმა ვერ შეიკავეს შიშის კანკალი... სახლებში მხიარულად აკიაფდა ნათურები, სინათლე ხომ აქამდეც იღვრებოდა ფანჯრებიდან, მაგრამ მისი ნამდვილი სიკეთე შესამჩნევი და სასიამოვნო მხოლოდ ახლაღა გახდა.

მაია ადეიშვილი,
სამტრედია, 24-ე საშუალო სკოლა. IX კლასი.



„საახალწლო მეჯლისი". ნიკო ზედგინიძე.
ხაშური, მე-4 საშუალო სკოლა, I კლასი.

4-ა მოსწავლე მორიგეობით გადის სამუშაოდ, წესრიგში მოჰყავთ ძეგლის მიმდებარე ტერიტორია. უფროსებმა მათი თაოსნობა მოიწონეს.

მაკა ზუბუტია (ქ. ზუგდიდის მე-12 სკოლა): თავიდან საქმის აწყობა გამიჭირდა, თანადგომაც არ გვქონდა. გადავწყვიტე, ერთი კვირა „გაცნობის კვირად" გამომეცხადებინა. პირველ დღეს მესამერაზმელებს შევხვდი; ის დღე არ დამავიწყდება. ბავშვებმა მითხრეს, ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ პიონერთა ორგანიზაციის სადღესო ამოცანებში, თორემ რაც ყელსახვევი გაგვიკეთეს, მას მერე არ გვახსოვს, ამ ორგანიზაციის სახელით რამე გაგვეკეთებინოსო...

მართლაც, რა ვაკეთოთ? ბევრი ვიკამათეთ, თითქოს მომავლის სამოქმედო კონკრეტული გზებიც მოიხაზა; მერე გოგონებმა პიონერთა ოთახი დამიწუნეს, ქეთინომ იქვე დაიწყო მისი მოწესრიგება; ბიჭებიც მოეშველნენ და ყვავილები მოაწესრიგეს, ყვავილებს შეუცვალეს ადგილი. როცა საქმეს მოვრჩით, ერთმა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში წასვლა შემოგვთავაზა; ეს აზრი სხვებსაც მოეწონათ და მაშინვე ყველამ იქით გავწიეთ. ბაღში შემოდგომის ნობათის ნიმუშები შევაგროვეთ — გირჩები თუ ხის ხმელი ფესვები, ძირს დაცვენილი საოცარი ფერის ლამაზი ფოთლები; ასე დავმეგობრდით მე და მესამერაზმელები.

ელიკო პაპავა (ხობის რაიონის პირველი მაისის პირველი სკოლა): მაშინ ხეთის სკოლაში ვმუშაობდი. იმ ხანებში ამ სოფლის შინმოუსვლელის — ამირან კოტარიას ეზოში საბრძოლო და შრომითი დიდების მემორიალური კომპლექსი გაიხსნა. სანამ შინმოუსვლელის დედა იყო ცოცხალი, მას ხალხი არ მოკლებია. ამ მემორიალის შექმნაში დიდი წვლილი აქვთ სკოლის მოსწავლეებსაც. ისინიც ხშირად აკითხავდნენ ლიზა ბებიას, ფუსფუსებდნენ მის ეზო-გარემოში.

დღეს აქ გმირის სახელობის მუზეუმია. რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით, აქ ეწყობა ყველა ჩვენი მნიშვნე-

# მეგობრებისგან უნდა ვისწავლოთ

მოგეხსენებათ, რა დიდი გარდაქმნის დროც დაგვიდგა. ხალხმა ბრძოლა გამოუცხადა ყველაფერს დრომოჭმულს, ფორმალისტურსა და არაკეთილსაიმედოს. გარდაქმნის საჭიროების წინაშე დგას პიონერული ორგანიზაციაც.

რამდენადაც ვიცით, მოსწავლეთა ერთი ნაწილი ჩვენშიც იზიარებს ინტერესთა მიხედვით კლუბებში გაერთიანების იდეას. ამიტომ გთავაზობთ ჩვენი პოლონელი მეგობრების — ჰარცერების საკმაოდ საგულისხმო გამოცდილებას.

გაგაცნობთ ჰარცერთა გაზეთს „სვიატ მლოდიხ“ („ახალგაზრდული სამყარო“), რომელიც როგორც შინაარსობრივად, ასევე მხატვრული გაფორმების მხრივ, ძალიან საინტერესოა. გაზეთი თავის მკითხველებს ესაუბრება სკოლაზე, პოლიტიკაზე, კინოზე, ესტრადაზე, მოდაზე, ნამდვილ მეგობრობასა და სიყვარულზე. „სვიატ მლოდიხი“ პოლონელი ჰარცერების საუკეთესო მეგობარია, ამას მოწმობს მისი მრავალფეროვანი სარედაქციო ფოსტაც.

ამ ბოლო ხანებში პოლონელ მოზარდთა შორის ძალზე პოპულარული გახდა სხვადასხვა სახის კლუბები, რომლებსაც თვით ბავშვები ქმნიან თავიანთი მიმოწერის საშუალებით. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჰარცერებს სიამოვნებასანიჭებთ წერა, ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან გაზეთის საშუალებით და კონკრეტულ ინტერესთა მიხედვით ერთიანდებიან კლუბებში.

მოდით, ამ თვალსაზრისით მივადევნოთ თვალი პოლონელ თანატოლთა ფოსტას:

აი, რას წერს მაგდალენა გრაშევიჩი ქალაქ ტორუნიდან:

„აღფრთოვანებული ვარ დიდი ბრიტანეთით, მისი კულტურითა და ენით. ყველას, ვინც ასევე ფიქრობს, ვიწვევ კლუბში, რომელსაც ვარქმევ „იეს“. გავუცვლით ერთმანეთს წიგნებს, მარკებს, ღია ბარათებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, ბრიტანეთთან დაკავშირებულს. გთხოვთ, გამომიგზავნოთ წერილი და თქვენი სურათი“.

აი, 14 წლის მარეკ მაცუბას წერილი:

„ყველას, ვინც იცის გიტარის დაკვრა, ვიწვევ ახალ კლუბში. კლუბის მთავარი მიზანია სიმღერების ტექსტების შესწავლა. ველი კლუბში გაერთიანების მსურველთა წერილებსა და სურათებს.“

11 წლის ალიცია ჩესლუკოვსკა:

„ახალ კლუბში ვიწვევ ეგზოტიკური კერძების მომზადების მოყვარულთ. ძალიან მინდა, სხვებსაც გავუზიარო ჩემი ცოდნა და თავადაც ახალი რამ შევისწავლო. კლუბის წევრები მივაწოდებთ ერთმანეთს სხვადასხვა რეცეპტს“.

ანა სოსინსკა თავის კლუბში მხოლოდ 10 კაცს იწვევს, იგი წერს:

„თუ გიყვართ მიკი-მაუსი, იხვი დონალდი, ძაღლი პლუტო და უოლტ დისნეის მულტფილმების სხვა გმირები, გიწვევთ კლუბში „დისნეილენდის მოყვარულნი“. ჩავწერ პირველ 10 კაცს, ვინც გამომიგზავნის წერილსა და სურათს. ვაპირებ სხვადასხვა კონკურსის ჩატარებას, მაგალითად, მულტფილმების გმირთა პორტრეტების შესაქმნელად. კონკურსში გამარჯვებულები...

---

...ლოვანი ღონისძიება. თითოეულმა შეხვედრამ თუ შეკრებამ, რომელთაც სკოლის გარეთ ვატარებდით, მშობლებიც მოიზიდა, გვერდში ამოგვიდგნენ.

განსაკუთრებით ინვალიდებსა და ომის ვეტერანებს აქცევენ აქ ყურადღებას. ყოველ ხსოვნის დღეს კი პედაგოგის, აწ განსვენებული მარიამ შუშანიას საფლავს აკითხავენ; მარიამ მასწავლებელს შვილი არ ჰყავდა და მოსწავლეები პატრონობენ მის საფლავს...

...შემდეგ ხობის პირველ სკოლაში გადამიყვანეს სამუშაოდ, დამშვიდობების დღე ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყო. სათუთად ვინახავ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის სვეტლანა გვასალიას ნაჩუქარ წიგნს „ეროსი მანჯგალაძე“ წარწერით: „სახსოვრად ჩვენს საყვარელ ელიკო ხელმძღვანელს“.

მედეა ჩუხუა (ზუგდიდის რაიონი, ზალმარანის საშუალო სკოლა): — ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა საქმიანობა ინტერესების მიხედვით წარიმართოს. ჩვენთან მუყაითობით ნორჩი ეკოლოგები გამოირჩევიან. ვითხოვეთ და სოფელში 15 ჰექტარი გამოგვიყვეს დასამუშავებლად. ნაკვეთის ირგვლივ ნაძვნარი გავაშენეთ, ფართობზე კი ციტრუსების პლანტაცია გაშენდება. ციტრუსების მოვლა-გახარება ხომ დიდი საქმეა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უმთავრესია შრომის პროცესში ბავშვების ერთ მეგობრულ კოლექტივად გაერთიანება. ამ ფართობის დამუშავების შედეგად შემოსული თანხა მხოლოდ სკოლის საჭიროებას მოხმარდება.

ძალზე დიდია შრომითი საქმეების საგუშაგოს მეთაურის, ზაზა ჩუხუას მონდომება. სიყოჩაღისათვის იგი კომკავშირის ზუგდიდის რაიკომმა და პიონერთა სახლმა არტეკის საგზურით დააჯილდოვეს. მის გვერდით შრომობენ აგრეთვე მალხაზ, რამაზ, ზვიად, გელა ჩუხუები და გიორგი შეროზია.

ლალი არძენაძე (ქობულეთი, აჭყვის სკოლა): მოსწავლეთა თაოსნობით გავმართეთ ყვავილების კონკურსი. თითოეულმა კლასმა თავისი საყვარელი ყვავილი შეარჩია: ზოგმა — ია, ზოგმა — ვარდი, ყაყაჩო, შროშანა, ენძელა — სულ 25 სახის ყვავილი. ზეიმის დღეს ყველაფერი თითქოს ყვავილებში ჩაიძირა; ყვავილთა დედოფლად, რასაკვირველია, ვარდი გამოცხადდა. მოსწავლეებმა წინასწარ შეიკერეს თავიანთი სურვილით შერჩეული ყვავილის ფერის კაბები. თითოეული „ყვავილი“ თავისი ლექსით უნდა გამოსული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვეიულ გავუგზავნი პრიზს".

12 წლის კატაჟინა შიდლოვსკა და მისი მეგობარი ქმნიან კლუბს „პატარა რეპორტიორები". კლუბის წევრებმა ყოველწლიურად თავისი ქალაქის ან სოფლის ცხოვრების ამსახველი ერთი რეპორტაჟი უნდა გაუგზავნონ კატაჟინას. მიღებული მასალების მიხედვით გოგონები გაზეთის ნომრებს მოამზადებენ. კლუბი გაითვალისწინებს საინტერესო კონკურსების ჩატარებასაც.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კლუბებისა, პოლონელ ჰარცერთა შორის მოქმედებენ ამ პრინციპით შექმნილი სხვა კლუბებიც, მაგალითად, „კინოსა და თეატრის მოყვარულები", „სიმღერა" და ა. შ. ისინი ყმაწვილებს საშუალებას აძლევენ, ხალისიანადაც გაერთონ და ცოდნაც შეიძინონ და ამიტომ დიდი პოპულარობით სარგებლობენ აქაურ მოზარდებში.

გვინდა მოგითხროთ „სვიატ მლოდიხ"-ის კიდევ ერთი რუბრიკის შესახებ. ეს გახლავთ „მისამართების ბანკი". მას ეხმაურებიან ბავშვები, რომელთაც სურთ მიმოწერა იქონიონ ავადმყოფ, უდედმამო თუ ინვალიდ თანატოლებთან. როგორც ირკვევა, ასეთი გულმოწყალე, კეთილშობილი ბუნების ყმაწვილები ამ ქვეყანაში ბევრნი არიან, რადგან გაზეთი კვირაში ერთხელ მაინც რამდენიმე მათგანის მისამართს აქვეყნებს.

როგორც ხედავთ, ნორჩ პოლონელებს წერილების წერა არ ეზარებათ არც გართობისა და არც გულმოწყალების მიზნით, ისინი დახმარების ხელს უწვდიან ყველას, ვისაც უჭირს, ვინც განსაცდელშია, თანაც... ისინი ახალ მეგობრებს იძენენ!

„სვიატ მლოდიხის" მიხედვით პუბლიკაცია მოამზადა

**რუსუდან ილაშვილმა**

---

ყო. ეს არა მარტო ფერთა ზეიმი გახლდათ, არამედ შეჯიბრებაც ყვავილებზე გამოთქმული ლექსების მხატვრულ კითხვაში. გამარჯვებულ ყვავილს სპეციალურმა ჟიურიმ პრიზი გადასცა. განსაკუთრებით იყოჩაღეს ია გიორგაძის, გულო ხაჯიშვილის, ნატო რომანიძის, ნაზიბროლა ბერიძის, იამზე ქარცივაძისა და სხვების „ყვავილებმა".

მაყვალა ლილუაშვილი (თერჯოლა, ქვედა სიმონეთის პირველი სკოლა): პატარებისათვის სკოლაში დრამწრე შევქმენით, მასში სურვილის მიხედვით მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასელები გაერთიანდნენ.

დავდგით ზღაპრები: „კონკია", „მელიას ეშმაკობა"; მოსწავლეებში ამან დრამწრისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია. ნინო ჯანელიძე, ნინო ამბროლაძე, თამრიკო გუნიავა, შოთა დათუაძე და სხვები თვითონ ამზადებენ თოჯინებს ნელი ოქროპირიძის წიგნის — „ხელმარჯვე ოსტატის" მიხედვით.

...გრძელდება ბავშვების ინტერესთა გამოკვეთა, მათი შემოქმედებითი ძიებები. ვფიქრობთ, ესეც არის ერთი გზა, რომლითაც შეიძლება მივაღწიოთ ჩვენი პიონერული ორგანიზაციის სახეცვლასა და განახლებას.

**ნათელა ფაილოძე**

---

# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს შოთა ინწკირველი

## დიანა დარჩია მსოფლიო ჩემპიონია!

ბათუმელმა 11 წლის ოსტატობის კანდიდატმა დიანა დარჩიამ ბრწყინვალედ იასპარეზა პუერტო-რიკოს ქალაქ აგუდილაში 12 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე და 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

დიანა დარჩიას შემოქმედება ჩვენმა ჟურნალმა უკვე გააშუქა (იხ. „პიონერი" № 8, 1989 წ.) და მას ინიციატივის ტრიუმფი უწოდა. თავისი ინიციატივიანი, აგრესიული თამაშით მსოფლიო პირველობაზე დიანა 15-25 სვლაში ანადგურებდა მეტოქეებს.

დარჩია



კოლოვეი

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თეთრებს არათუ ბრძოლის გამწვავების, არამედ მოგების შესაძლებლობაც მიეცათ (მათი უკანასკნელი სვლა იყო 26. კh3:e6 კუმ აიყვანა პაიკი), მაგალითად: 26... მფh8 27. მg6! (ღია ორმაგი თავდასხმა) 27... hg 28. ე:f8 მფh7 29. კg8 მფh8 30. კf7 მფh7 31. კ:g6+— მოგებით. მაგრამ დიანა წინასწარ მომზადებული მოულოდნელი და ეფექტური პასუხით ნათელყოფს თეთრების იმედის ილუზორულობას.

26... ლ:e6!!

კოლოვეი დანებდა, რადგან 27. მ:e6-ს მოჰყვება 27... ე:f1 28. ლ:f1 მd2—+ მართლაც რომ, ჭეშმარიტება მარტივია!

რა კლასიფიკაცია შეიძლება მივცეთ ლაზიერის შეწირვას? ცხადია, ეს გათრევის იდეაა. მაგრამ გამოვთქვამ ვარაუდს, რომ მასში ჩაქსოვილია, ან, უფრო ზუსტად, ამავე დროს იგი წარმოადგენს ჩათრევის იდეის თავისებურ ნაირსახეობას.

## ქეთევან კახიანი მსოფლიო ჩემპიონია!

ტუნჰაში (კოლუმბია) 20 წლამდე ასაკის ქალიშვილთა მსოფლიო პირველობაზე ბრწყინვალედ იასპარეზა დიდლილოელმა 17 წლის საერთაშორისო ოსტატმა (მას მოპოვებული აქვს საერთაშორისო დიდოსტატის ერთი ბალი) ქეთი კახიანმა (თავის დროზე ჩვენმა ჟურნალმა მას საგანგებო წერილი მიუძღვნა). გავეცნოთ ერთ დაბოლოებას მსოფლიო პირველობიდან.

ზაიაცი



კახიანი

ქეთი კახიანმა მეტოქეს აჯობა როგორც სადებიუტო თეორიაში, ისე შუა თამაშშიც; ახლა იგი ტაქტიკური ოპერაციით აღწევს ორი ეტლის ხელსაყრელ გაცვლას ლაზიერში და იწყებს კომბინირებულ მოქმედებას ორ ფრთაზე. ოსტატურად იყენებს რა შავი მეფის არაუზრუნველყოფილ მდგომარეობას (ამიტომ ასეთ პოზიციებში ლაზი-

დასასრული 30-ე გვერდზე

## ვარცხნილობა — ჩემპიონი

ამერიკელმა პარიკმახერებმა ტერი კარდენმა და კრისტოფერ მორისონმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ვარცხნილობა შექმნეს და გინესის რეკორდების წიგნში შევიდნენ.

ორი მეტრი სიმაღლის ვარცხნილობას 22 აეროზოლის ბალონი, ადამიანის ბუნებრივი თმისგან მომზადებული 10,5 მეტრის სიგრძე შინიონი, 2,6 კმ ქსოვილი და 200 თმის სამაგრი დასჭირდა. ოსტატებს 5 უმცროსი პარიკმახერი ეხმარებოდა და ამ გრანდიოზული ვარცხნილობის გაკეთებას ერთი კვირა დასჭირდა. ■

## მზრუნველი სპილოები

ამ სურათზე აღბეჭდილია ტანზანიის სელუსის რეზერვაციის მობინადრე 110 ათასი სპილოს, ჩვენი პლანეტის სპილოთა უდიდესი პოპულაციის წარმომადგენლები. დააკვირდით: მოზრდილმა სპილოებმა შუაში მოიქციეს პატარა, რათა მაქსიმალურად დაიცვან იგი. შთამომავლობისადმი სპილოების ტრადიციული მზრუნველობისა და ადამიანის ყურადღების მეშვეობით იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხმელეთის გიგანტები ადამიანებთან ერთად მესამე ათასწლეულშიც იარსებებენ.



## ზღვა... 109-ე სართულზე!

საკუთარი კანტორიდან გამოუსვლელად ხმელეთზე ზღვის დაავადების განცდა შესაძლებელია, თუ ცათამბრჯენ „სირ ენდ რობაკში" მუშაობ, რომელიც ჩიკაგოსა და მთელი მსოფლიოს ყველაზე მაღალ შენობად ითვლება. ამ 109-სართულიანი შენობის სიმაღლე 442 მეტრია, აშენებულია 1970-1974 წლებში.

ჩიკაგო „ქარების ქალაქადაა" ცნობილი, წელიწადში ორჯერ აქ ქარიშხლებიც მძვინვარებს. რასაკვირველია, ცათამბრჯენი ისეა გაანგარიშებული, რომ უძლიერეს ქარსაც უძლებს: იგი არ ინგრევა, მაგრამ ძალზე ქანაობს. ამიტომ სხვადასხვა კანტორებისა და ოფისების მომსახურე პერსონალი ჰიგიენური პაკეტებითაა აღჭურვილი.

# საინტერესო სიახლენი

## ზემაღალი სიჩქარით

ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს ერთიანი, 15 წლისთვის გაანგარიშებული გეგმა ზემაღალი სიჩქარის სარკინიგზო მაგისტრალებისთვის.

გეგმის პირველი ეტაპი 1995 წლამდე პერიოდს მოიცავს. ამ პერიოდში ზოგიერთ გზაზე მატარებლების სიჩქარე საათში 300 კილომეტრს მიაღწევს. ასეთი გზების საერთო სიგრძე კი 12300 კილომეტრი იქნება. ამ სიჩქარით მატარებლები ივლიან ლონდონსა და ლივერპულს, პარიზსა და ლიონს, ბორდოსა და ბრიუსელს, ბორდოსა და ლონდონს (ლა-მანშის სრუტის ქვეშ, გვირაბით), ჰამბურგსა და მიუნჰენს, მილანსა და რომს, მადრიდსა და სევილიას შორის.

მეორე ეტაპზე, რომელიც 2005 წელს დასრულდება, ზეჩქარი მატარებლები ერთმანეთს დაუკავშირებენ ლისაბონსა და პორტოს, ბარსელონასა და სან-სებასტიანს, ბაზელსა და მილანს, ბელგრადსა და ათენს, ათენსა და პირეის... ამ გზების საერთო სიგრძე 15500 კილომეტრს გადააჭარბებს.

## ძველი საბურავები — საქმეში

ძველი საბურავების თავიდან მოცილების პრობლემა მთელ მსოფლიოში მწვავედ დგას. მარტო აშშ-ში ავტომობილისტები ყოველწლიურად 240 მილიონ გაცვეთილ საბურავს ჰყრიან. ჯერჯერობით მათ წვავენ (კალიფორნიაში ელექტროსადგურიც კი ააგეს, რომელიც საწვავად საბურავებს იყენებს). მაგრამ ამ დროს ბევრი ტოქსიკური გაზი გამოიყოფა.

პენსილვანიის შტატის ერთ-ერთმა ფირმამ მეწარმეებს ასეთი რამ შესთავაზა: ძველი საბურავის ფქვილს (მას სპეციალურ წისქვილში ფქვავენ) იყენებენ პლასტმასის შემავსებლად, თავდაპირველად ფქვილს მაღალაქტიური გაზებით — ფტორით, ქლორით, ჟანგბადით და გოგირდის ორჟანგით ამუშავებენ. შერევის შედეგად მიღებული პლასტიკატისაგან ბევრი სხვადასხვა ნაკეთობის დამზადება შეიძლება.

ერი ორ ეტლს სჯობს), ლაზიერის ფრთაზე ორი გამსვლელი პაიკის შეწირვით გადამწყვეტ უპირატესობას აღწევს მეფის ფრთაზე.

25. ე:c5! ე:c5 26. ე:a7 ლ:a7 ე8c7 28. ლb6 f6 29. a4 ე7c6 30. ლb7 ეc7 31. ლb4 მფf7 32. a5 ეc4 33. ლd6 ე4c6 34. ლd3 ეb7 35. b4 მფg6 36. a6 ე:b4 37. e5 f5 38. a7 ეa4 39. ლd7 ეca8 40. a8ლ! ე:a8 41. ლ:e6 მფh5 42. ლ:f5 მფh6 43. f4 g6 44. ლf6 (შეიძლებოდა 44. ლg5 მფg7 45. f5) 44... ეe8 45. e6 ეa2 46. მფh3 ეa6 47. f5 ეaa8 48. ლh4 მფg7 49. f6 მფh8 50. f7.

## რუსუდან ჭკუასელი

ქვემოთ მოყვანილი პარტია ლანჩხუთელმა რუსუდან ჭკუასელმა მოუგო მაიაკოვსკელ პირველთანრიგოსან ხათუნა ჭელიძეს. მაშინ რუსუდანი მეორეთანრიგოსანი იყო და 8 წელი უსრულდებოდა. შარშან, თებერვალში, მან ჩოხატაურში ჩატარებული საქართველოს სასპორტო სკოლების გუნდურ პირველობაზე ბიჭების მეოთხე დაფაზე I-II ადგილები გაინაწილა ოზურგეთელ გოგონასთან და პირველი ხანრიგი მოიპოვა.

ჭელიძე-ჭკუასელი. გადიდის (ვანის რაიონი) მოსწავლეთა საკავშირო ფესტივალი. 1988 წლის 5 აგვისტო. 1. d4 d6 2. c4 მf6 3. მc3e6 4. კg5 h6 5. კ:f6 ლ:f6 6. d5 მd7 7. მb5 ლd8 8. ეc1 კe7 9. e4 0—0 10. კe2 მc5 11. მc3 კd7 12. ლa4 f5 13. b4? მ:e4 14. მ:e4 fe 15. ეc3 c6 16. dc კ:c6 17. ეg3 ლb6 18. მh3 კh4 19. c5 dc 20. ეg4 კ:f2!? 21. მ:f2 cb 22. მ:e4? (შესამოწმებელია 22. მd1 ან 22. მh3) 22... კ:e4 23. ე:e4 ლf2 24. მფd1 ლ:g2 და ჭელიძე დანებდა.

ნორჩმა მოჭადრაკემ პარტია ძალზე საინტერესოდ ჩაატარა.




# ნახატის ჩადგმა ნაქსოვში

გოგონებს განსაკუთრებით მოსწონთ ხოლმე რაიმე ნახატჩადგმული ნაქსოვი ტანსაცმელი, უნდა ითქვას, რომ ასაკის შესაბამისად შერჩეულ ნახატიან სვიტერზე ან პულოვერზე, უმცროსი და-ძმების მსგავსად, უარს ვერც ჩვენი ოჯახების მოზრდილი წევრები ამბობენ.

ნაქსოვ ნიმუშში ნახატი იმავე პრინციპით „იდგმება", როგორითაც ორნამენტი. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ნახატის ნაქსოვი ფონისა და „ჩასადგმელი" სურათისთვის შერჩეული ძაფების სისქის, ბზინვარებისა და ტონალობის შეხამებას.



ნახატის შესასრულებლად ძირითადად იყენებენ რამდენიმე ფერის ძაფს. ნახატის დაწყება, ანუ ნაქსოვ ფონზე ახალი ფერის ძაფის შეტანა, ჩვეულებრივ ხდება ნაქსოვის წაღმა პირზე. ამისათვის ჩხირებზე აკრეფილ ძირითად (ნაქსოვის ფონის) ძაფს სათანადო ადგილას (სადაც ნახატის დაწყება გვინდა) შევცვლით სხვა ფერის ახალი ძაფით. ძირითად ძაფზე გადავადებთ ახალ ძაფს და მარჯვენა ხელის თითებით მას ჩხირთან ერთად დავიჭერთ იმგვარად, რომ ძაფის ბოლო არ გაგვექცეს. ამ სახით ამოვიყვანთ განსხვავებული ფერის პირველ თვალს და შემდეგ ჩვეულებრივ გავაგრძელებთ ქსოვას.

ვთქვათ, ნაქსოვის მოცემულ რიგში (წაღმა პირზე) ფონისაგან განსხვავებული ფერის ძაფით უნდა ამოვიყვანოთ ხუთი თვალი და მათი ამოყვანის შემდეგ ახალი ძაფი ისევ ნაქსოვი ფონის ძაფით შევცვალოთ. ამოვიყვანოთ განსხვავებული ძაფით ეს ნავარაუდევი ხუთი თვალი, ამოსაქსოვ მორიგ თვლებამდე გადმოვიტანოთ ნაქსოვის ძირითადი ძაფი და მოვჭიმოთ იგი ზომიერად. გახსოვდეთ, ეს იმისათვის არის საჭირო, რომ მათ შორის უკვე ამოყვანილი თვლები ზედმეტად არ შევავიწროოთ და თანაც ძაფების შენაცვლების ადგილას არც ფართლალალა ადგილი დაგვრჩეს.

ფერის შეცვლისას ანალოგიური მანიპულაცია სრულდება ნაქსოვი ნიმუშის უკუღმა პირზეც, იმ განსხვავებით, რომ ძაფის „სამუშაო მხარე" ან მისი გადანაბმები — ძაფგრეხილები აუცილებლად უკუღმა პირზე უნდა მოხვდეს.

რახან ნახატის ჩადგმის უმთავრეს პრინციპში გავერკვიეთ, დავხედოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სქემას. თუ მას კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ნახატების ნაირფეროვნება მათზე გადმოიცემა განსხვავებული პირობითი ნიშნებით. გავეცნოთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე.



„სპილო" (ნახ. № 1), ეს ნახატი ძალზე მომგებიანია ბავშვის ტანსაცმელზე. უკეთესია, თუ მას ჯემპრის ან პულოვერის ცენტრში მოვათავსებთ. ფერები შეგიძლიათ შეარჩიოთ თქვენი შეხედულებისამებრ. სქემის მიხედვით, მოცემულ ნიმუშში წითელ ფონზე შესრულებულ „სპილოში" გამოყენებულია ხუთი ფერი: ღია ცისფერი (პირობითი ნიშანი — ●●), ყვითელი-თეთრი (ნიშანი — ●), ცისფერი (ნიშანი — △), ღია ნაცრისფერი (ნიშანი — X) და მწვანე (ნიშანი — □).

„ირემი და ნაძვი" (ნახ. № 2) გახლავთ კლასიკური ნორვეგიული ნაყში. როგორც წესი, იგი ერთ მოტივად ჩაიქსოვება ბავშვის, ქალის ან მამაკაცის სპორტულ სვიტერში. შემოთავაზებულ სქემაზე ნახატი მოცემულია თეთრ ფონზე. გაფორმებულია შესაბამისი (თაფლისფერი, ყავისფერი) ტონალობის წვრილი გეომეტრიული ორნამენტების არშიებით. სქემაში გამოყენებული პირობითი ნიშნები: ● — თაფლისფერი, X — ყავისფერი.



„სახლები" (ნახ. № 3). ეს ნახატი შეიძლება გამოვიყენოთ ბავშვის, გოგონასა და ქალის ტანსაცმლის გასაფორმებლად. იგი თავისი ხასიათით საკმაოდ მიამიტურია, შესასრულებლად — ადვილი. სქემაზე იგი მოცემულია ორფეროვან ზოლებზე „დასმული" სახით.

სქემაში გამოყენებული პირობითი ნიშნები: X — ყავისფერი, — ● — წითელი, ნახატი მოცემულია თაფლისფერ ფონზე.

„ხეები" (ნახ. № 4). ეს მოტივი თანაბარი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მოზარდი გოგონასა და ქალის, ასევე ბავშვის ტანსაცმელშიც. აქ განსხვავებას ქმნის მხოლოდ ის ფერები, რომლებითაც მას შევასრულებთ. ნახატი შეიძლება შესრულდეს გარკვეული ფერის ფონზე მხოლოდ ერთი ფერის ძაფით, მაგალითად, მუქი ვარდისფრით ნაცრისფერზე, როგორც ეს ჩვენს სქემაზეა მითითებული.



გადავწყვიტეთ, ამჯერად გაკვეთილთან ერთად, საშინაო დავალებაც შემოგთავაზოთ. შეეცადეთ, მოცემული სქემების მიხედვით, მოქსოვოთ ჩვენს მიერ უკვე ნასწავლი ორნამენტებითა და ნახატებით გაფორმებული ნაქსოვი ნიმუშები. ნამუშევრები ჩვენი რედაქციის მისამართზე გამოგვიგზავნეთ.



● მაინცდამაინც ნუ დაღონდები, თუ შინ ფარდების ჩამოსაკიდი სპეციალური კაუჭები ვერ იპოვნე.. მათ მაგივრობას თავისუფლად გასწევს ჩვეულებრივი საკანცელარიო სამაგრები.

● ცანგური ფანქრის წვეროთი შეგიძლია დაიჭირო ციცქნა ქანჩიც და პანჭიკიც, რათა ისინი დააყენო შესარემონტებელ ტრანზისტორში, მაღვიძარაში და ყველა სხვა მექანიზმსა და მოწყობილობაში, რომელთაც პაწაწინა დეტალები და ვიწრო სივრცე აქვთ.

● თუ ღვედის სალტეს კალათის სახელურში გაუყრი, ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, კალათი ზურგჩანთად გადაიქცევა და მძიმე ტვირთის გადატანაც, გადმოტანაც გაცილებით გაგიადვილდება.

● მცირე ზომის ტანსაცმლის — საცვლების თუ წინდების გარეცხვა მოგზაურობისას თუ სასტუმროში ცხოვრებისას პოლიეთილენის პაკეტშიც შეიძლება: ჩაასხი შიგ წყალი, ჩაყარე სარეცხის ფხვნილი, თავი მოუკარი და სრისე, ვიდრე საჭიროა. ამით თავიდან აიცილებ ჩალბობის აუცილებლობას, დაზოგავ სარეცხის ფხვნილს.

● დროთა განმავლობაში მოსახსნელფეხებიანი მაგიდა ირყევა ხოლმე. ასეთ მაგიდას ვერც ქანჩების მოჭერით „უეშველი", ვერც წებოთი „განკურნავ". და მაინც არსებობს ხერხი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მაგიდის გამაგრება: იმ დაფების ტორსებში, რომლებიც მაგიდის კოლოფს ქმნიან, ნახევრამდე ჩაარჭე უთავო ლურსმნები, მათ შესაბამისად კი ფეხებში ხვრეტები გაბურღე. ქანჩის ჩახრახვნის შემდეგ ლურსმნები თვით იკისრებენ განხოლვის დატვირთვას და საიმედოდ გაამაგრებენ ფეხებს.

● ლითონის მომჭერმა ფარდა რომ არ გახიოს, მას 2-4 მმ-ის სისქის პოროლონის ქვესადები დაუდე.

● ტომარაში მარცვლის ჩაყრისას მარცვალი (სიმინდი, ხორბალი, ლობიო...) რომ არ დაგეპნეს, ტომრის ყელი უფსკერო ყუთზე ჩამოაცვი.















# სარჩევი


მ. კარბარეთელი — ავწონ-დავწონოთ ყველაფერი (საუბარი) . . . . . . . . გარეკ. 2
მ. ზაალიშვილი — „სიმები ჩვენ ვართ ყველაო" (ნარკვევი) . 2
ე. მერაბიშვილი — ხატის კაცი (მოთხრობა. დასაწყისი) . 4
ა. აბულაშვილი — ლექსები . . . . . . 9
ნ. აფხაზავა — სკოლა — ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი (ნარკვევი) . . . . . . . 10
მ. ბელაშვილი — გამარჯვებული დამარცხებული (მოთხრობა) 11
გ. გეგეჭკორი — აკაკი წერეთლის ცხოვრება . . . . 15
ე. პერმიაკი — ჯადოსნური საღებავები (მოთხრობა) . . 17
რ. წიქვაძე — საუბარი რელიგიაზე (წერილი) . . . . 18
ზ. სარჯველაძე — რა განძი გვქონია (წერილი) . . . . 21
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი . . . . . 23
გ. ბარჯაძე — ყაბახი (წერილი) . . . . . . 24
„ჰელოუინი" (წერილი) . . . . . . . . 25
აისი . . . . . . . . . . . 26
კოცონი . . . . . . . . . . 26
რ. ილაშვილი — მეგობრებისგან უნდა ვისწავლოთ (წერილი) . 28
მხედრიონი . . . . . . . . . 29
საინტერესო სიახლენი . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 30
ქსოვა (წერილი) . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.



რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-21-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 28.12.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.02.90 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2859. ტირაჟი 117.000. ეგზ., უე 07852.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხს წერილობით არ ვცნობებთ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „პიონერი". 1990 წ.




## კროსვორდი



თარაზულად: 5. აზიის სახელმწიფოს დედაქალაქი; 6 თვე; 8. ქართველი მწერალი; 11. წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი; 13. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში ძველად; 15. გარკვეული ფუნქციების შემსრულებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანო; 17. ძველი ბერძნების სიმებიანი საკრავი; 18. ხელმძღვანელი, უფროსი; 19. რიტმული სვლა; 20. ქართული ჟურნალი; 21. მიმართულება, გზა, კურსი; 23. ამა თუ იმ საგნის შემადგენელი ნივთიერების რაოდენობა, მოცულობა; 24. უნგრეთის საავტომობილო ფირმა; 27. აფრიკის სახელმწიფო; 29. თექვსმეტმარცვლიანი ოთხტაეპიანი ლექსი; 30. ქართველი მომღერალი; 31. დიდი სიცხე, პაპანაქება; 32. მკვრივ საგანზე მცირედი გახეთქისაგან დაჩნეული ხაზი.

შვეულად: 1. საზღვარი, მიჯნა; 2. არგენტინის ქალაქი; 3. ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 4. ევროპის სახელმწიფო; 7. ო. თაქთაქიშვილის ოპერა; 9. უეცარი ცვლილება; 10. სამეცნიერო წოდება; 12. სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტა; 14. წყალგაუვალი ნივთიერებით გაჟღენთილი ქსოვილის ერთი პირი; 15. სვლის მიმართულება; 16. ქიმიური ელემენტი, უფერული გაზი; 22. ჯილდო; 25. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 26. სადილის ან ჩაის ჭურჭლის კომპლექტი; 28. საქართველოს მდინარე; 29. გერმანელი პოეტი და დრამატურგი.

შეადგინა ქ. ქურდოვანიძემ.

## გამოცანები

●

ამას ქადაგებს ქვეყანა,
ყველა, ერი თუ ბერიო:
თუ ის გაქვს —
ყველაფერი გაქვს,
თუ არა — არაფერიო.

●

აგერ, ქათამი მიბია,
ისე მაღალი — ვერ ვწვდები,
სულ ფეხით ჭამს და
ფეხით სვამს,
თავში გამოსდის კვერცხები.

●

თესენ, მარგლავენ,
რწყავენ და
მერე ახმობენ, ჭრიან,
განა საჭმელად ხმარობენ, —
წვავენ და უზარიათ.

●

არ გადაუვა არასდროს
ერთხელ დადგენილ წესებს:
დრო მოვა —
ხიდან ჩამოვა,
ჩოხას დატოვებს ხეზე.

ნ. მარიხია

## თავსატეხი



ჩაწერეთ თარაზულ უჯრებში „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები მცენარეების სახელები ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ პოემის ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი.

შეადგინა შ. ხოდაშნელმა

## მხატვრის ღიმილი

გ. პეტრიაშვილი



## გამოცანები

გამოიცნობ,
შენი მჯერა:
ღამით ვხედავთ,
დღისით — ვერა.

●

ცეცხლი აქრობს,
ცეცხლსვე აქრობს.

●

დუღს,
თან შხეფებს ყრის,
დალევ,
არ გწვავს პირს.

ალექსი ხუციშვილი

## შარადა

„დევნა მეტი იყოო და
ბრძლვნად კი არა ღირდა“, —
მისი წინა მარცვალია,
რაც საწყისად გვინდა.
თუ დაურთავ დასკვნისათვის
ეკლებიან ბალახს,
ის იგივე ალვისხეა,
არ გსმენია, განა?

შ. ამირანაშვილი

### პასუხები №1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულაზე“

**კროსვორდი**

შვეულად: 1. კანონი; 2. ტერორი; 3. თეორია; 4. შაკიკი; 6. თებერვალი; 11. კრავი; 12. წალდი; 14. არენდა; 15. ლოტოსი; 16. კერკი; 18. ირანი.

თარაზულად: 5. ამწე; 7. ელია; 8. დნეპროპეტროვსკი; 9. დნეპროძერჟინსკი; 10. ერა; 13. კარნავალი; 16. კერა; 17. ლოდი; 19. დარანი; 20. იოვანა; 21. იფანი; 22. ბლინი.

**საახალწლო ამოცანები**

28 წელი; ოთხი ძმა და სამი და; 6-9.

**გამოცანები**

ხახვი; დღე და ღამე; ლამპა; წაბლი.

**შარადა**

კვალი; ავი; კვლიავი.

6130/40

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ამჯერად ვთავაზობთ 12 წლის მესტიელი მოსწავლის, ნორჩ მხატვარ ლელა ზურებიანის ოთხ ნამუშევარს: „შაოსანი", „ჩემი ეზო", „ქალიშვილის პორტრეტი", „მოხუცი".





ინდექსი 76157
ფასი 20 კაპ.